



၁. နှေ့လျင်



၁၅. ဖျောက်ရှုပါန်။ ၃၅







38-3 #1576

(1878 - 1940)

?

25 PAGES



ეს ისტორია
მდგრადი ეპოქა.
უკავშირი და მარცხენა
უმოწვევა და გადაზის.
1923/24 წელი.

ვერემანელი ქართველები

29528



8 3 6 3 0 5

19 0 9 0 6 0 3 5

1954 28/XXI

12 5 3 6 1

4 60

А. Челидзе
ФЕРЕЙДАНСКИЕ ГРУЗИНЫ
Федерация

3. რედაქტორი — დ. კუბლაშვილი	მთავლიტის № 3412
რედაქტორი სტილისტი და	შეკვეთის № 1220
ტექნიკა — გ. გორგაძე	
კორექტორი — ჩ. გაბესკირია	სტამბას გადაეცა 10/XII—34
გამომშევბი — ი. ზელლიშვილი	ხელ. მოწ. დასაბეჭდათ. 20/11—35
ანაზ. ზომა — 5×8	ს. პ. სკოლა. ა. წერეთლის ქ. № 8/5

მოკლე შინასიტყვაობა

ფერეიდნელი ქართველების ცხოვრების შესწავლას, ამ ბოლო დროს, ჩვენი საზოგადოება სათანადოყურადღებით ეპყრობა. სამი საუკუნის ტრაგიკულისიჩუმე შავ ფარდა-სავით იყო ჩამდგარი ჩვენსა და მათ შორის, და არ ვიცოდით ეს ჩვენი სხეულის „ნაგლეჯი“ ცოცხალი იყო ისევ თუ არა. ბევრია ახლაც ჩვენში, რომ მათი აქედან გადა-სახლებისა და დღევანდელი არსებობის შესახებ არაფერი იცის. მით უმეტეს ასევე უნდა ვითიქროთ თვით ფერეიდ-ნელ ქართველებზედაც. სწორი იყო ერთი ფერეიდნელი ქალის გულუბრყვილო შეკითხვა თუ — „საიდან ვიცით ჩვენ მათი ენა, რომ ჩვენც მათსავით ვუბნობთ“. ხოლო მეორემ უფრო მკაფიოდ დააყენა საკითხი: „თქვენი ენა კარგად არ გამეგება, ჩვენი ენა სჯობია თქვენსასო“. და, როდესაც მისმა სიტყვებმა საერთო ლიმილი გამოიწვია, მან ისევ იკითხა: „რომელია ნამდვილი ენა, თქვენი თუ ჩვენიო“. ამაზე თვით ფერეიდნელმა ქართველმა მამაკაცებმა უპასუ-ხეს, რომ ნამდვილი ენა „დიდი საქართველოს ენა არისო“. მათი სიტყვით, ფერეიდანი „პატარა საქართველოა“ და აქვს თავისი საკუთარი ენა. ასეთ ლოგიკურ დასკვნამდე მიყავს ისინი თავისი ისტორიის, თავისი თავის უცოდი-ნარობას.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, საუკუნეების ეს ცივი სიჩუმე, ჩვენსა და ფერეიდნელ ქართველებს შორის დაურღვევია შემთხვევით ვინმე ინგლისელს, რომელსაც თეპერანიდან წამოუყვანია ა.ო ნიკა შვილი, მოუყვანია ბაქოშე თავის ხარჯით და შემდეგ გამოუგზავნია ტფილისში 1871 წელს. ამის შემდეგ, ზ. ჭიჭინაძისვე ცნობით, ფერეიდნელი ქართვე-ლების არსებობის შესახებ ცნობები მოთავსებული ყოფი-ლა სომხურ პრესაშიც,

და, ასე, სრულიად მოულოდნელად, კარზე მოგვადგა ისტორიის დავიწყებული, ნიღაბახდილი აჩრდილი. ეს იყო პირველი ნიბიჯი გადმოდგმული ჩვენსკენ ისტორიული ნაშთის აღსაღვენად.

ამ ახალ მოვლენას, ჩვენის მხრივ, პირველად გამოეხმა-
ურა ლადო აღ ნია შვილი. ის.ნათესაური გრძნობით გულ-
გამთბარი, მცირე თანხით, ვირზე შემჯდარი გაუდგა სპარ-
სეთის გრძელსა და უწყლო უდაბნოებს, სიცხის ალმურში
გაიარა მრავალი საშიში აღგილები და 1894 წელს მიაღ-
წია ფერეიდანს. იქ მან კარგა ხანს დაჰყო. შეისწავლა
მათთ იმ დროინდელი ცხოვრება. ასწერა ყველაფერი, რაც
ნახა, განიცადა, და როდესაც უკან დაბრუნდა, მას უკვე
აღარ გააჩნდა ჯიბეში გზის სახარჯოდ არც ერთი გრძ-
ში. ერთმა პატიოსანმა, ასე ვთქვათ მაღლიანმა, შემთ-
ხვევით გაცნობილმა სპარსელმა სომეხმა მისცა მას სესხის
სახით საგზაო ფული, და რამდენადაც თვით ლადოს სიტ-
ყვიერი გადმოცემით ვიცი, ეს ვალი გაისტუმრა მან, მისი
სიძის, აღ. მირიანა შვილის შემწეობით.

ამის შემდეგ, დაიბეჭდა ლადოს სპარსეთში მოგზა-
ურობის წიგნი — „სპარსეთი და იქაური ქართველები“. ამგვარად, გადაინასკვა საბოლოოდ ჩვენი და ფერეიდნელ
ქართველების გაწყვეტილი კავშირი. ამას დაემატა ხუცი-
შვილისა და ონიკა შვილის მოსვლა ტფილისში 1896წ.
მაყა შვილი და მისი სიძე ნასრულა — 1900 — 2 წ.
(ნამდვილი ცნობა არ გვაქვს), ა. ჭუმბაძის გამგზავრება
და რაღაც ხითათის გამო, გზიდან უკან დაბრუნება; ი. ჭერ-
შვილის ყოფნა ფერეიდანში; სეიფოლა იოსელიანის
მოსვლა 1922 წელს; ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოქვეყნებული
წიგნაკი სპარსეთში გადასახლებულ ქართველების შესა-
ხებ და აშ უკანასკნელად პროფ. ა. ჩიქობავას გამოკვ-
ლევა „ფერეიდნული ენის თავისებურებანი“, გამოც. 1927 წ.

— ყველა ამ ზემოხსენებული ცნობების შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ, ამ ბოლო დროს, რამდენიმეთ მაინც დავძლიერ ჩვენი ძველი დაუდევრობა სპარსეთში გადა- სახლებულ ქართველების ცხოვრების შესწავლის მხრივ.

მაგრამ ფერეიდნელი ქართველები და მათი ყოფა-ცხოვ- რება მარტო ჩვენში არ ყოფილა უპატრონოდ მივიწყებუ- ლი. თვით მათს დღევანდელს სამშობლო სპარსეთში, საღაც, როგორც ვიცით, სამას წელზე მეტი გაატარეს, არა- ვის მოგონებია ისინი, როგორც საისტორიო საგანი, გარ- და გადასახადის აკრებისა და; ალბათ, იმასაც არ კითხუ- ლობდენ თუ ვინ იძლეოდა ამ აუცილებელ გადასახადს — ვინშე ქართველი, ბახტიარი, თუ ქურთი. არაფერი იცოდა მათი არსებობის შესახებ ისფაპანელმა ცნობილმა ისტო- რიკოსმა სეიდ ალიმ, რომელსაც საისტორიო შრომის ჯილდოდ, რეზა შაჰმა მშვენიერი საწერ-კალამი აჩუქა.

ამ პატივუემულ ისტორიკოსს შედგენილი და დაბეჭდი- ლი აქვს, სხვათა შორის, მთლიანი სტატისტიკა თუ რამ- დენნაირ, რა ენაზე ლაპარაკობენ სპარსეთის ტერი- ტორიაზე მცხოვრები ერები, ხოლო, მათ შორის, არა აქვს მოხსენებული ქართული ენა. როდესაც, ვროფ. იური მა- რის მითითებით, ეს მოვაგონე, ისტორიკოსი გაკვირვებუ- ლი დარჩა. მან უცებ ამოილო უბის წიგნი, კალამი მოიმა- რჯვა ჩასაწერად და თან გაიძახოდა:

— აჯაბ, აჯაბ!. (საკვირველია, საკვირველიო.) ხოლო ამ დროს, არ ვიცი, რა უფრო უკვირდა მას: ის, რომ ფერე- იდანში ქართულს ენაზე ლაპარაკობენ თუ ის, რომ ეს ამბავი მან არ იცოდა აქამდე.

და, ი, ამიტომ სამართლიანად ამბობდა სომეხთა სასულიერო წოდების უმაღლესი წარმომაღგენელი, რომე- ლიც კარგად იცნობდა ფერეიდნელი ქართველების ცხოვ- რებას: „ისინი დავიწყებული არიან,,ლმერთისა“ და კაცისა-

განო“. როგორც ჩანს, ყველასაგან დავიწყებულთ, მათ თავიანთი თავიც დაუვიწყიათ. ასე თუ ისე, დავიწყების გზაზე მაინც დამდგარან. სასტიკმა მაპძალიანობაშ და მუდმივმა ფიქრმა ლმერთზე, ცხადია, გამოაკალა მათ თავისი წარსული ისტორიის კოდნის უნარი, რომ საჭიროა თავისი თავის, თავისი ისტორის კოდნა, რომ სხვამაც გიცნოს. ამისი მაგალითი თვით მათივე მეზობელი, მათსავით ერთსა და იმავე ისტორიის ქარტეხილში განვლილი სომხები არიან, რომლებსაც მთელი ქვეყანა იცნობს.

შესაძლებელია, იმ ინგლისელმა, რომელმაც პირველად გაგვაცნო ფერედნელი ქართველი კაცი, უკეთ იცოდეს მათი ცხოვრების ისტორია, ვიდრე ჩვენ ვიცით დღეს. ამის დასამტკიცებლად დავასახელებ იმ ფაქტს, რომ თვით სეიფოლა იოსელიანის სიტყვით, ამ უკანასკნელ წლებში, ერთ ინგლისელ მოგზაურს გამოუკვლევია არამარტო ხალხთა ცხოვრება, არამედ იქაური ცხვრების ჯიშიც.

ისფაპანსა და ფერეიდანში არიან სომხები და ებრაელები, რომელთა რიცხვი ქართველებზე მეტია. მათ, მიუხედავად ყოველგვარი შევიწროებისა, ფანატიკოს-მუსულმანთა მიერ სასულიერო წოდების წაქეზებით, დღემდე სათანადოდ დაუცავთ თავიანთი ეროვნული ზევისება, სარწმუნოება და კულტურულ გზაზედაც დამდგარან. ამ მხრივ სომხები მაღლა დგანან ყველა სხვა ეროვნებაზე და თვით სპარსელებზედაც. ამის ერთ მაგალითად შემიძლია დავასახელო ის ფაქტი, რომ ისფაპანიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით მცხოვრებმა ჯულფელმა სომხებმა, ერთხელ დიდ საზეიმო წვეულებაზე, ყოველ სტუმარ უცხოელს თავის ენაზე მოლაპარაკე, ნასწავლი სომეხი მიუჩინეს, რომ უცხო სტუმართ არ მოწყენოდათ. და რამდენად დაბლა უნდა იდგენ ამათზე ფერეიდნელი ქართველები, რომლებმაც

არა თუ უცხო ენები, თავიანთი მშობლიური სპარსულ-ქართულიც კი სათანადოდ არ იციან.

სპარსეთის მთავრობა როგორც სხვებს, ისე ქართველებსაც არ უშლიდა, სხვათა შორის, თუ იგი თავის დედა-ენაზე ისწავლიდა რამეს. მაგრამ დღემდე ამ საქმის წინ წამწევი ადგილობრივი ძალა არ ყავდათ. ზემო მარტყოფში 1928 წელს მოხერხდა ისეთი სკოლის დაარსება საღარ, სპარსულთან ერთად, შესაძლებელი იყო ქართულის სწავლებაც. მაგრამ იმ ათი თუ თორმეტი ათას კაცში, რომლებიც ჯერ კიდევ თავიანთ თავს ქართველებად თვლიან, არ აღმოჩნდა არც ერთი, რომელსაც შეეძლო ქართული ენის მასწავლებლობა გაეწია.

ასე თუ ისე, როგორიც უნდა იყოს დღეს ფერეიდნელი ქართველების ცხოვრება, ისინი იმდენად ჩამორჩენილი არიან, რომ მათ უსათუოდ ჭირდებათ დამხმარე-წამქეზებელი და ამასთანავე საჭიროა მათი ცხოვრების ისტორიულ-მეცნიერული შესწავლა-გამოკვლევა.

დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ მე სპარსეთის მიწაზე ფეხი შევდგი თუ არა, როგორც მოხალისემ, დაინტერესებულმა ქართველების ცხოვრებით, შეძლებისადაგვარად, თანდათანობით აღვნიშნე ყოველივე, რაც გავიგონე და რამაც გაიარა ჩემი თვალის წინ, რომ მკითხველისთვის რამდენიმეთ მაინც ნათელი გახდეს, თუ როგორ პოლიტიკურსა და ეკონომიკურს პირობებში არიან ისინი ამჟამად.

და რომ უფრო ნათელი გახდეს ჩვენთვის მათი დღევანდელი ცხოვრების სურათი, მე ამ ნაშრომს თან დაურთე სპარსელ სომხების და ებრაელების ცხოვრების მცირე აღწერა. მკითხველი დაინახავს თუ რამდენი სხვადასხვაობა შეიძლება წარმოდგეს ერთსა და იმავე მიწაზე, ერთსა და იმავე ცხოვრების პირობებში. მცხოვრებ ხალხთა შორის,

იმის შინელვით ჰყავს თუ არა ჰყავს მათ ხელისშემწყობი,
მოწინავე ელემენტები.

ფერეიდნელ ქართველების შესახებ ჩემს მიერ წაკითხული
იყო მოხსენება, ბუნდოვანი სურათების ჩვენებით, რუს-
თაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში 23/VI 1930 წ.

ა 3 ტ რ ს 0

სპარსელი ქართველები

თავი ბირველი

ისტორიული ცენტრის სიმარტი. გადამავალი ნაშთები. პირველი შეხვედრა ფერების მართვების თაობის დროის განვითარების — ქართველების მიღება ტყილისის — ქართველების გასავრცელებლად.

სპარსელი ქართველების წარსული და აწმუნ, მათი ისტორია საკმაოდ შეუსწავლელია, დაუმუშავებელია, თვით ისტორიის წყაროები დაფანტულია, შეუმოწმებელი და ბუნდოვანი; თუ ცოტა რაჭ ვიკით, ისიც მხოლოდ ფერე-იდნელ ქართველებზე. სპარსეთის დანარჩენ. ადგილას მოსახლე ქართველების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით.

ფერეიდნელი ქართველობა ერთად ერთი ნაშთია სამი საუკუნე ნახევრის მანძილზე იმ ასიათასობით სპარსეთში გადასახლებულებისა, რომლებსაც შერჩენიათ დღემდე მხოლოდ ტელაენა, როგორც დამამტკიცებელი მათი ეროვნული თავისებურების; ფერეიდნელ ქართველების შემწე-ობით ცეცნობით გადასახლებულების გამაჰმადიანების ის-ტორიას ზეპირი გადმოცემით, და აგრეთვე მათ თანამედ-როვე ცხოვრებას, მათს თავისებურებას.

ჩვენ წარსულში იმდენად ვიყავით დაკავშირებული პოლიტიკურად სპარსეთთან, ზოგჯერ სრულდად დამოკიდე-ბული მისგან, რომ არა თუ მარტო ძალად გადასახლებული, არამედ თავიანთი ნებით წასულნი და სამუდამოდ იქ დარჩნილნიც ბევრი უნდა ვიგულისხმოთ.

ჩვენ რომ თავის დროის უამთა სათანადო აღმწერელი გვყოლოდა, ცხადია, ამ მხრივ ბევრ საყურადღებო და ძვირფას საისტორიო უტყუარ მასალას დაგვიტოვებდა. მაგრამ მაინც მოგვეპოვება ზოგიერთი ცნობები, რომ ქართველი რაინდები და მეფისწულები ხშირად ახლდენ სპარსეთის შაჰებს თავიანთი ჯარებით, რომელთა რიცხვი ათასობით დაითვლებოდა. მაგრამ არავინ იცის, მათგან რამდენი ბრუნდებოდა უკან, რადგან ასეთი დაბრუნება შეიცავდა დიდ სიძნელეს, რომელსაც ხშირად ველარ გადალახავს პირადი სურვილი. ამ რაინდებისა და მეფისწულების თითქმის მუდმივი და ზოგჯერ სავალდებულო, იძულებითი იქ ყოფნა, მათი გამაპმადიანება, ეკონომიურად დაკავშირება ადგილობრივ ცხოვრებასთან, გვათიქრებინებს, რომ მათ ბევრი ახლდა თან მოყმე-ხელქვეითნი და, ცხადია, ბევრი მათგანი უთუოდ დარჩა სამუდაშოდ იქ, სპარსეთში.

ისტორიის გადმოცემით, ქართველი დიდებულები და ფეოდალები, თავიანთი საჭიროების მიხედვით, ყიდდენ აუარებელ ყმებს ყოველწლიურად. ეს ყმები იყიდებოდენ უმთავრესად სპარსეთსა და ოსმალეთში. დასავლეთ საქართველოდან ოციათასი ყმა იყიდებოდა ყოველწლიურად ოსმალეთის ბაზარზე, ამ ასი წლის წინათ: ასეთ ჩვეულებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ქართლ-კახეთში. ყმების ასეთი „მშვიდობიანი“ გაყიდვა ხდებოდა, ცხადია, შეუმჩნევლად. ის არ იწერებოდა ისტორიის ფურცლებზე და, შესაძლებელია, მის დაწერას ვერცგაბედავდენ იმ დროის ისტორიკოსები. ასეთი საქციელი მიაჩნდათ იმ დროინდელი სოციალური პირობების ბუნებრივ აუცილებელ მოვლენად, რადგან ყმა მცირედ განსხვავდებოდა იმ შინაურ ცხოველებისაგან, რომლებიც განწირული იყვნენ ფულზე გასაცვლელად, როგორც შემოსავლის წყარო.

რაც უნდა იყოს მაინც ცხადია, რომ სპარსეთში გადა-
სახლებულ ქართველთა რიცხვი ბევრად მეტი უნდა ყოფი-
ლიყო, ვიდრე მას გვიჩვენებენ ზოგიერთი ჩვენი ისტორი-
კოსები.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, „სპარსეთში გადასახლებულთა“
რიცხვი ერთ მილიონზე მეტი უნდა ყოფილიყო, მოყოლებუ-
ლი მეთოთხმეტე საუკუნიდან. ამის დადასტურება მომავა-
ლი ისტორიის საქმეა. მხოლოდ ის კი აშკარაა, რომ გადა-
სახლებულ ქართველთა ნაშთების კვალი დღესაც ბევრგან
არის — მაგალითად: აბასაბადი — აღმოსავლეთის მხრივ
მეშედის მიმართულებით, ქ. დამგანსა და საბზევარის შუა.
აგრეთვე თავრიზის გზის მიყოლებით — ჰამიდანის რაიონი,
თეჰრანი, ისფაჰანი, ნეჯეფაბადი, შირაზის რაიონი და
ფერეიდანი.

ამ ადგილებში ქართველობა, ფერეიდანის გარდა, ყველ-
გან გადაგვარებულა, მაგრამ ზოგგან მაინც ახსოვთ თა-
ვიანთი ჩამომავლობის ისტორია. იციან, რომ ისინი ოდეს-
ლაც საქართველოდან გადმოსახლებული ქრისტიანები ყო-
უილან, ხოლო შემდეგ გამაჰმადიანებულან. ყველა ისინი
იმდენად შეთვისებიან და შეზრდიან სპარსულ ზნე-ჩვეულე-
ბასა და მაჰმადის საწრმუნოებას, რომ საქართველო და
ქრისტიანობა მათთვის ის ისტორიული წარსულია, რომელ-
საც არასოდეს აღარ დაუბრუნდება. ქართველი მაჰმადი-
ანი ნაკლები ფანატიკოსი არაა სარწმუნოების დაცვაში,
ვიდრე თვით სპარსელი მუსულმანი. მე მხოლოდ აღვნიშნავ
საისტორიო მასალისათვის იმ ფაქტებს და ნაშთებს, რომ-
ლებიც დარჩენილან უკანასკნელ საუკუნეში და რომელთა
ასავალ-დასავალი გაქრება მაღლე. ჩვენთვის კი იმდენად
წარმოადგენენ ისტორიულ ლირებულებას, რამდენათაც და-
გვრჩება მათი მოგონება.

თეჭერანში, ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ, ძველს ბაზარში კიდევ ყოფილა ადგილი, რომელსაც ეძახდენ „ქართველების ქარვასლას“. ქარვასლა პირველად თურმე ეკუთვნოდა შაჰს. შემდეგ ის შეუძენია კერძო ვაჭარს, რის შემდეგ, მისი სახელი გამოცვლილა და დავიწყებულა. თვით ფაქტი ქარვასლის არსებობისა იმის დამამტკიცებელია, რომ თეჭერანის რაიონში ქართველთა მოსახლეობა საკმაოდ ყოფილა. ასეა, მაგალითად, დღესაც ისტაჰანში. ფერე-იდნელ ქართველებს ამოჩემებული აქვთ ერთი ალაგი, რომელსაც „ქართველების ქარვასლას“ ეძახიან. ყოველი ფერეიდნელი ქართველი უსათუოდ ჯერ იქ მივა და მათი პოვნაც მხოლოდ იქ შეიძლება. ცხადია, ასევე იქნებოდა ძველად თეჭერანშიც¹.

¹ თეჭერანში ყოფნის დროს, დიდი ხვეწნის შემდეგ, შმოვან მალაიანმა გადმომცა შაჰსულთან ჰუსეინის ფარმანი (ბრძანება,) რომელიც, თვით მალაიანის სიტყვით, თითქო შაჰს უბოძებია რომელილაც ქართველი დიდებულისთვის. ფარმანში მოხსენებულია, რომ ებობა ალი ყული ხანს თოფჩიბა შობა (არტილერიის უფროსობა) და ქალაქი ქერმანი. — მაგრამ ფარმანში არა ჩანს ალი ყული ხანის ქართველობა. ფარმანის თარიღი ძალიან უახლოვდება იმ ისტორიულ ფაქტს როდესაც „შაჰ სულთან ჰუსეინმა დაახლოებით 1703 წ. სპარსეთის ჯარის უფროსად დანიშნა ქართველი გიორგი მეფე — ავლანელების წინააღმდეგ საომრად და ამასთანავე უბობა მას ქ. ქერმანი. ამავე დროს, გიორგი მეფის მიერ ქერმანის მართველად დანიშნული იყო ლევან ბატონიშვილი, რომელმაც დაიმორჩილა ადგილობრივი აჯანყებული ტომები“ (ს. კაკაბაძის ისტორია, გამოც. 1922 წ.).

საგულისხმოა აგრეთვე, რომ ალი ყული ხანად იწოდება შაჰის ქარხე მყოფი გამაპმადიანებული იესე ბატონიშვილი, რომელიც შაჰის მიერ დანიშნულ იქნა ქართლის მეფედ 1714 წ.; იესემ თავის მხრივ ქერმანში გაგზავნა ვახტანგ მეფე. ასე რომ, ქერმანი, მართლაც, ქართველ დიდებულების საკუთრებას შეადგენდა იმ დროს. ამრაგად შესაძლებელია, ხსენებული ფარმანი, მართლაც, ეკუთვნოდა რომელიმე ქართველს. ფარმანი შესრულებულია მხატვრულად. იგი გადაცემულია ქართულ ეროვნულ მუზეუმში.

საბჭოთა კავშირის მისიის უდიდესი ბალი თავისი შენობებით შეძენილი ყოფილა მეფის მთავრობის მიერ შაჰის ვეზირის, ჩამომავლობით ქართველი ათაბეჭისგან. ვეზირის სიკვდილის შემდეგ, მისი შვილები განადგურებულან. მათი ნაქონი ავეჯი-სკამები, რომლებსაც აწერია ათაბეგის სახელი, შეძენილ იქმნა 1923 წელს საპატიო ბანკისთვის.

სომხის ერთ ოჯახში, რომელიც ქართველთა ჩამომავლად თვლის თავს, ჰქონიათ ძველი ქართული ხელთნაწერები, რომელიც შეუძენია, ამ ათი წლის წინათ, ქართველ სამხედრო პირს, ვინმე ამირეჯიბს. ამავე სომეხს აქვს ქულაჯაში გამოწყობილი პატარა ვაჟის, ხელით ნახატი სურათი. სურათს არაფერი აწერია. იგი უნდა იყოს ალექსანდრე ბატონი შვერლის შვილიშვილი იმ ქალიდან რომელ იც ყოფილა გათხოვილი ვინმე სომხის გენერალზე და მარხია სომხის ეკლესიაში. ბავშის სურათი შესრულებულია უხეიროდ და აფასებს ას თუმნად სპარსულ ფულზე, ე. ი. ორას მანეთს ოქროთი.

თეჰერანში არიან აგრეთვე სხვა სპარსელებიც, რომლებიც თავს ქართველების ჩამომავლად აღიარებენ, მაგრამ სხვა არაფერი ახსოვთ.

უკანასკნელი გადაგვარებული სოფელი არის მაზანდერანში — აბას აბაზი. ეს სახელწოდება თითქმის უდავოდ ამტკიცებს, რომ ისინი დასახლებული ყოფილან შაჰასის მიერ (აბას აბად — აბასის სოფელი). ენა მათ თითქმის ამ ბოლო დრომდე შერჩენიათ. ამჟამად კი გადასული არიან წმინდა სპარსულზე. ქართული დაუვიწყიათ. ინოცებისნ უკანასკნელი მოხუცნი, რომლებსაც რამოდენიმეთ კიდევ ახსოვთ ძველი დედაენა. სიტყვიერი გადმოცემით, „გარდაიცვალა უკანასკნელი დედაკაცი, რომელმაც ქართული ენა იცოდაო“.

ისფაპანსა და მის მახლობელ ქალაქ ნეჯეფაბადში ახლაც ბევრი არიან, რომლებსაც კარგად ახსოვთ თავი-ანთი ქართული ჩამომავლობა. თვით ნეჯებ აბადში არის ყოფილი ქართველი ხანი, რომელსაც, ფერეიდნელი ქართველი მაჰმუდას სიტყვით, თითქო უნდა ჰქონოდა რაღაც საყურადღებო საბუთები, მაგრამ არაფერი აღმოაჩნდა.

ასევე გადაგვარებულან ქართველები შირაზის რაიონში. ამ რამდენიმე წლის წინად, ე. ი. 1927 წელს, ლურების აჯანყების დროს, სხვათა შორის, მთავრობამ ქართველი ჯარისკაცები გააგზავნა, მათ დაეწყოთ ქართული ლაპარაკი თუ არა, ერთი ხანი გაკვირვებული შეკითხებოდათ: — ეს ჩემი ძველი ენაა, თქვენ საიდან იცითო?

როდესაც გაეგო, რომ ისინი ფერეიდნელები იყვნენ, ტირილი დაეწყო.

— „ჩვენ ბევრი ვიყავით, მაგრამ ყველაფერი დავივი-წყეთ. თქვენ კარგად მოქცეულხართ, თავი შეგინახიათო“.

მან თურმე დიდი პატივი სცა ქართველ ჯარისკაცებს, ფულითა და შაქრით დაასაჩუქრა და სთხოვდათ, სანამ აქ იქნებით, არაფერს გაგიჭირვებთ, მალმალე მინახულეთო.

მხოლოდ ფერეიდნის მივარდნილს, განმარტოებულ, ვიწრო და მიყრუებულს მთებში მცხოვრებმა ქართველებმა შეინარჩუნეს, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, სათანა-ლოდ ქართული ენა. ესენი არიან ერთად ერთი ცოცხალი ნაშთი ჩვენი ერისა, რომელიც ჯერ კიდევ ატარებს ქართველს სახელსა და სახეს. მათზე ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

* * *

მე სპარსეთში წავედი 1923 წელს. თეჰერანი, სადაც ვმსახურობდი, დაშორებულია ფერეიდანზე დაახლოებით შვიდასი კილომეტრით. ამიტომ, პირველ ხანებში, ქართვე-

ლებს ვერ შევხვდი, მით უფრო, რომ იქაური ქართველები გარეთ გამოუსვლელი ხალხია. იმ დროს სპარსეთი ახალი გარდატეხის გზაზე იდგა. ძველი შაჰი ისევ თავის მამისეულ ტახტზე იჯდა. ახალი კი, ვეზირის სამოსელში მყოფი, გარს უვლიდა მას და ჩუმაღ უთხრიდა ორმოს, რომ შიგ გადაეჩეხა, ტახტზე თითონ დამჯდარიყო და სპარსეთის ბედის ჩარხი თავის ნებაზე დაეტრიალებია.

გარეშე ომია და რევოლუციებს აქაც თავისი გავლენა მოეხდინა. მაგრამ ცხოვრება მაინც ერთ წერტილზე გაყინულს გავდა. სახელმწიფო დიდ კრიზისს განიცდიდა. ძველი ალარ ვარგოდა. ახალი არ იყო. ამ დროს სპარსეთის გზებზე სიარული დიდ ხიფათს წარმოადგენდა. ურკინის-გზო ქვეყანა. ავტომობილების მცირე მიმოსვლა. ცუდი გზები. თუ იყო ავტომობილი, ჭირა ძალიან ძვირი. მგზავრობას დრო ბევრი უნდებოდა. ამიტომ, თუ სამსახურს თავს არ დავანებებდი, ჩემი ფერეიდანში წასვლა შეუძლებელი იყო. დრო გადიოდა. ჩემს განხრახვას ფარულად ვინახავდი, რადგან, თუ გავამხელდი, შეიძლება ვეღარ შემესრულებია. ეს კი არ მინდოდა. კარგა ხანს ვებრძოდი ამ აზრს, და ზოგჯერ დამარცხებულიც ვრჩებოდი.

სრულიად მოულოდნელად ჩემს ბინაზე შემოიჭრა ჩვენი, ბანკის თანამშრომელი ა — ე ჭ — ე. მან ალელვებით მითხრა: — კაცო, ბანკის კარზე ერთი ფერეიდნელი ქართველი დგას. ტირილით მეხვეწება ქართველები მაჩვენეო.

მეც სწორედ ეს მინდოდა. მან მოიყვანა შუატანის კაცი, ცოტა გამხდარი, რომელიც ქართულად მოგვესალმა, თუმცა თითონ ძალიან ნაკლებად გავდა ქართველს. მოკლე ცხვირი. ხორციანი ტუჩები. თვალები ჭროლა. მისი მორთულობა, ცოტა არ იყოს, გვეუცხვა, რაღგან ეს სრული გოჩლაჩული მოსასხამი, იუბკის მსგავსი შავი შალვარი, თუჯის კორუასავით მრგვალძირიან ჭიჩის ჭუდი,

2. ფერეიდნელი ქართველები

ერთი შეხედვით, სრულებით არ ეგუებოდა იმ ცოცხალ ქართული ლაპარაკის კილოს, რომელსაც ის თავისუფლად გამოთქვამდა. მას წელზე შემოხვეული ჰქონდა სამ წყებათ თეთრი სარტყელი. ახალოხი ვიწრო, ტანზე შეძოჭერილი, იღლიებში განგებ გამოჭრილი ჰაერის საშუმაოდ. ფეხსაც-მელები თეთრი ძაფისგან შოქსოვილი, რომელსაც ძირები ნაკეცი ჩვრებისგან ჰქონდა შეკერილი, რბილი და ტყავის ლანჩაზე უფრო გამძლე, განსაკუთრებით შეფარდებული მშრალ ჰავასთან. თეთრი პერანგი უსაყელო, გრძელი სახელოებით, რომელიც უფარავდა ხელის ჩონჩხებს.

ეს იყო ყოლამ ჰუსეინ მიქელიშვილი, ფერეიდნელი ქართველი, ზემომარტყოფელი. იგი თურმე რამდენჯერმე მოსულა ბანკის კარებთან, მაგრამ ჩვენ ვერ უნახავართ.

კარგი ცოცხალი ენის კაცია. უყვარს ბევრი ლაპარაკი და ხშირად აჭარბებს კიდევაც, მაგრამ ჩვენ მაინც ყველა-ფერი კარგი გვეჩვენება. მან ისე გამიადვილა ფერეიდანში წასვლის საქმე, რომ ჯერ მე უნდა წავეყვანე, ხოლო შემ-დეგ იქიდან ორივე პირდაპირ საქართველოში უნდა წა-მოვსულიყავით.

ამის შემდეგ, ორ დღეში ერთხელ მაინც შემოივლიდა ჩვენოან. ის შუა ეზოდან დაიწყებდა ქაქანს:

— შინა ხართ? როგორ ხართ?!.. და შემოალაჯებდა დაუკითხავად, რომ ჩვენ კარების გაღებასაც ვერ მოვას-წრებდით. გველაპარაკებოდა ყველაფერზე მოუწყენლად, დაუღალავად. შემდეგ გაეცნო სხვა ქართველებსაც და აღარც შეუწყვეტია ჩვენთან ყოველდღიური კავშირი.

ამის შემდეგ, მოვიდა ჩემთან საქართველოდან ახლად-დაბრუნებული სეიფოლა იოსელიანი. ხაკისფერი ტუ-შურკა ეცვა, ბოხოხი ეხურა, გალიფეს შალვარი, პალტო ეცვა. ერთი სიტყვით, ის სრულებით არ გავდა სპარსელ მოქალაქეს. სულიერი განწყობილება კმაყოფილი, მხიარუ-

ლი. ყველაფერს საქართველოს ქებით იწყებდა და ამითვე ათავებდა. მოსწონდა განსაკუთრებით ტფილისი, კმაყოფილებით იგონებდა სხვადასხვა ქალაქებში გატარებულ დროს. დიდი მაღლობით იშენებდა ყველას და მიკვირდა, რომ ერთი ცუდი სიტყვა არავისზე წამოცდენია. თუმცა, როგორც შემდეგ გავიგე, მას ასეთი სალაპარაკოც ჰქონდა.

სეიფოლას ჩამოსვლამ კიდევ უფრო გაარღმავა და გაადვილა ჩემი მიზანი. მე მას არ ვიცნობდი პირადად, მხოლოდ გაგონილი მქონდა მისი ტფილისში ყოფნა. ის წამოსულიყო ტფილისიდან შუა - აზის გზით: აშხაბადიდან მეშედში. მეშედი მდებარეობს აღმოსავლეთ სპარსეთში, აშხაბიდიდან ორას სამოცი ვერსის მანძილზე. აქ მარხია მაჰმადის მერვე მოციქული იმამ რეზა და ითვლება ერთ უდიდეს წმინდა ადგილად, სადაც ყოველდღიურად სპარსეთის ყველა კუთხიდან მოედინება მლოცველთა უთვალავი ურდო და „განწმენდილი“ ბრუნდება უკან. სეიფოლას წინდაწინ მოეფიქრებია, რომ ის, როგორც საქრისტიანო ქვეყანაში ნამყოფი, თუ არ „განიწმინდებოდა“ მეშედში, მას ჩათვლიდენ, როგორც გაუწმინდურებულ მუსულმანს. ეს დაუკარგავდა სახელსა და ნდობას. და, როგორც თითონ ამბობდა, „შესაძლებელია, სხვა რაიმე უბედურება დამატებონ თავზეო“. ამის გამო გაიშორა მან გზა დაახლოებით ორი ათასი კილომეტრით და დაკარგა დრო ერთ თვეზე მეტი. თუმცა დროს დაკარგვას ის, როგორც აზიელი, არ ჩიოდა.

ჩამოვიდა თუ არა თეპერანში სეიფოლა, პირველად ახლანდელი შაპი, იმ დროს პარველი ვეზირი, რეზა ხანი ინახულა. მან მოთხოვა ვეზირს ფერეიდნელ ქართველებისათვის იარაღის შეძენის ნებართვა, რომ ყაჩალ ქურთებისა და ბატიარების დაცემის გან თავი დაცვათ. ამაზე მან ზრდილობიანი უარი მიიღო: „მაგისთანა ხალხს თვით სა-

ხელმწიფო ალაგმავს. და იარალი ხალხს რაც აქვს, ისიც უნდა ჩამოვართვათო". შემდეგ თურქე თვით ვეზირი შეკვითხა ლიმილით:

— რაიმე ნობათი ხომ არ მოგიტანია საბჭოთა ქვეყნიდან?

— თქვენო დიდებულებავ, მე ლარიბი კაცი ვარ. ვერ შევიძელი თქვენი საკადრისი რაიმე წამომელო.

— არა, მაგაზე არ გეკითხები. ახალი კომუნისტური ადათები ხომ არ ჩამოგიტანია გასავრცელებლად?

ვეზირის აზრს მაშინვე მივხვდი, თქვა სეიფოლამ, და იმიტომ მეც მისი კითხვიდან განგებ გადაუხვიე, რომ ეჭვი არ შეეტანა ჩემს მოქმედებაშიო.

* * *

სეიფოლამ, სხვათა შორის, მიამბო სპარსეთიდან მისი საქართველოში წამოსვლის დროს მომხდარი ეპიზოდი, რომელიც გადახდა მას ბაქოში ერთი ქართველის გამო. ეს პატარა ეპიზოდი მომყავს სიტყვა - სიტყვით, იმიტომ, რომ იგი სათანადოდ ახასიათებს ზოგიერთ ჩვენებურ ტიპებს, რომლებიც თავიანთ პირადობას აზურდავებენ ავანტურისტულ ანგარებაზე — უცხო ქვეყნებში ყოფნის დროს.

1922 წელში ფერეიდანში მისულა ვინმე ქართველი, გვარად მან — ქ. ის ჯერ გაცნობია სეიფოლას ოჯახს. მასთან უცხოვრია. შემდეგ წინადადება მიუცია საქართველოში წამოსვლის. სეიფოლა ოცნების კაცია. მას ცოდნია საქართველოს ისტორია და ამიტომ წინადადებაზე აღვილად დათანხმებულა, მაშინვე სამზადისს შედგომია. გაუყიდია ცხენი, ფულზე ფული დაუმატებია და, როდესაც საჭირო თანხის რაოდენობა შეუგროვებია, თრივე გამომგზვრებულან საქართველოსკენ. თვით მ — ქ. არა-ფერი ჰქონია ჯიბეში გარდა იმ იმედისა, რომ საქართვე-

ლოში მივალ და იქ ამ უცხო კაცის გამო, შესაძლებელია, რაიმე კომბინაცია გავაკეთოო.

მან — ძეს, მოგზაურობის დროს, გზა და გზა ბანქოს თამაში დაუწყია. ჯერ თავისი მცირე თანხა წაუგია, შემდეგ სეიფოლასთვის გამოურთმევია ნაწილობრივ. ბაქოში რომ მოსულან, არც ერთს აღარაფერი ჰქონია. მას სეიფოლა დაუბინავებია სასტუმროში. თითონ სადღაც გამჭრალა. არც დღე მოსულა, არც ლამე. გასულა ორი დღეც. სასტუმროს პატრონს სეიფოლასთვის ფული მოუთხოვია. არც ფული მქონდა, არც ის ვიცოდი რას მელაპარაკებოდენ რუსულად, არც მე ვიცოდი რა მეთქვა. ვხედავდი სპარსული მათ არ ესმოდათ. ბოლოს გაჯავრდენ, ვარყობდი მლანძლავდენ, მაგრამ რას ვიზამდი. ბოლოს დაუძახეს მილიციონერს. ახლა მან დამიწყო რუსულად რაღაც ლაპარაკი. ისიც გამიჯავრდა. მე სპარსულად ბევრი რამ ვუთხარი, მაგრამ ვერაფერი გავაგებინე. ძალიან შევწუხდი, ჩემი თანამგზავრიც არ იქნა, არ გაჩნდა. როდესაც ილაჯი გამიწყდა თავი ფიქრებს მივეცი. შემდეგ, რაღაც ილბლად, ჩემდა უნებურად წამოვიძახე:

— რა ვქნა, ამ უღმერთომ რა მიყო ეს.!

მილიციონერი თურმე ქართველი იყო. ძალიან გაუკვირდა, მომგარდა.

— კაცო ვინ ხარ? საიდან იცი ქართული ლაპარაკი?!

— მე სპარსელი ქართველი ვარ, ვუთხარი მე. მომგარდა, გადამეხვია. ბევრი რამ გამომკითხა. სასტუმროს პატრონიც გაკვირვებული იყო. შემდეგ ჩემთვის ფული აღარავის მოუთხოვია. მილიციონერმა თითონ იკისრა ყველაფერი. გაშინვე წავიდა ჩემი თანამგზავრის საძებნელად. მთელი დღე ეძებდა თურმე. შემდეგ ეპოვნა სადღაც დუქანში. მოიყვანა. ბევრი საყვედური უთხრა. მეც ბევრი ცუსაყვედურე, მაგრამ მეტი რა უნდა გვექნა.. მას არ

რცხვენოდა. მილიციონერმა ქართველებში ტფილისამდე
საგზაო ფული შემიგროვა. გადმომცა. წამოვედით. ეს
კაციც თან წამომყვა. მისი ხარჯიც ჩემი ფულიდან გავი-
სტუმრე. ტფილისშიც დიღხანს არ მშორდებოდა. ხშირად
მთხოვდა ფულს. ვაძლევდი. მაგრამ მის მაგივრად მე მრცხვე-
ნოდა. სასტუმროში ვკხოვრობდი. მან — ძეს მთავ-
რობის კაცებთან მოელაპარაკნა, დაერწმუნებია, რომ მე
მდიდარი ვაჭარი ვარ, რომ ჩვენ შეგვიძლია ტფილისიდან
საქონელი წავილოთ სპარსეთში და იქიდან სხვა ჩამოვი-
ტანოთ. როდესაც ის შითხრეს, გამიკვირდა და უარი
განუცხადე. მაშინ მან — ძის მოქმედებაში ეჭვი შეიტანეს.
დაიჭირეს. ორი დღე და ღამე იჯდა. შემდეგ თვით მე
ვთხოვე უფროსებს და გაანთავისუფლეს. მან მაინც არ
მოიშალა ჩემთან სიარული და ფულის თხოვნა. ერთხელ
გავჯავრდი და დავემუქრე, მაგრამ მან ჩემი შვილი ფატულ-
ლა ხანი დამაფიცა და ვაპატიე. ასე ზააბოლოვა სეიფო-
ლამ თავისი ამბავი. თეჰერანიდინ ის მალე წავიდა ფერები-
დანში. ამის შემდეგ, ხშირი მიწერ-მოწერა გვქონდა. ფერე-
იდანში უკვე ბევრშა იცოდა ჩემი იქ წასვლის სურველი და
მოკითხვას მითვლიდენ. მისვლას მაჩქარებდენ, მიმელოდენ.

სეიფოლას წასვლის შემდეგ, ფერეიდნიდან ერთბაშად
რვა კაცი მოვიდა ჩემთან. მათი სიტუაით, ყველანი გვარად
იოსელიანები იყვნენ. ქართული ლაპარაკი ყველამ კარგად
იცოდა. ყოველ დღე მოდიოდენ. საათობით ისხდენ მუხლ-
მოკეცილი. სვამდენ ჩაის, მიირთმევდენ ხილსა და მთელ
ოთახს ავსებდენ თამბაჭოს ბოლით. მთელი თვე დარჩენ
თეჰერანში. ბევრი რამ თქვეს. ბევრი სიხარულის ცრემლე-
ბიც დაღვარეს. მლეროდენ სპარსულად. მხოლოდ ერთმა
იცოდა მოუთავებელი ქართული ლექსი „გადი-გამოდიან
ჩიტები, მე შენ როგორ შემეჭიდები“. სხვა რამ ქართუ-
ლი არცერთმა არაფერი იცოდა. ისინი ყველა ზემო მარტ-

ყოფილან იყვნენ. მე ყველა ისინი ქართველები მეგონა. მაგრამ მათგან მხოლოდ ხუთი იყო ქართველი. და არც ერთი მათგანი არ იყო გვარად იოსელიანი. სპარსელი კაცი აქამდე გვარს არ ატარებდა. ამიტომ მათაც ასე ადვილად გაასაღეს სხვისი თავისად. თვითონ არცერთმა აღარ იკოდა თავისი ძეველი გვარი.

მათ ფერეიდნიდან ჩამოერეკათ ცხვრები გასაყიდად. ყასბებმა პირი შეკრეს. ცხვარი იაფად ჩაიგდეს ხელში და ფულიც ერთი თვის განმავლობაში ძლივს მისცეს. ცხვრის, პატრონიც სპარსელი გამოდგა, მარტყოფის მცხოვრები, მექაში სალოცავად ნამყოფი — ჰაჯი ჰეიდარ ზლა. ქართველები კი მის მიერ დაქირავებული ნოქრები იყვნენ. მაგრამ, სანამ ფულის გაყოფაზე ჩხუბი არ მოუვიდათ, მანამდე ჩვენთვის არაფერი გაუმხელიათ.

თეჰერანიდან წასვლის დროს დიდის ამბით, დიდი გულისწუხილით გავვშორდენ. თითქმის ყველამ იტირა. ჩვენც გვწყინდა მათი დაშორება, მაგრამ მათსავით გულ-ჩვილობა მაინც ვერ გამოვიჩინეთ.

* *

ამ დროს ნ. ყარანგოზიშვილი ახლად ჩამოსული იყო ტფილისიდან თეჰერანში. მას ჰქონდა მანდატი, რომ ის იყო საგანგებოდ გამოგზავნილი განათ. კომისარიატის მიერ ფერეიდნელ ქართველების ცხოვრების შესასწავლად და ასაწერად. მისგან მივიღე აგრეთვე მოკლე წესდება ტფილისში დარსებულ კულტურული საზოგადოებისა, რომელიც მიზნად ისახავდა კულტურულ მუშაობას ქართველ მაჰმადიანებში. მან ჩამოიტანა ერთი ყუთი ქართული წიგნები, უმთავრესად სასწავლო სახელმძღვანელოები და ბელეტრისტული ნაწარმოებნი. იმ მიზნით, რომ გაგვე-კრცელებია ფერეიდნელ ქართველებში. განათლების კომი-სარიატის სახელით, სხვათა შორის, მეც მივიღე ორიოდე

წერილი, თუ როგორ უნდა მივდგომოდით ფერებ-დნელ ქართველთა საკითხს მათი ცხოვრების აღწერის მხრივ. ნაწილი მიღებულ წიგნების, რომელნიც შესაფერი-სად მეჩვენა, გავგზავნე ფერებიდანში. ნაწილი — დაურიგე თეჰერანში მყოფ ქართველებს.

ნ. ყარანგოზიშვილს ფერებიდანში წასკლა უნდოდა, მაგ-რამ საამისო ფული არ ჰქონდა. მან მოთხოვა ა. ხოშტა-რიას ამ მიზნით საჭირო თანხა, მაგრამ ხოშტარიამ ამ სა-კითხს კომერციული თვალით შეხედა — უარი უთხრა. ხოლო, უარის მიზეზად, სხვათა შორის, თვით ნ. ყარანგოზიშვილი დაასახელა. ნ. ყარანგოზიშვილმა ფერებიდანში წასკლაზე ფიქრს თავი დაანება.

* * *

თეჰერანში ყოფნის დროს, ჩემთან რამდენჯერმე მოვიდა მოხუცი ფერებიდნელი ქართველი მახმუდ მაყაშვილი. ის ყოფილა ტფილისში ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინათ. დაახლოებით 1905-6 წწ. მას თითქმის არაფერი უთქვამს ქართველებთან დამოკიდებულებაზე, „ვიყავი, საქმე ვერა-ფერი ვიშოვნე და წამოვედიო“. ის თითქმი რაღაცას ფარავდა, გულახლილად არ ლაპარაკობდა. გამხდარი სა-ხის კაცი იყო. ტკბილი მოლაპარაკე, შავგვრემანი. შუატა-ნის. გრძელი კისერი და დიდი შუბლი ჰქონდა. ის მალე გარ-დაიცვალა. მისმა ნაცოლავმა — ქვრივმა, სპარსელმა, მიამბო, რომ ჩემი სიძე ნასრულაც საქართველოში იყოვო. არ ვიცი, რატომ არაფერი თქვა ამის შესახებ თვით მაჰმუდამ, რო-დესაც ისინი ორივე ერთად ყოფილან ტფილისში?.. ხომ არ ამჟღავნებს ეს ნასრულას რაიმე ცუდ საქციელს?

მაჰმუდას ქვრივმა გვაჩვენა ტფილისიდან ჩამოტანილი პა-წიდ ბარათები. აქედან ჩანდა, რომ ნასრულა ტფილისში ყოფილა. ის კარგად მიულია ჩვენს საზოგადოების. სხვათა

შორის, ყოფილა ქართულ კლუბში, ბალ-მასკარადის დროს.
ბარათებზე ეწერა უთარილოდ: „ნასრულა მიყვარხარ,
„ნასრულა გაკოცებ“.

ნასრულა აქედან, ტფილისიდან წასვლის შემდეგ, თეი-
რანში გაცნობია ვიღაც ქართველ მოჭიდავეს, რომელსაც
სახელი გაუთქვამს და ბევრი ფულიც მოუგია. შემდეგ ნას-
რულას თანხლებით ის წასულა ისფაპანსა და შირაზში, მაგ-
რამ შირაზის გზაზე ორივე მოუკლავს ყაჩალებს.

ამის გარდა, თეჰერანში გამოჩნდენ ფერეიდნიდან გად-
მოხვეწილი ქართველები, რომლებიც ქალაქის შესაფერ
ცოდნასა და გამოცდილებას მოკლებულნი, ეწევიან მეტად
უმწეო ცხოვრებას.

თ ა ვ ი შეორე

ისფაპანი. ფერებიდნელი ჭარისკაცები. საერთო გაცემა. ზეინალ ხან ონიკაზვილი. აშენიძელი მოქალაქე აჩაშიძე. მზადება ფერებიანი ზასასილელად. მთავრობის ჭარი ფერები. დაწი. შეემომარტყოფელი ხანები. სომხების მეზობლობა-სურამელი ახალი მუსულმანი რომაშვილი.

ფერებიდნელ ქართველების გადასახლების და თვით დღევანდელი ცხოვრების ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქ. ისფაპანთან. ძველად და ახლაც ნამდვილი ფარსისტანის ცენტრი ისფაპანი იყო. აგრეთვე ისფაპანი იყო შაპაბას დიდის სატახტო ქალაქი. აქ არის მისი სასახლეები, რომლებიც დღესაც მაგრად დგანან თავიანთ საფუძვლებზე და შეადგენენ ძველი არქიტექტურის სათანადო ნიმუშს. აქ, ამ სასახლეებში, იმ დროს ე.ი. მეთექვსმეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში — წყდებოდა შაპაბასის მიერ, ალბათ, ჩვენი მეფეების, მეფისწულების და სხვა წარჩინებულ დიდებულების თანადასწრებით, ძველი საქართველოს ავი და კარგი. აქვი გადაწყდა, ცხადია, საბოლოოდ ფერებიდნელ ქართველების ბედი, რომელიც ამავე სახით გადაეცემა მომავალ საუკუნეებსაც. ფერებიდნელი ქართველი ვერ წარმოიდგენს თავს არა სპარსელად, ის სამუდამოდ დარჩება იქ, სპარსეთის ცხოვრების სილრმეში, როგორც ნაწყვეტი ჩვენი ძველი ისტორიის და საინტერე-

სო იქნება იმდენად, რამდენად და საწამლე შეინარჩუნებს იგი თავის ქართველობის გამომხატველ ერთადერთ ენას და იმ ბუნდოვან წარმოდგენას წარსულზე, რომელიც შერჩენია დღემდე თუმცა სუსტად, როგორც მგზავრის მიერ უდაბნოში დანთებული ცეცხლი, რომლის ყოველი ფერფლი მიაქვს ნიავს სივრცეში უკან დაუბრუნებლად.

ისფაპანი და შაპაბასი — ეს ორი სიტყვაა დასაბამი ფერეიდნელ ქართველთა ისტორიისა. ამიტომ მიზიდავდა მე ეს ქალაქი. მეგონა აქ ბევრ რამეს გავიგებდი, ვნახავდი ჩემი თვალით, პირადად განვიცდიდი იმას, რაც კერძო გადმოცემით ან ლიტერატურ. წყაროებით ვიცოდი, ან მესმოდა.

თეჰერანიდან ისფაპანამდე დაახლოებით ჰუთასი კილომეტრია. მთელი ეს მანძილი დღე ნახევარში გავიარეთ ავტომობილით. გზა სწორია, ნიადაგი მაგარი. მეტწილად ვაკე უხითათო, მზისაგან დამწვარი მინდვრები; ნიაღვრებისა და ქარიშხლისაგან დაღარულ - დაჭცეული, უსიცოცხლო მთები. აქ - იქ გვხვდებოდა სოფლები, ამწვანებული ნათესებით და ხელოვნურად ნარგავი ხეებით. საზოგადოდ, მთელი მანძილი უფერულია, მეტად მოსაწყენი. მხოლოდ ხალისს იწვევდა მთებიდან ვაკეებში საძოვრად ჩამოსული ჯეირნების ჯოგები და ვეება არწივები, რომლებიც ჰაერში დასრიალებდენ და ზვერავდენ საქარავნო გზებს, ტვირთის ქვეშ წაჭცეული ცხოველების გასაწიწვნად. სახალისო იყო აგრეთვე უდაბნოში ატეხილი კუდიანი ქარები, რომლებიც გაჩნდებოდენ აქა-იქ, როგორც თეთრი. სვეტები, აიტაცებდენ მტვერს, ჩალაბულას და ტრიალით გაივლიდენ კარგა დიდ მანძილს. ასეთი ქარები ხშირად მგზავრებსა და ქარავნებსაც მოიყოლებს თავის რკალში და ამ შემთხვევაში ხიფათი აუცილებელია.

გზაში ერთგან დიდი ტბის მირაჟიც მოგვეჩვენა, მაგრამ მიახლოვებისთანავე, ის უცებ გაქრა ჩვენი თვალის წინ. მხო-

ლოდ ისფაპანის მახლობლად შეიცვალა სურათი. აქ უკვე
თვალუწვდენი ყანები გადაიშალა თვალწინ. ცოტა ხნის
შემდეგ გამოჩნდა თვით ისფაპანიც. ის თითქო ტყით იყო
დაუკარული. ხოლო შიგა და შიგ მოჩანდა ჰაერში აწვ-
ლილი მინარეთები და მეჩეთების ბრჭყვიალა გუმბათები.

* * *

ისფაპანში 1926 წელს ჩავედი. ოქტომბერი იყო, მაგ-
რამ მაინც ცხელოდა. ქალაქი მთლიანად ვაკეა — დაცემული.
უმთავრესად ერთსართულიანი, ვაკე ბანიანი, მიწით დახუ-
რული სახლები. ქუჩები ვიწრო, ერთის გარდა, რომელსაც
ჩაპარბალი ეწოდება. მაგრამ, საერთოდ, ყველაფერი მტვრი-
ანი. თვალს თუ იზიდავს, ისევ შაპაბასის დროინდელი მე-
ჩეთები, სახლები და ხილები.

ფერეიდანში წასვლა ამ დროს უკვე აღარ შეიძლებოდა,
რადგან იქ მაღალი ალაგია, მთიანი, მოსალოდნელი იყო
წვიმების დაწყება. სამაგიეროდ, როგორც შემოდგომის მი-
წურული, სოფელში ჭირნახული მოწეულია. ამიტომ ისინი
ქალაქებში ჩამოდიან და საზამთრო მარაგს აკეთებენ. გა-
ვიგე, რამ აქ ფერეიდნელ ქართველების ქარვასლაც არის,
სადაც მათი ნახვა შეიძლებოდა. მაგრამ ამ დროს ერ-
თმა ჯარისკაცმა, ნოვრუზ ხუციაშვილმა, ფერეიდნიდან
სეიფოლა იოსელიანის წერილი მომიტანა. ეს ჯარისკა-
ცი მაშინვე გამიშინაურდა. თითქმის ყოველდღე მოდი-
ოდა, მოყავდა თითო ოროლა ქართველი გასაცნობად. შემდეგ
თავისი ამხანაგი ჯარისკაცებიც მოიყვანა. ესენი
ყველა ძალიან გახარებული იყვნენ. სვამდენ და ჭამდენ ყო-
ველივეს გაურჩევლად, რასაც კი სუფრაზე მოვიტანდით. რო-
დესაც ლვინო მოეკიდებოდათ იტყოდენ: „თავი გამითბაო“.

მაგრამ დალექვის ზომა არ იცოდენ: სვამდენ, რამდენსაც
მივაწვდიდით და სწევდენ თუთუნს. ბაასობდენ მეტწილად
ქართველების სიყოჩალეზე, ბახტიარებისა და ქურთების
ყაჩალურ მოქმედებაზე, მათ დამარცხებაზე. ასეთ ლაპარაკ-
ში ხშირად უგვიანდებოდათ. მოუსწრებდათ საღამოს ლო-
ცვის დრო, როდესაც ყოველმა მუსულმანმა უნდა ილო-
ცოს, მაგრამ ისინი ყურსაც არ გაიმერტყავდენ.

კაცო, რატომ არ ლოცულობთ? შევეკითხებოდი
ხანდახან განგებ, — რომ მათი აზრი გამეგო. — შე ჩადის.

— ჩავიდეს, მეტი რა ესაქმება, მიპასუხა ერთმა ლიმილით.

სხვათაშორის, არავის არაფერს ვაძალებდი, რომ ამას
ჩუბი უქმაყოფილება არ გამოეწვია. მაგრამ, მიუხედავად
ამისა, ახალგაზრდები თივისთავად არ ერიდებოდენ არა-
ვითარ „ქრისტიანულს“. ერთ სოფლელს შევეკითხე:

— ფარაჯი აღა, შენ ლვინოს დალევ?

ფარაჯი აღა არც კი დაფიქრებულა, ისე წამოიძახა:

— დავლევ, მა რას ვიქ.

საზოგადოდ, ყველა დიდის ხალისით ისმენდენ ჩვენი
ქვეყნის ამბებს. გვიწოდებდენ „პატრონს“, „ძველს“. რო-
დესაც სახლის კარებს მოადგებოდენ, ჩვენს წინასწარ
შეკითხვაზე გვიპასუხებდენ:

— „პატრონო, გაალე კარი, თქვენები ვართ“.

საზოგადოდ, თითქმის ისეთი არავინ ჩამოსულა ფერე-
იდნიდან, რომ ჩვენთან არ მოსულიყო. არ მოდიოდენ
მხოლოდ ისეთები, რომლებსაც რიგიანად არ ეცვათ, მაგრამ,
ვინც მოდიოდა, მათში ბევრი ჩანდა უმანკო გულუბ-
რყვილობა.

— „წამიყვანე საქრთველოჩი. აქეთყე აღარ წამოვალ...“

წამოიძახებდენ აღელვებული და თან გვეკითხებოდოდნ-

— „რაისთი არ მოხვალ ჩვენყე, რამთენი ხანია გვ-

ლოდებითყე.“

მე მჯეროდა მათი გულწრფელობა, სადათ წამოთქმული სიტყვები; წმინდა, შხამშეურეველი, ისეთი, რომელიც მხოლოდ პირველყოფილ ადამიანს ახასიათებს.

მხოლოდ, როდესაც მოხუცებულები და ახალგაზრდები ერთად მოვიდოდენ, მაშინ ჩვენი დამოკიდებულება უფრო სხვანაირ ხასიათს ღებულობდა. ბევრი მოხუცთაგანი ჩვენს შიტანილ საჭმელს ხელს არ ახლებდა. უკიდურეს შემთხვევაში, კერძს გარედან მოუტანდით და, როდესაც დარწმუნდებოდა რომ ის მუსულმანის მომზადებული იყო, მაშინ მიირთმევდა. ზოგი მათგანი ჩვენს გამზადილ ჩაისაც არ სვამდა. მათი მიზეზი „არ მინდა“ იყო. მაგრამ ნამდვილად კი, როგორც მუსულმანი, ქრისტიანის „ნახელავს“ ერიდებოდა. ზოგი მათგანი ერთი მეორესაც ერიდებოდა. ერთი მეორეს გადამკიდე, არც ერთი არაფერს შეჭამდა. ზოგჯერ, რომელიც ნაკლებ ფანატიკოსი, გონიერი მოხუცი იყო, ახალგაზრდებს ნებას მიცემდა ჩვენი პურის ჭამისას. მაგრამ, უნებართვოდ ახალგაზრდა არაფერს წაეტანებოდა. თვით სეიფოლა იოსელიანი იმდენად კულტუროსანი იყო, რომ სასმელ-საჭმელს არ ერიდებოდა, მაგრამ მასაც ბევრჯელ მოუხდა სხვის შემხედვარეს საჭმლის დათმობა:

— „წავა სოფელში და ცუდ ხმებს გაავრცელებსო“.

* *

გლეხების გარდა, ფერეიდნიან ჩამოდიოდენ ხანები (თავადები), მაგრამ მათ გლეხებივით არ ჩამოჰქონდათ გასაყიდი რამ. ისინი ჩამოდიოდენ უმთავრესად გასართობად, ან ერთი მეორის წინააღმდეგ საჩივლელად. მათ უსაუოდ თან ახლდათ მუდამ ორი, ან სამი თავისი ნოქარი— გლეხები. ხანი ჭუჩაში ჭუსლჩაკეცილ ჩუსტებში ფეხწა-

დგმული დადის, რაც გამომხატველია მისი დიდკაცობის· იგი მუდამ წინ მიუძლვის თავის გლეხებს. გლეხი ფეხსაც-მელს ქუსლს ვერ ჩაუკეცავს, ამით ყველა გამვლელი შე-ატყობს, თუ რომელია მათში დიდი ლირსების. ხანი მიღის წინ თავაწეული და მძიმე ნაბიჯით.

ასეთივე ფასონით ჩამოდიოდა სეიფოლა იოსელი-ანი, რაც, სპარსული ჩვეულებით, სრულებითაც არ ამცი-რებდა მას. პირიქით, მისი ლირსების დამატება იყო, შეფარდებული ადგილობრივ ადათთან. ასე გამოწყობილი ხანი, თვით შაჰის კარებსაც თამამად მიადგება.

სეიფოლა ხშირად მოდიოდა ჩემთან. ის ნებას აძლევდა თავის ნოქრებსაც ჩვენთან ერთად ეჭამათ პური. ეს იშვი-ათი მოვლენა იყო.

ზეინალ აბდინ ხან ონიკაშვილს კი ჩემთან მოპატიუება დასჭირდა, ხოლო უარი არ უთქვამს. მან, გაცნობის შემდეგ, წინადადება მომცა და წერილი მიშაწერია მარ-ტყოფში მის ძმთა მატყული ხანთან.

— „მატყული ხანი დიდი კაცია, ძველი ხანი. სეიფოლა მას ვერ მიწვდება. თითონ მატყული ხანი წინდაწინ არ მოგწერს წერილს“, მითხრა მან გაზვიადებით.

შემდეგ გავიგე, რომ მას და სეიფოლას დიდი მტრობა ჰქონდათ ერთმანეთში. ამიტომ არ მოწონდა, რომ მე სეიფოლასთან კავშირი მქონდა. ამავე ზეინალ აბდინ ხანმა წამიყვანდ სტუმრად ჩემს მეუღლით, როგორც შემდეგ გავიგე, ერთ ფერეიდნელ გაიძვერა კაცთან, მირზა ფახრე-დინთან; რომელიც ცრუ-ვექილობას ეწეოდა.

— „დიდი კაცია, ჯერ ჩვენ უნდა მივიდეთ მასთან, მერე ის მოვაო“. —

— წასვლის დროს, სამი ფერეიდნელი ჯარისკაცი წამ-ყვა თან. როდესაც დავბრუნდით, გამაფრთხილეს: „არა-სოდეს მაგათ არ ენდო მარტოვო“.

ზეინალ აბდინ ხანი შესახედავად ნამდვილი ქართველი კაცია. საუბრისას ქიზიყელს მოგაგონებთ. სიტყვას მკაფიოდ გამოთქვამს. ლაპარაკის დროს ზოგჯერ შედგებოდა და საბოლიშოდ იტყოდა:

— დამვიწყებია, ქართულს ცოტასლა ვუბნობთ.

მან არ ინება ჩვენი დიასახლისის, ე. ი. ქრისტიანის ხელით დასხმული ჩაის დალევა. როდესაც ხილი მივართვით, დანა და თევში თავის კაცს გაარეცხინა აუზში, სადაც, ალბათ, ყოველგვარი მიკრობი და ქვეწარმავალი იყო. დანას გასარეცხად მიმავალ ნოქარს მიაძახა:

— „კარგად გააფაქე“ ამავე დროს პერანგი აიწია და მუცელი მოიქექა.

ხილი რომ მიირთვა, ჩიბუნი მოსწია, მაგრამ ამით ვერ დაკმაყოფილდა. ვაფური მოითხოვა. ვაფური თრიაქის, ე. ი. ოპიუმის მოსაწევი მილია. ერთ მოწევაზე სჭირდება მისხლის მეათედი ოპიუმი. ის ერთი ნამცეცია, მაგრამ აღამიანს აღვილად აბრუებს, ათროპს, ფერს უკარგავს და თვალებს უფართოებს. თრიაქის მოწევის სურვილს თამბაქო ვერ კლავს. ასე რომ, თამბაქოს შემდეგ, თრიაქის მოწევა იგივეა, როგორც საღილის შემდეგ ტკბილეულის ჭამა. რასაკვირველია, ასეთ სანუკვარ რამეზე სტუმარს უარს ვერ ვეტყოდი, მით უმეტეს სპარსელს, რომლის-თვისაც თრიაქით გამასპინძლება უდიდესი პატივისცემაა.

მოვართვით ვაფური. ზეინალი უცებ ჩამოხტა სკამიდან, ძირს მოიკეცა. პატარა მაყალზე გაჩალებულ ნახშირის ნაკვერცხალს ვაფური მიუშვირა, ზედ თრიაქის ნამცეცი დაადო და მოსწია. თრიაქი აღულდა, ცეცხლი მოეკიდა, ზეინალმა დაიწყო მოწევა, გაჩუმდა, თვალები მილულა. კისერი მაყალისკენ ჰქონდა გაწვდილი და ნაკვერცხალს უსწორებდა. მალე ოთახი გაივსო საშინელი მყრალი სუნით. შიგ დგომა აღარ შეიძლებოდა. რაღაც მოვიმიზეზე და ეზო-

ში გავედი. მაგრამ სუნი ეხოშიც საკმაოდ გამოვიდა. კარგა ხანს მომიხდა გარეთ ყოფნა. როდესაც ზეინალმა მოწევა გაათავა, ჰაერი ნელნელა გაიწმინდა ისე, რომ ოთახში შესვლა შეიძლებოდა. ზეინალიც ფეხზე წამოდგა, ცოტა გაიარა და წარმოსთქვა:

— მეტი მომივიდა, გამომაშტერა.

ის, მართლაც, გამოშტერებული იყო. მაგრამ თითქოს მეტი მხიარულობა დაეტყო, თვალები გაუბრწყინდა,

უკვე საღამო იყო. ქუჩებზე „აზანის“ ე.ი. სალოცავად მოწოდების ხმა გაისმა. ყოველ ქუჩაზე რამდენიმე კაცი გაჰყვიროდა: „დიდ არს უფალიო“ ამ დროს მთელი ქალა-ქის ყურადღება, ძალაუნებურად, ამ ყვირილზეა ხოლმე მიქცეული. მორწმუნე ხალხი ნერვიულობს, ლოცვა არ დამიგვიანდესო.

შეშტოთდა ზეინალ აბდინ ხანიც. მან დრო იქითხა. მოწოდების ხმას, ალბათ, ისე არ ენდობოდა, როგორც თავის თავს. ლოცვის თავის დროზე შესრულება იმდენად სავალდებულოა მაჰმადიანისთვის, რომ მას ვერც სიმშილი დაავიწყებს, ვერც გაძლომა და ვერც თრიაქის სიამოვნება. ზეინალმა ლოცვის ნება ითხოვა.

— შეიძლება აქ თავის დაცხება?

— შეიძლება. დასკეთ, საჭაც გენებოთ.

— მადლობელი ვიქნები. მეჩეთი შორს არის. მინდო-და წავსულიყავი, მაგრამ ახლა დაგვიანებულია.

თვალი მიმოავლო ოთახს. იატაკი, კედლები, ჭერი, თითქმის ყველაფერი შეათვალიერა. შემდეგ ერთი კუთხე ამოირჩია. ლძერთი ახსენა, ხელები აღაპყრო და სახეზე ჩა-მოისვა. რალაც არაბულად წარმოთქვა, რომელიც, ალბათ, თითონაც არ ესმოდა, დაბალი, ბოხი ხმით. შემდეგ და-ეცა მუხლებზე და ჩვეულებრივად შუბლით მიწას უნდა შეხებოდა, მაგრამ ასე არ მოიქცა. გაცოცდა, შუბლი რამ-

ვ. ფერეიდნელი ქართველები.

დენჯერმე ჰქონა კედელს, ცხადია, იმ მოსაზრებით, რომ
იქ, არა თუ ქრისტიანის, ეშმაკის ფეხიც ვერ მიუღებოდა.
მაშასადამე, თავის „დასაცხებათ“ ეს მიუვალი აღგილი
უფრო მისაღები იყო მუსულმანისთვის.

შემდეგ ისევ მოირთხა. ბევრ გველაპარაკა. გვამლერა.
ამ დროს მას რაღაც გული აუჩვილდა და ცრემლები მოერია.
ჩვენებური სიმლერი ძალიან მოეწინა. როდესაც გული
მოიჯერა, დიდის მაღლობით გაგვშორდა. შემდეგაც, რასა-
კვირველია, არ მოიშალა ჩვენი მეგობრობა, მაგრამ ერთხელ
მაინც კი წამოცდენოდა: — იმ ოჯახში შესული, ძალლიც
კი გაუწმინდურდებაო.

არ ვიცი როგორ ესმოდა მას ძალლის სიწმინდე. ის კი
ცხადია, რომ ზეინალ აბდინ ხანს, როგორც ყოველ ფანა-
ტიკოს მუსულმანს, ძალლი უწმინდურ ცხოველად მიაჩნია.

* * *

მთელი ზამთრის განმავლობაში გაზაფხულამდე, რო-
გორც ყოველი გლეხი, ისე ფერეიდნელებიც შედარებით
თავისუფალია. ამიტომ ისინი განუწყვეტლივ მოდიოდენ
ისტაჭანში და ხშირად მხვდებოდენ ქუჩებში, განსაკუთ-
რებით ისეთები, რომლებიც რაიმე მიზეზით ჩემთან მოსვ-
ლას ერიდებოდენ. ზოგს, შესაძლებელია, დრო არ ჰქონდა,
რადგან ბევრი მათგანი საბატონო გლეხები იყვნენ. მაგრამ
ზოგი ვერ მოდიოდა, რადგან ხელცალიერი იყო, „მოსატანი“
არაფერი ჰქონდა. ასეთი მორიდებული პირები ბანკში
მოდიოდენ ჩემ სანახავად. უფრო ხშირად კი ქუჩაში მიდა-
რაჯებდენ, სადაც მე უსათუოდ უნდა გამევლო. გამაჩე-
რებდენ. დამიწყებდენ ათას რამეებზე ლაპარაკს. ეს იწვევდა
გამვლელების გაკვირვებას. საზოგადოდ, ევროპიელი კაცი
სპარსელ მდაბიოს, და ისიც გლეხურად ჩატულს, არასოდეს
არ დაელაპარაკება. ამის გარდა, გამვლელებს უკვირდათ,

რომ ვიღაც გლეხები „რაღაც უცხო ენაზე ლაპარაკობენ..“

— ეს რა ენაზე ლაპარაკობთ? მოგვმართავდა გაკვირვებით ზოგიერთი გამვლელი.

— ქართულზე.

— ქართულზე?!.. გაოცებული დაჭუეტავდა თვალებს. ბევრს არც კი გაეგონა რა იყო სიტყვა — ქართული. მაგრამ, რაც უნდა იყოს, საიდან იცის ისფაპანელმა გლეხმა ეს უცხო ენა?!.

— პირველად მესმის, — თქვა ერთმა, — „გურჯი“ ვიცი, მაგრამ ლაპარაკი აქამდე არ გამიგონია. მას გაუკვირდა ქართველების არსებობა ფერეიდანში.

ის კარგა ხანს უგდებდა ყურს და დიდის მაღლობით გაგვშორდა.

საზოგადოდ, ჩვენ ყველას ვთხოვდით, რომ ძლვენის, ანუ, როგორც იქ ეძახიან, „ნობათის“ მოტანით თავს ნუ შეიწუხებდენ. ამით ერთი მათგანი ძალიან გავაჯავრე:

— მაშ, მე შენთან ვეღარ მოვალ, წარმოთქვა ქალაჯი მახმუდამ. ჩვენი ადათი ეს არის! ის, მართლაც, ხელცარიელი არასოდეს არ მოსულა.

ძალიან უყვარდათ თავიანთ თავზე ლაპარაკი. უმთავრესად თავიანთ უბედურებაზე, ხშირად იტყოდენ: „დავსილო ჩემო თავო“, „დავსილები ვართ“.

ზოგი მათგანი ცოცხალი ბუნების, საკმაოდ თამამი მოლაპარაკე იყო. ერთ მათგანს, რომელსაც შემოევლო ყველა დიდი სალოცავი ადგილები — მექქა, მედინა, ქერბალა, ყუმი, მეშედი და სხვა, რითაც ძალიან მოწონდა თავი. „ჩონ ქართველებჩი ჩემდენი არავის უვლიაო“ — ამბობდა ის, თუმცა თავისი „განათლებით“ სხვაზე მაღლა არ იდგა. სხვათა შორის, მას არ მოწონდა ფერეიდნელ ქართველების ჩამორჩენილობა.

— ჩვენ მარტო ვირის ჩხვლება ვიცით, — ძმბობდა ის
ხშირად და თან დაამატებდა:

— „ამოდი, იტირე ჩვენთვის, ჩვენი დავსილი ქვეყანა
ნახე“,

* * *

ისფაპანში ათამდე ქართველი ჯარისკაცი იყო. ისინი
ყოველ თავისუფალ დროზე მოდიოდენ ჩვენთან. პირვე-
ლად, როგორც კი დაინახეს ქართული წიგნი, ყველამ წერა-
კითხვის შესწავლა მოინდომა. მეც ყველას თითო წიგნი
მივეცი და ანბანის სწავლება დავაწყებინე. პირველ დღე-
ებში სწავლას ხალისჩანად მოეკიდენ. ზოგმა მთელი ანბა-



სურ. 1. ფერეიდნელი ქართველი ჯარისკაცები

ნი შეისწავლა, ზოგმა ნახევარი. მაგრამ მალე გული აიც-
რუეს. მე მაინც მინდოდა მცირედ მაინც შეესწავლათ, მა-
გრამ ჩემი მეგობრული რჩევით ვერას გავხდი. ერთმა გა-
მოტეხილად თქვა: „ჩვენი „ქალა“ სწავლას ვერ აიტანსო“. მეორემ: „ჩვენ ხალხს ცემით თუ რამეს შეასწავლი, თორემ
ისე არას ისწავლიანო“.

მათ მალე დაანებეს სწავლას თავი. ამავე დროს, ქარ-
თული ანბანის შესწავლა დაიწყო ერთმა სპარსელმა, რო-

მელმაც ქართული ლაპარაკი იცოდა. ორი კვირის განმა-
ვლობაში სიტყვების ამოკითხვა და წერაც დაიწყო. მეგონა
ისიც ქართველებივით სწავლას თავს დაანებებდა, მაგრამ
თავის გადაწყვეტილებაზე მაგრად იდგა. მე ვერ გავიგე
მისი მიზანი. რათ უნდოდა მას შეესწავლა ქართული წერა-
კითხვა?

— ჰაშიმ აღა, შევეკითხე ერთხელ, ჩვენმა ქართველმა
ბიჭებმა, ხედავ, ქართულის სწავლას თავი დაანებეს. შენ
კი არ ეშვებია რატომ?

ჰაშიმ აღამ გაიღიმა.

— მათ რაისთი უნდათ ქართული წერა. მე ვაჭარი ვარ,
ფერეიდანჩი საქონელი მიმაქვს. როცა იქ გაძვირდება,
ან გაიაფდება, მივწერ ჩემ ძმას და ამით ფულს მოვიგებთო.

— აი, თურმე როგორ საქმეს ვაკეთებ. გავითიქრე მე
და მაშინ უფრო ნათლად წარმომიდგა ქართველი ჯარის-
კაცების დაუდევრობა. ამის შემდეგ, ხშირად მაგონდე-
ბოდა ჰაშიმას სიტყვები: „ მათ რაისთი უნდათ ქართული
წერა“. ამგვარად, გამოვედი „ეშმაკის“ უნებური მსახური.

— მაგრამ რის ქართული. მიუხედავად იმისა, რომ ისი-
ნი ჯარში უკვე რვა-ცხრა წელიწადი მსახურებდენ და ამ
ხნის განმავლობაში მათ შეეძლოთ შეესწავლათ რამე, ერ-
თის გარდა, არც ერთმა მათგანმა სპარსული წერა-კითხვა
არ იცოდა.

— არაფერი ვიცით და მაინც არ გვიშვებენ. წერა-კი-
თხვა რომ ვისწავლოთ, სულ აღარ გაგვიშვებენო, თქვა ერ-
თში მათგანმა თავისანთი უცოდინარობის გასამართლებლად.

ამ უცოდინარობის გამო, მიუხედავად დიდი ხნის სამ-
სახურისა, ყველა უბრალო ჯარისკაცებად იყვნენ. მხოლოდ,
ვინც წერა-კითხვა იცოდა, თუ გინდ სუსტად, ის კარგა
დაწინაურებული იყო.

ისინი ერთნაირად ეტანებოდენ სასმელსა ან თამბაქოს.

ხოლო ერთი მათგანი პიჩვეული იყო თრიაქის მოწევას. მას უშლიდენ ამხანაგები, მაგრამ მაინც არ იშლიდა. ამის გამო დასუსტდა, დაუძლურდა, სწუხდა თითონაც, მაგრამ ვერ დაანება თავი. ჯარში სამსახური ვეღარ შეიძლო, როგორც რიგი იყო. ჯარის უფროსებმა ის დააწვინეს მოსარჩენად । „ამხედრო საავადმყოფოში. ორმოცი დღე იწვა. როდესაც გამოვიდა, გახარებული იყო. „მოვრჩი, ახლა დავიბადეო“, ამბობდა. ამხანაგებს და ჩვენც სიტყვა მოგვცა. აღარ მოვწევო. ერთი კვირე ითმინა. შემდეგ გაიპარა და ისევ დაიწყო თრიაქის მოწევა.. ბოლოს, დარცხვენილი, ჩვენთან მოსვლას ერიდებოდა: „რა ვქნა, პირზე არ მამდის თოლჩი შეგხედოთო“.

*

* * *

სანამ ისევ ფერეიდანში წასვლის ფიქრსა და სამზადისში ვიყავი, ისფაპანში გამოჩნდა ორი, ერთი მეორის საწინააღმდეგო, ტიპის ქართველი. ერთი ამერიკელი მოქალაქე, გვარად აბაშიძე. მდიდარი კომერსანტი, რომელიც ამ ოცი თუ ოცდახუთი წლის წინათ წასულა ამერიკაში. ის ჩამოვიდა ისფაპანში კომერციული მიზნით. დაუაპლოვდა ფერეიდნელ ქართველებს და მოინდომა ფერეიდანში ტრაქტორების გასაღება. მაგრამ, ამ მხრივ, მისმა კომერციულმა ზიპლომატობამ ვერ გაიმარჯვა. სამაგიეროდ, მან გამოილაშერა ჩემს წინააღმდეგ. „მაგ რომ კარგი კაცი იყოს, საბჭოთა ბანკში არ იმსახურებდაო“. ამასთანავე ურჩევდა ყველას შეეწყვიტათ ჩემთან მიმოსვლა. ყველა გულისტკენით გადმომცემდა მის ნალაპარაკევს და უკვირდათ, თუ რად იყო ასეთი „დიდი კაცი“ გამწყრალი ჩემზე. სეიფოლა იოსელიანმა კიდევაც სცადა ჩვენი „შერიგება“, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ცდა უნიადაგო იყო. ამერიკელი ქართველი მალე ჩამომშორდა. კომერსანტი კომერციულ ანგარიშებს გაჰყვა.

მაგრამ სულ სხვანაირი ტიპის გამოდგა მეორე ქართველი. ის ჩამოვიდა ტფილისიდან თავრიზის გზით ის-ფაპანში. მისივე სიტყვით, ის იყო სურამელი მოქალაქე, გვარად რამიშვილი, ხოლო შემდეგ რომაშვილი გამოდგა. თუმცა, შესაძლებელია, არც ერთი იყო და არც მეორე. მისი განცხადებით, ის მიღიოდა ფერეიდანში მეურნეობის დასაწყებად და უწოდებდა თავის თავს „აგრონომს“. ამ მიზნის განსახორციელებლად მთხოვა ოთხასი თუმანი, ე. ი. ჩვენებურად რვაასი მანეთი ოქროთი.

ლაპარაკში შევატყვე, რომ ის არა თუ „აგრონომი“ არ იყო, წერაკითხვაც არ იცოდა რიგიანად.

— როგორი მეურნეობა გინდა დაიწყო? ვეკითხები.

— ისეთი, როგორიც ჩვენშია. მიპასუხებს.

— ეგრე ხომ აქაც იციან.

ის მაინც გაიძახის, რომ ორიოდე წელიწადში ააყვა-ვებს ფერეიდანს და ჩემს ფულსაც უკან დამიბრუნებს.

მე მაინც უარი უთხარი ფულის მიცემაზე. გამიჯავრდა. მაგრამ ორი კვირა მაინც ჩემს ოჯახში გაატარა. შემდეგ ცოტაოდენი ფული გამომართვა და საღლაც გავჭრა.

გავიგე რომ მას, სანამ ჩემთან მოვიდოდა, თურმე ფერეიდანი უკვე მოევლო. მაგრამ იქ უფულოდ ვერას გამხდარიყო, და ამასთანავე მე რომ არ მიცნობდა, ეჭვის თვალით შეეხდათ. ამიტომ მოვიდა თურმე ჩემთან. ჩემიდან ისევ ფერეიდანში წასულიყო. იქ ჯერ მავრადის რჯული მიელო. მარტყოფელი ქალი ცოლად შეერთო. ამგვარად ისე მოეწყო საქმე, რომ მთელს სოფელში ფული და ჭირნახული მოუგროვეს. სახლი შეიძინა და ოჯახი გააჩალა. გახარებულმა მარტყოფელებმა მას უწოდეს „თაზა მულსუმანი“, ე. ი. ახალი მუსულმანი. დასახლდა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მიწის მუშაობას არ კადრულობდა. — „ეს ჩემი საქმე არ არისო“. როდესაც სახარჯო

შემოაკლდა, აიღო მუსულმანობის მოწმობა, ისევ ისფა-
პანში ჩამოვიდა, გამოჩენილ მოლებს ესტუმრა, მოწმობა
წარუდგინა და ფული მოთხოვა. გაკეთებას ელოდა, მაგ-
რამ მოლები არც ისე სულელები არიან, რომ თავიანთი
ქონება ასე აბნიონ. მაინც საკმაო ფული მოაგროვა. მაგ-
რამ არა იმდენი, რამდენიც მას უნდოდა. მოლებს ლანძლ-
ვა დაუწყო. შემდეგ განაცხადა შირაზში მივდივარო,
მაგრამ თეპერანში წასულიყო. აქაც თურმე ჩამოუარა მო-
ლებს თავისი „სამუსულმანო“ გადასახადი მოაგროვა. შემ-
დეგ ფარულად ტფილისი მოიარა და თავისი თორმეტი
წლის ვაჟით ისევ ფერეიდანში დაბრუნდა. არავითარი
პატიოსანი შრომის უნარი და ცოდნა მას არ აქვს. მალე
გაუგეს მარტყოფელებმა სიყალბე და ზოგმა საყვედური
უთხრა, მაგრამ მან მუქარით უპასუხათ:

— თუ თქვენ არ შემინახავთ, სომხების სოფლებში
წავალ, ისევ გავქრისტიანდები და ისინი შემინახავენო.
ასეთმა მოსწრებულმა მუქარამ ბევრი შეაფიქრიანა
თურმე. თავი გაანებეს. მაგრამ იმდენად შეწუხდენ, რომ
მისი სოფლიდან გაძევების საკითხი დღიურ წესრიგში
იღვა.

ახლა ყველა ფერეიდნელმა იცის, რომ „თაზა მუსულ-
მანი“ ძალიან გონჯი კაცი გამოდგა“. თაზა მუსულმანმა
ერთხელ ასეთი წინაღადებით მომმართა:

— ფული მომეცი. კრავოტსა და სკამებს ვიყიდი,
ოთახს მოვრთავ, რომ დაინახავენ, თითონაც შეიძენენ და
კულტურა შეიქნებაო. მე ვერც საამისო ფული მივეცი,
თითონ კი ახლაც ისე უსკამოდ და უსაწოლოდ იძინებს
და ჯდება ძირს, როგორც მთელი ფერეიდანის მცხოვ-
რებლები.

ფერეიდანში წასვლაზე ფიქრი ჯერ ისევ ნაადრევი იყო. მძიმედ, აუჩქარებლად გადიოდენ დღეები. მხის ყოველი ამოსვლა და ჩასვლა მთელ საუკუნეებს ემსგავსებოდა. საოცარია განსაკუთრებით ზაფხულის დღეები აზიაში. ისინი თითქო აღარ შედიან წლის ანგარიშში, არამედ განმარტოებით დგანან, როგორც კლდის ტინზე დაშენებული ციხის ძველი ნანგრევები, რომელთაც თავისი ბრწყინვალება დაუკარგავთ, მაგრამ თვალს მაინც ვერ მოაშორებთ. კვირეები და თვეები აყუდებული არიან თვალწინ, როგორც მთების უძრავი გრეხილები, გადაბმული ერთი მეორეზე შედულებული ლოდებით და მიბჯენილი ცის ტატნობზე, რომლის იქით თითქო აღარ არის წასავალი გზა.

მაინც გაიმარჯვა მოთშინებან. დადგა იყლისი, როდესაც უნდა დაწყებულიყო მაჰარამის ორმოცდლიანი უქმეები. დაწესებულებები დაიკეტა თორმეტი დღით. ეს იყო 1927 წელს. მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა წასვლა. ამაზე წინდაწინ შევატყობინე სეიფოლა იო სელიანს ზემო მარტყოფში. ჩემს მიზანს არავის ვუფარავდი. ან კი რაღა დროს დაფარვა იყო. თითქმის მთელი წელიწადი ველოდი ამ დროს. ამ ხნის განმავლობაში მე გვეცანი ისფაპანის მთელ გარემოს. რამდენჯერმე ვიყავი სომხების ჯულფასა და ებრაელების ჯუბარეში. გავეცანი სრულიად უცხო ხალხს და ჩემთვის ხელი არავის შეუშლია. პირიქით, ყველამ ისე მიმილო, როგორც კარგი, დიდი ხნის ნაცნობ-მეგობარი.

ასეთივე სადა და უბრალო იყო ჩემი მიზანი ქართკელების ნახვისა. ასეთივე მიზნით დადიოდენ იქ ყველგან მთელი სპარსეთისა და აგრეთვე ისფაპანის რაიონში ყოველი უცხოელი მოგზაური.

ფერეიდანში წასვლა ჩემს ზნეობრივ მოვალეობათაც მიმაჩნდა, მით უფრო, რომ თვით ფერეიდნელი ქართველები ვიცოდი მოუთმენლად მიმელოდენ.

— პატრონო, მოდი გვნახეო.

ავლისის პირველი რიცხვები იყო, როდესაც ფერეიდანში წასვლა გადავწყვიტე. ისფაპანში ცხელოდა, მაგრამ რამდენი ზევით ვიწევდით, ფერეიდნისკენ, იმდენი გრილოდა. სავალი გზები ცუდი იყო ხშირად გვხვდებოდა გადასავალი არხები. ისედაც უხეირო ავტომობილს, გასაჭანი არ ჰქონდა. შოთერიც ხამი იყო, გზის უცოდინარი, ამასთანავე მეტად თავხედი. არც მოფერებამ იმოქმედა მასზე, არც მუქარამ. ხუთი - ექვსი საათის სავალი გზა ათ საათში ძლივს გავიარეთ. ღამდებოდა. ჩვენ ისევ სომხების უბანში ვიყავით. ქართველების სოფლებამდე დიდი მანძილი არ იყო, მაგრამ გზის სიცუდე გვალონებდა. მით უფრო, რომ, თურმე, საუკეთესო გზას ავცდით და სოფლის ვიწრო ჩიხებში მოვხვდით. მაინც როგორც იყო მივდიოდით. წამდაუწუმ მივჩერებოდით იმ მთებს, რომელთა კალთებში ესახლა ქართველები, მაგრამ არ იქნა, გზა ვერ გავლიეთ. შოთერიც გაუინიანდა, არ უნდოდა გავშორებოდით სომხების სოფელს, მაგრამ ერთმა ტერტერამ ჩხუბით დაარწმუნა, რომ წინ წასვლა შეიძლებოდა. წავედით, დაიწყო ბილიკები და ალმართები. გზაც დაჩეხილი იყო ცხოველთა ჩლიქებისაგან. მოვექეცით ორი კლდის შუა. ავტომობილიც დადგა არა თუ ხალხი, ალმართში თავის თავიც ველარ აათრია. ამ უდაბურ ადგილზე გაჩერებას, რა თქმა უნდა, წასვლა გვერჩია.

დაღამდა. ჰაერი წყნარი იყო და გრილი. გარინდებული მთები იწვენ, როგორც შავი ვეშაპები და ყოველ ამოსუნთქვაზე გვიგზავნიდენ გრილ ნიავს, მაგრამ ჩვენ ვერ ვგრძნობდით სიამოვნებას. ჩვენი თვალის წინ დაეხეტებო-

დენ შავი მაჯლაჯუნები და გაფაციცებით ანგრევდენ გზებს, რომ წინ არ წავსულიყავით. რამდენი დრო გადიოდა, წასვლის იმედიც მოჩვენებასავით ქრებოდა კლდეების ნანგრევებში. სად ვიყავით, აღარ ვიცოდით. სომხების სოფლებსაც დავშორდით. ქართველების სოფლები ხომ სრულიად გაქრა ოცნებიდან. მწუხარებას აორკეცებდა ჭ-ნ ფონ შტეინის წუწუნი და ტურების კივილი, რომლებიც საცოდავად მოთქვამდენ ლამის სილრმეში.

ამ დროს სოფლელებმა გამოიარეს. ერთმა მათგანმა ვინაობა გამოგვკითხა. გაიგო ჩვენი აქ მოგზაურობის მიზანი. მიგვიპატიუა — ჩემთან წამოდით, ლამეს გაგათევინებთო, მაგრამ ვერ ვენდვეთ. ვიფიქრე: ქართველი, ან სომეხი რომ იყოს, კიდევ ჰო, და ეს კი, ვიღაც სპარსელი, ვინ იცის სად წაგვიყვანს? ის ადვილად გაგვშორდა, რაღან ვერ შეგვატყო მასთან წასვლის სურვილი. ამის შემდეგ, ერთმა ბიჭმა გამოიარა, რომელსაც რამდენიმე ვირი მოყავდა. გადავწყვიტეთ ვირებით წასვლა, მაგრამ ბიჭმა შორს დაიკრა: „ვირები ჩემი ალასი არის. მე არ შემიძლია მოგაქირაოთო“.

შევურიგდით ძალაუნებურად იმ არასასიამოვნო აზრს, რომ ლამეს იქ გავათევდით. ნელნელ ამოვიდა მთვარე. ის ოქროს ნამგალივით გადმოეკიდა შიშველი მთის წვერზე და მიდამო ფანტასტიკურ სამოსელში გახვია. მაგრამ ჩვენ შოთერთან ჩხუბი უფრო მეტ სიამოვნებასა გვგრიდა, ვიდრე ბუნების წარმტაცი, ფანტასტიკურობა. ყოველი სიგლახე და უბედურება თუ რამ დაგვემართებოდა, ყველას მას ვაწერდით. მაგრამ ეს კაცი ჩვენს საყვედურს არაფრად აგდებდა. პირიქით, ჟველაფერს ჩვენ გვაბრალებდა.

მოულოდნელად ისევ ის გლეხები მოვიდენ ჩვენთან, რომლებიც ცოტა ხნის წინათ გვეპატიუებოდენ. ერთმა მათგანმა ისევ მოგვმართა:

— წამობრძანილით ჩემთან. აქ მთა არის, ნადირი და-
გეცემათ. მე, მართალია, ქართველი არა ვარ, მაგრამ ჩვენს
სოფელში ქართველებიც არიან, გნებავთ მათთან მიგი-
ყვანთ. გათენდება და წახვალთ, სადაც მიღიხართო.

ნადირის შიში და ქართველების ხსენება ჯაჭვივით
გადაება ერთი მეორეზე. რატომ წელან არ გვითხრა, თუ
მის სოფელში ქართველებიც არიან?

— ნადირის შეჭმას ისევ კაცის ხელით სიკვდილი სჯო-
ბია. ნადირის გარდა, იქნება აქ ყაჩალებიც არიან. ყოველ
შემთხვევაში გლეხები ნადირივით საშიში არ იქნებიან.

ელენე ფონშტეინი უკვე სასოწარკვეთილებას მიეცა.
მთელი ევროპა შემოვიარე — ამბობდა ის — პარიზი, ბერ-
ლინი, უნევა, მონტეკარლო, რა უნდა ვნახო აქ იმის ფასი,
ამ დასაქცივ ქვეყანაშიო?.. რა მინდოდა ამ ველურებში?..
და გუნებაში, ცხადია, მწყევლიდამე, როგორც მისი უბედუ-
რების პირდაპირ მიზეზს.— შენც კიდევ, მეუბნება, მოიგონე
რალა აქ წამოსფლა. ნეტა რა უნდა გააკეთო ამის ფასი?..

— სადაური ხარ, ვეკითხები ჩვენს მოპატიუეს.

— მე ახორე ფაინიდან ვარ.

— ახორე ფაინ. ეს ხომ ქართველების სოფელია, ქვე-
მო გარტყოფი?..

— შორს არის?

— აქედან ნახევარი ალაჯიც არ იქნება, ე.ი. 3-4 ვერსი.

ამის შემდეგ, საყოყმანო არაფერი იყო. შოტერები
თავისი ავტომობილით იქ დავტოვეთ და ჩვენ წავედით.
გზაშივე დავრწმუნდით, რომ ჩვენი მასპინძელი კეთილი
განზრახვის აღამიანი იყო. მან პირდაპირ თავის ბინაზე
მოგვიყვანა. მშენიერი სახლი. ოთახი ნოხებით მოფენილი.
ხოლო, სკამების მაგიერ, დასაჯდომად ბალიშები მოგვი-
ტანა. ხელად ჩაი მოგვართვა. ცოტა ხნის შემდეგ,

მშვენიერი სუფრა გააწყო. თქმა არ უნდა, იმდენი უსიამო-
ვნების შემდეგ მაღა ერთი ათად გაგვეხსნა. დავსხედით და
დაგვავიწყდა ფერეიდანი და მისი ქართველებიც.

— რა განსხვავებაა ახლა ამ ვიღაც სპარსელისა და
ქართველის შორის?.. რამდენ ქართველს სჯობია იგი?

ვახშმის გათავების შემდეგ, მან ქართულად მოლაპა-
რაკე დედაკაცი მოიყვანა. ახლა კი საბოლოოდ დავრწმუნ-
დით, რომ ჩვენ ქვემო მარტყოფში ვიყავით. მაგრამ თუნდა
სხვა სოფელიც იყოს, მერე რა?.. ამაღამ თუ არა, ხვალ
ქართველ სოფლებსაც ვნახავთ.

* * *

იმ ღამეს ისე ტკბილად გვეძინა, რომ, მგონი, ქვეყანაც
დაქცეულიყო, ვერას გავიგებდით. ჩვენი იქ ყოფნა გაე-
გოთ ქართველ ფეოდალებს: ჰასან ხანსა და ბაღირ ხანს.
ჯერ კარგა გაოენებული არ იყო, კაცი გამოეგზავნათ —
ჩაიზე მობრძანდითო. წავედით. თითონ ეზოში შემოგვე-
გებენ. ჰასან ხანი უკვე მოხუცია. ბაგირ ხანი ახალგაზრდა.
არც ერთმა ქართული არ იციან, რაზედაც სინანული გა-
მოთქვეს. დანაშაული თავიანთ მამებს გადააბრალეს: ადრე
დაივიწყეს და ჩვენც ვეღარ შევისწავლეთო. ლაპარაკი სულ
სპარსულ ენაზე იყო. როგორც მივედით, მაშინვე ჩაი მოგ-
ვიტანა, ტკბილეული და ბამბასავით თეთრი ლავაში, რომ-
ლის მსგავსი სხვაგან არსად შეგვხდომია. ძირს დავსხედით.
ზურგით კედელს მივებჯინეთ, რომ არ წავქცეულიყავით. შემდეგ ბალიშები მოგვიტანეს. ჰასან ხანი, როგორც თი-
თონ ამბობდა, ყველა ქართველების უფროსი ყოფილა,
სულთანად წოდებული. — „თორმეტი ათასი კაცი მყავ-
დაო,“ წამოიძახა თავმომწონედ ერთი ორჯელ.

იგი ყველაზე მდიდრად ითვლება. მისი ვაუი ევროპუ-
ლად იცვამს, თუმცა ევროპული არაფერი იცის. „ქართული

რომ ვიცოდე, უსათუოდ წამოვიდოდი საქართველოშიო“, ამბობდა ის და ქართული ენის უცოდინარობას, ჩვეულებრივად, მამა-პაპას აბრალებდა. „ახლა უკვე დაგვიანებულია, ვეღარ შევისწავლიო“, თუმცა თითონ ოცდახუთი წლის ფუ იქნებოდა.

ჩაის შემდეგ, ჩვეულებრივად, პაპიროზი შემოგვთავაზეს. ხალიან გაუკვირდათ, რომ მე თამბაქოს არ ვეწეოდი. ერთმა ოხუნჯობით მითხრა:

— ქაცო, სამი-ოთხი წელიწადი აქა ხარ, და აქამდე პაპიროზის მოწევა ვეღარ ისწავლეო?..

ბოლოს, ყველამ ალიარა, რომ პაპიროზის მოწევა ადამიანისთვის საზარალოა.

ჰასან ხანს ჩვენი ქვეყნის ახალი ცხოვრების შესახებ რაღაც გაეგონა. სხვათა შორის, თქვა: უმეფოდ ცხოვრება როგორ შეიძლებაო. მე აუხსენი მოკლედ, თუ როგორ შეიძლებოდა უმეფოდ ცხოვრება, და, ზოგადად, შინაგან წესებსაც შევეხე. მან სიჩუმით მოისმინა. ეტყობოდა მის-თვის გაუგებარი იყო ჩემი ლაპარაკი.

უკვე შუა დღემ მოატანა. აუცილებელი იყო ლაპარაკის დასრულება და ჩვენი წასვლის სამზადისი. უკანასკნელად გადავიდეთ ჰასან ხანი თავის შინაურობით, ქალების გარდა. ქალებიცი არ გამოაჩინა, თანახმად მუსულმანური კანონისა.

გვინდა წავიდეთ ზემო მარტყოფში. მაგრამ რით? შოთერები? იქნება ისინი მართლა ნადირმა დაფლითა? ... წავე-დით საძებრად. არსად არაფერი ჩანდა. რა იქნენ? ავტო-მობილსაც წომ მგელი არ შესჭამდა? ახლო ადგილას ერთი კაცი ხნავდა. მივედი საკითხავად. ის ზეინალ აბდინ ხანის შვილი გამოდგა, შაქრულა ონიკაშვილი. მან მითხრა: ავტო-მობილი უკვე სოფელში არისო, ის თურმე იმ ლამესვე გა-დაეტანათ. სეიფოლას კაცებს, და რადგან სოფლის ვიწ-

რო გზებში ველარ გატეულიყო, მისავალში დაეყენებიათ.
ჩვენთვის კი შეკაზმული ცხენები გამოეგზავნა.

წასვლის წინ, გზაში მოხუცი გადამიდგა. მან მშვენიერი
ქართულით დამიწყო ლაპარაკი. ჯერ სახლში მიშიწვია:

— მოდი, ჩემი ლარიბი ოჯახიც ნახეო. მე დრო აღარ
ძქონდა. ბოდიში მოვიხადე და შემდეგისთვის შევპირდი.
იგი გამხდარი იყო. დახეულ სამოსში. მოხვა:

— თვალებით ველარ ვიხედები, მომარჩინეო.

როდესაც გაიგო, რომ მე მას ვერ მოვარჩენდი, წყენით
მისაყვედურა:

— ჩვენი ყოფილხარ. მეგონა გული დაგეწვებოდა და
მომარჩენდიო. ეტყობოდა ვერ დავარწმუნე იგი, რომ მე
ექიმი არ ვიყავი. ყოველი „ნასწავლი კაცი ექიმიც არის“.
მაშასადამე, თუ მოვინდომებდი, მოვარჩენდი. მაგრამ,
მე არ მოვინდომე იმიტომ, რომ სხვაგან მივეჩქარები. — ასე
ფიქრობს მდაბიო სპარსელი ინტელიგენტზე, საზოგადოდ
და ეს თითქო სწორეც არის. ეს ვაცოდი მე, ამიტომ უსიამო-
ვნო გრძნობამ შემიპყრო. მწვავედ ვიგრძენი ჩემი საკუთარი
სიუძლურე. როდესაც მას უჭირს, მე ვერას ვეხმარები. ამავე
დროს კი ისინი „პატრონს“ მეძახიან, მაგრამ მე მაინც
მათთვის „გული არ მეწვის“.

— ყოველმა კაცმა უნდა იცოდეს ექიმობა, რამოდენი-
მეთ მაინც, ვამბობ მე გუნებაში და ამ დროს მაწვდიან.
ცხენს შესაჯდომად. და მეც მინდა ჩქარა გავშორდე ამ
ბრმა მოხუცს.

თავი მესამე

ზემო მარტყოფი. ჩემი დარაჯები: გახტიარები. სურათების გადაღება სეიფოლა იოსელიანის ოჯახში. უკან დაგრუნება. პრინცი უაჯარი, პრინცოპაცია. სომხების სოფლები მიღაბერდი.


ზემო მარტყოფიდან ჩვენ შესახვედრად რამდენიმე კაცი მოვიდა. როდესაც მათი მოსვლა გადმომცეს, ჩემდა უნებურად ვიკითხე, სეიფოლა იოსელიანი ხომ არ მოსულა მეთქი. ამაზე ერთმა მათგანმა გაკვირვებით მიპასუხა:

— არა. სეიფოლა ხანია, თავადია, ის არ მოვა.

სეიფოლა თეჰერანსა და ისფაჰანში ხშირად მოდიოდა ჩემთან. მაშინ მე არ მიტიქრა მის ხანობაზე. მაგრამ აქ, ამ ფეოდალურ ქვეყანაში, — სადაც ყველაფერი წოდებაზეა დამყარებული, ხანმა თავისი „წოდება“ და „პირადი ლირსება“ უნდა დაიცვას სათანადოდ, რომ ხალხის თვალში არ დამცირდეს.

წავედით. გზა უსწორ - მასწორო იყო, ვიწროდ გატკეპნილი და ქვიანი. მივდიოდით შუაყანებზე. ცხენებით მოგზაურობამ ჩვენს სულიერ განწყობილებაში ახალი ხალისი შეიტანა. თვით ამინდიც ხალისიანი იყო: წყნარი, შზიანი, გრილი, მსუბუქი. ლაპარაკითა და სიცილით შევედით რუხი მთების ვიწრო ჩიხში. წინ გადაგვიდგა მარტყოფელი გლეხი ქალაჯი მახმუდ გვარად თავაზიანი, ბა-

რით ხელში. ის ვენახს რწყავდა მაგრამ, როგორც დაგვინახა, მუშაობას თავი გაანება. დაბალი კაცია. ჩასკვნილი. სათნო სახის, ტკბილი მოლაპარაკე. თავისი ქვეყნის გულშემატკივარი და მისი ისტორიის საუკეთესო მცოდნე. მან ჯერ მოგვიკითხა და თავისი ბარით გვერდში ამოგვიდგა.



სურ. 2. ს. ზემო მარტყოფი (ახორე ბალა)

— დიდხანს გვპირდებოდით, ბატონო, მოსვლას. კარგია გვნახეთ. მობრძანდით, ნახეთ ჩვენი ბედშავობა.

— როგორ ხართ, მახმუდ, როგორ ცხოვრობთ?

— ვართ, ბატონო, თქვენის შიმედით. ჩა გითხრა, თითონ უკეთ გაიგებთ. ეს არის ჩვენი უბედური ქვეყანა.

ზემო მარტყოფის მისავალში ბევრი ხალხი დაგვხვდა. ბევრი ჩვენი ძველი ნაცნობი იყო. გვაძლევდენ სალამს. და ეუბნებოდენ ერთი მეორეს:

4. ფერეიდნელი ქართველები

— ჩვენი „ძველი“ არის, ჩვენი „პატრონი“ დიდ საქართველოდან. ზოგი მათგანი გაბედულად მოდიოდა, პირად მოგვიკითხავდა და ხელსაც გვართმევდა. ზოგი მორიდებით იყო, მაგრამ ყველას კი ჩვენს ახლო ყოფნა უნდოდა.

ჩვენ ცხენებიდან ჩამოვხტით და ფეხით მოვდიოდით. მთელი სოფელი ფეხით გავიარეთ. ჩვენს გარშემო მთელი ჯარი შეიქნა. დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიწვია ჩვენი ქალების მორთულობამ და, განსაკუთრებით, ქართველი ქალის მისვლამ, რომელიც უმეტესობას ჯერ არ ენახა. ჯარად ეხვეოდენ, განსაკუთრებით, ახალგაზრდა ქალები. ყველას უნდოდა დალაპარაკება და ამასთანავე ხელით შეხება. ჰკოცნიდენ ტანისამოსზე, ხელებზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ იყო ჩვენთვის სასურველი. მხოლოდ ხანში-შესული ქალები იყვნენ ამ მხრივ თავდაჭერილად. მოხუცებული ქალები კი ჩუმად აფრთხილებდენ გატაცებულ ახალგაზრდებს, რომ კოცნაზე თავი შეუკავებიათ.

ყოველი ეზოდან გამორბოდენ თითო-ოროლი, გვაძლევ-დენ სალამს და ემატებოდენ ხალხს. ვინც სალამს ვერ გა--ბედავდა, ეუბნებოდენ:

— სალამი მიე, ჩვენები არიან. ჩვენებური ნამაათ (ლამაზათ) იციან.

სახლების ბანებზე და გომებზე გამოფენილი იყო ჭრელი, ხშირი ნაოჭიანი კაბებით მორთული ქალები. ყველა-უჩადროდ, უნიღაბოდ. ისინი გადასძახოდენ ერთიმეორეს კრიალა ხმით. დარბოდენ, კისკისობდენ. ქალების სითამა-მებ გადააჭარბა კაცებისას. ჩვენს გარშემო უმთავრესად მათ გადაჭრეს ქუჩა. სეიფოლა თითქმის სოფლის თავში სახლობს. ამიტომ მთელი ეს უზარმაზარი სოფელი ფეხით გავიარეთ.

სეიფოლასთან რომ მივედით, უკვე ტევა ალარსად იყო. ქუჩა, ეზო, ოთახები ხალხით გაივსო! ამან გააძნელა ჩვენი დანახვის საჭმე. ამიტომ ხალხმა მოითხოვა გავსული-ყავით გარეთ, ფართო ალაგზე, რომ ყველას დავენახეთ. მეტი გზა არ იყო. გავედით. დაგვაყენეს და კარგა ხანს გვიცებირეს. ამავე დროს ჩვენთან მუსაიფი არ შეუწყვეტიათ. შიგა და შიგ გაიძახოდენ: „დიდ საქართველოდან მოსუ-ლანო“.

* * *

სეიფოლა იოსელიანი ძალიან მოწყენილი დაგვიხვდა. მეტწილად დაფიქრებული იყო. ჩვეულებრივად ვერ გვე-ლაპარაკებოდა. ამან გამოიწვია აშკარა ეჭვი. ძალაუნებუ-რად ვფიქრობდი: ნუ თუ ეწყინა ჩვენი მოსვლა? მაშ, რის-თვის იწერებოდა ყოველთვის — „მოდი — მოდიო“? ნუ თუ განგებ იწერებოდა?.. იქნება ბევრი ვართ, ის კი ერთს, ან ორს მოგველოდა?..

მე ვიცოდი, სეიფოლა არც ასე ძუხწი იყო, და არც ისე ლარიბი, რომ ოთხი ადამიანი რამდენიმე დღე ვერ შეინა-ხოს. მაგრამ მაინც კი ისტაჭანიდან ბლომად წავილეთ ხო-რაგი, რომ მისი ოჯახი მოულოდნელი ხარჯით არ დაგ-ვემძიმებია. რომ დაინახავს, იქნება ხასიათი შეიცვალოს, ვფიქრობდი მე. მაგრამ, მაშინ ხომ აქ დარჩენაც ალარ ელირება?.. ჩვენ ამოვალაგეთ ყველაფერი, მაგრამ მან მაინც არ გაიცინა. ის თითქმის არც კი გვეკარებოდა სათანადოდ. გველაპარაკებოდა ცოტის და უხასიათოდ, მხოლოთ მისი დედა და ოჯახობა იჯდენ ჩვენთან და გვართობდენ ლაპარაკით, ვახშმის მოლოდინში. ვახშამი ცალკე ოთახში გაგვიწყო. თითქმის შუა ჭამამდე არ მოგვკა-რებია. შემდეგ მოვიდა. კარები და ფარჯრები დარა-ბებით დაახურვინა, რომ გარეშე თვალს არ დავენახეთ.

დაჯდა, მაგრამ ერთი ლუკმაც არ ჩაიდო პირში. ასეთი საქციელი კიდევ სრულებით არ მომეწონა. მისი სახე შემდეგაც არ გაიხსნა. აშკარა იყო, რაღაც აწუხებდა.



სურ. 3. ს ე ი ჭ თ ლ ა ი რ ს ე ჭ ლ ი ა ნ ი ს ი ღ ვ ა ხ ი . შ ე მ რ ე რ ი რ ი გ შ ი პ ა რ ვ ე ლ მ ა რ ვ ე ნ ი ღ ა ნ უ — ს ა რ ა ჭ ე ლ ი ძ ე .

მომაგონდა ქვემო მარტყოფელი სპარსელი გლეხის მასპინძლობა, მისი სიუხვე, სიხალისე. ამ უბრალომ, უცნობმა, შემთხვევით სრულიად, ასეთი პატივი გვცა. იქვე — ჰასან ხანი, აქამდე სრულიად უცნობი, დიდის ფოფინით გვეკიდებოდა. გვთხოვდა — დავრჩენილიყავით მასთან რამდენიმე დღე. და, აი, ეს ორი: ერთი წმინდა სპარსელი, მეორე სრულიად გადაგვარებული, რომელმაც ერთი სიტყვა ქართული აღარ იცის. მესამე — სეიფოლა იოსელიანი...

როგორ უნდა შევადარო ეს სამი სხვადასხვა ტიპი ერთი
მეორეს?!.. ვისიც მეტი იმედი გვქონდა, ის თითქო ჩვენი
უმაღლერი იყო.

ვნახოთ, რა იქნება ხვალ?.. მე ჩემს დაკვირვებას ჯერ
არცვის ვუმხელდი, სანამ ეჭვების კვანძი თავის თავად არ
გაიხსხებოდა. აღამიანის სახე სარკეა. მისი შინაგანი სუ-
ლიერი მოძრაობა ისე ვერ გაჩერდება შიგ, როგორც ნაფო-
ტი ზღვის ფსკერზე — ვფიქრობდი მე.

იმ ლამეს გვიან დავწევით, მაგრამ ადრე ვამოგვეღვიძა.

მეორე დღეს, დილით ადრე, ორი ბახტიარი ჩაფარი
მოვიდა სეიფოლასთან. ცხენები ეზოში დააბეს და ოთახში
აქვე დაბარგდენ.

სეიფოლამ მაშინვე გამაფრთხილა, რომ ისინი იყვნენ
მთავრობის კაცები. გამაფრთხილა და თითონ ისე ეჭირა
თავი ჩვენთან, როგორც უცხოსთან. ამის შემდეგ, გამო-
ირკვა ყველაფერი. სეიფოლა გამოტყდა თავის „დანაშაულ-
ში“. თურმე ზოგიერთი პროვოკატორი სეიფოლას ფერეიდ
ნიდან გადასახლებას ემუქრებოდა. რასაკვირველია, ასეთს
მდგომარეობაში სტუმართმოყვარეობა და პირადი ინტე-
რესი ველაზ დაეტევოდა ერთსა და იმავე ჩარჩოში — და
ამის მიზეზი თურმე მე ვიყავი.

გამოირკვა, რომ ჩემი აქ მოსვლის ჩვეულებრივ მიზანს,
ვიღაც ძველი ჭაობის კაცმა (თუ კაცებმა) თავისებური
სარჩული გამოაკერეს, სახე დაუმახინჯეს, თიადორას თვა-
ლები გაუკეთეს და, როგორც ნადირთა საბრთხობელა,
ხალხს მოაჩვენეს — ვითომც მე მივდივარ ფერეიდანში,
რომ ქართველები „გავასომხო“ ე. ი. გავაქრისტიანო,
გავხსნა რუსული სკოლა და ყველა გადავასახლო საქარ-
თველოში.

სხვათა შორის, ასეთი ჭორი იმასაც კი წამოეძახა,
რომელმაც შემდეგ დიდი პატივი გვცა.

— ჩვენ რჯულის მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, თუ ესეც წაგვართვეს, მაშინ მთლად დავილუპებით.

ფერეიდანში ამ დროს, ყაჩალების წინააღმდეგ მებრძოლი, ასი ჯარისკაცი იდგა, ერთი ოფიცრის მეთაურობით. მას ისფაპანის მთავრობისაგან ბრძანება მისვლია გამოიკვლიოს ჩემი მისვლის საქმე.

ჩემი იქ მისვლის დღე ყველაზ იცოდა. სეიფოლას წინა დღით გამოეგზავნა ჩემთან სურამელი რომაშვილი, რომ აღარ წავსულიყავი ფერეიდანში და, თუ გზაში მნახავდა, უკან უნდა დავებრუნებიე. მაგრამ რომაშვილს ასე სრულებით არ დომებია. მას დაუკრავს ფეხი და ჩუმად სხვა სოფელში წასულა, ჩვენ კი სწორედ ამ დღეს მივდივართ.

ამბავი თურმე სომხების უბანშიაც გავრცელებული. იქ სოფელ ნამაგერდში ერთი ტფილისელი ქართველი და ორი სომხები ყოფილან. ისინი თურმე ორი დღე დარაჯობდენ გზაში, რომ მე შემხვდომოდენ, მაგრამ, ჩვენ შემთხვევით პირდაპირ მიმავალ გზას ავცდით, სულ სხვა უხეირო მიმართულებით წავედით. შემდეგ, გაუგოთ იმათაც, მაგრამ უკვე გვიან იყო. ჩვენი დაწევა აღარ შეიძლებოდა.

ოფიცერს, რომელიც თავისი ასეულით დაბანაკებული სეიფოლას ოჯახში, მთელი სამი დღის განმავლობაში ბევრი რამ გამოუკითხავს, თუ რისთვის მივდივარ მე ფერეიდანში, ან მის ოჯახში?. რა კავშირი აქვს მას ჩემთან და სხვა?..

ჯარის უფროსს, როდესაც ყველა საკითხები ამოუწურავს, დაუვლია მთელი სოფელი, უნახავს საოცარი სივიწროვე, ჭუჭუიანობა, უვიცობა. რაც მთავარია, ამოდენა სოფელს, სადაც ამდენიმე ათასი სული ცხოვრობს, ერთი სკოლაც არა აქვს. ოფიცერი შეკითხებია სეიფოლას:

— რა არის, რატომ ერთი სკოლა არ გაქვთ? ხანი ხარ, სოფლის მეთაურად თავი მოგაქვს.

მე და სეიფოლა თითქმის მთელი წელიწადი ვცდილობდით ისფაპანის ოლქის განათლების უფროსთან, რომ ზემო მარტყოფში სკოლის გახსნის ნებართვა მოეცა, რასაკვირველია, სპარსული სკოლის. ასეთი ნებართვა, მართლაც, მივიღეთ ერთის პირობით: თუ სკოლისთვის სათანადო ბინას იშოვნიდა და მისთვის საჭირო მოწყობილობასაც შეიძენდა. მთავრობა თავისთავად ასეთ ხარჯებს არ კისრულობდა. მხრალოდ მასწავლებლების ჯამაგირს ჩინენ გადავიხდითო.

სკოლის მოწყობილობისათვის საჭირო იყო ფული, რასაც სოფელში ვერ მოაგროვებდა — „ასეთ რამეში ჩვენი სოფელი ფულს არ გაიღებსო“. ამიტომ სეიფოლას ეძნელებოდა, მაგრამ მე გავუადვილე: „შენ ნებართვა საბოლოოდ დაადასტურებიე, ფულს მე მოგიხერხებ — მეთქი. ასეც მოხდა. და, აი, ეს საჭმე ახლა გაკეთებული იყო. საბუთები სეიფოლას ჯიბეში ედო.

როდესაც ოფიცერმა სკოლის შესახებ უსაყველურა, მან სეიფოლამ, სიხარულით გაიკრა ჯიბეზე ხელი, ნებართვა უჩვენა და მოახსენა:

— ბატონო, რამდენი ხანია ნებართვა აღებული მაქვს, მაგრამ ვერ გამომიჩნია. ბევრი მტრები მყავს. აი, თქვენთვისაც რაები უთქვამთ, და სასჯელით მემუქრებითო.

ჯარის უფროსს საბუთები გამოერთმია, წაეკითხა, და გახარებოდა.

ჰო, ახლა კი ვიცი რაში ყოფილა საჭმე. ამბობდენ თითქმ რუსული სკოლის გახსნას აპირებდი... ეს კარგი საჭმე გაგიკეთებია. დაასრულე ბარემ. მეც დაგეხმარები, ოლონდ ხელი არ აიღო.

შემდეგ სეიფოლასთვის დიდი მადლობა ეთქვა. გაერჩნევებია და იმ ლამესვე გათენებამდე წასულიყო თავისი ჯარით.

ამის შემდეგ, რამდენიმე საათმა გაიარა, და ჩვენკ მივედით სეიფოლასთან.

სეიფოლას განვლილი შიში და მწუხარება ასე მალე ვერ მოენელებია. ის კიდევ ხითათის მოლოდინში იყო.

ოფიცერს, ყოველ შემთხვევისათვის, ორი კაცი გამოეგზავნა თვალყურის სადევნებლად.

ამით ამოიშურა ის საპროვოკაციო მასალა, რომელსაც, შესაძლებელი იყო, როგორც ჩემთვის, რაც სეიფოლასთვის დიდი ზიანი მოეყენებინა. მაგრამ სიფრთხილე მაინც საჭირო იყო. სეიფოლა მაინც ვერ გაიმართა წელში. ის ძალიან წუხლა. მე კი ჩემს დარაჯებს გავეცანი, ბლომად აბდა-უბდა ვუთხარი და ერთი მათგანი ადვილად დავიმეგობრე, მეორეს კი თავი უფრო მორიდებით ეჭირა.

ამავე დროს, ჩემს მდგომარეობას ხელი შეუწყო ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ: ნაშუალამევს, ორი ან სამი საათი იქნებოდა, სომხების სოფელ მილაგერდიდან, დაახლოებით ოცდახუთი კილომეტრის სიშორეზე, ჩემთან ქვეითად მოვიდა ხუთი კაცი, სამი სომხი და ორი ქართველი, სწორედ ისინი, რომლებსაც მე გზაში ავცდი. მათი მოსვლა იმ დილითვე მთელმა სოფელმა გაიგო. მათ გაავრცელეს ხმა, რომ ჩამოვიდენ საგანგებოდ ჩემი მდგომარეობის გასაგებათ, რომ ხითათი არ დამემართოს. ამ ამბავმა ყველაზე დიდად იმოქმედა. ზოგში თავმოყვარეობის გრძნობაც აღძრა, — იქაური ქართველების შერცხვენად მიიღო:

— როგორ? ჩვენს ძველს აქ რაიმე გაუჭირდება? სომხების ჩამოსვლა რა საჭირო იყო?..

მე ოვით ვიცოდი, რომ საშიში არაფერი მომელოდა. მარტყოფელი ქართველები თავზე გვადნებოდენ; არ იყო არც დრო და არც შესაძლებლობა დღე და ლამის ფარგალში, რომ ყველასთან მივსულიყავით. ზოგი გზაში გვიჭრდა: „მოდით, ტყუილა შემოდგით ფეხი და ისევ წადითო“. ასეთ მიწვევაზე, რასაკვირველია, ყველას ვერ გავხვდით და ზოგი ნაწყენი დაგვრჩა. ჩემი სტუმარი ქალი, ე. ფონშტეინი სულ ჩაიკეტა ოთახში, რადგან ფეხებმა ველარ გაუძლო.

* * *

ძალიან თავაზიანი გამოდგენ ჩემი დარაჯები. მარტო არსად მიშვებდენ. არავითარი ურიგო სიტყვა, არავითარი ცუდი საქციელი ჩემდამი მათ არ გამოუჩენიათ, რომ ჩემში ოდნავი წყენა აღძრულიყო. პირიქით, ერთმა მათგანმა მოინდომა წასულიყო სომხების სოფელში და ჩემთვის ღვინო და არაყი მოეტანა. „თქვენ უსასმელოდ შეწუხდებითო“, მითხრა მან. თუმცა ლაპარაკის შემდეგ, გამოირკვა, რომ სასმელის წინააღმდეგი არც თითონ იყო. „შენ იქ, ისფაპანში კარგი ღვინო გექნება ნამდვილად, უთუოდ შემოგივლიო“, და მისამართიც გამომართვა, თუმც, არ ვიცი, რა მიზეზით, ის ჩემთან არ მოსულა. მხოლოდ თავის მხრივ დამავალა: „ისფაპანში რომ ჩახვალ, ამა და ამ გენერალთან მიღი და ჩემი სახელით მისი სურათი გადაიღეო“. რასაკვირველია, ამ სიტყვების შემდეგ, როგორც ის არ მოსულა ჩემთან, ისე მეც მისი თხოვნა არ შემისრულებია.

სოფელში სიარულის დროს, ბევრი დაგვდევდა თან, უმთავრესად ახალგაზრდები და ბავშები. ხანდახან შეგვაჩერებდენ სალაპარაკოდ და გვაგვიანებდენ კილევაც. დაგვდევდა დარაჯიც და შიგა და შიგ მეტყოდა: „როდესაც მე თქვენთან ვარ, შიში ნურაფრისა გექნებათო“. მაგრამ

მე მაინც მისი უფრო მეშინოდა, ვიდრე სხვების, თუმც
ამის საბუთი არ მქონდა.

— „ვიცოდი რომ ესენი გურჯები იყვნენ. მაგრამ ის
კი აღარ ვიცოდი, თუ სხვა გურჯებიც იყო“.

თითონ ბახტიარები იყვნენ. წოდებით ხანები. ორივე
მალალი ტანისა და ლამაზი შესახედავი.

— „ჩვენ, ბახტიარები ბევრი ვართ. შაგრამ თქვენ, ქარ-
თველებს, რომ ერთი მეორის სიყვარული გცოდნიათ, ჩვენ
ასე არ ვიცით. პირიქით, ერთი მეორეს თავზე ვესხმით და
ვანადგურებთო“, — ამბობდა ის გაკვირვებით და მგონია
გულწრფელადაც.

როდესაც ჩემთან სიარულით დაილლებოდა, მეტყოდა:

— მე ცოტა საქმე მაქვს. წავალ, მაგრამ არ შეგეშინ-
დეს, მალე დავბრუნდებიო.

ორი დღის შემდეგ, ჩემს შესახებ გავრცელებული
ჭორები გაქრა. ყველა დარწმუნდა, რომ მე არც — „რუ-
სულ სკოლას ვხსნიდი, არც არავის არსად არ ვასახლებდი
და არც რჯულს ვართმევდი“. პირიქით, ვიცოდი რა ეს,
ჩემი რჯულიც კი ზოგიერთებს მუქთად შევთავაზე, მაგ-
რამ მსურველი არავინ გამოჩნდა. მხოლოდ ერთმა მითხრა.
„ქრისტეც პაილამბარი“ (წინასწარმეტყველი) იყო, ყორან-
ში წერია, ჩვენც პატივსა ვცემთო“. მაგრამ მაინც კი, მუ-
სულმანს ვერ აფიქრებინებთ, რომ მან თავის რჯულს ქრი-
სტიანულიც მიუმატოს, ან გაცვალოს. თუმცა ასეთი იშვია-
თი კომბინაციით ის მაინცდამაინც ვერაფერს მოიგებდა.

* * *

ჩემი მიზანი; სხვათა შორის, ისიც იყო, რომ იქაური სუ-
რათები გადამეღო. ამისთვის საგანგებოდ წავიყვანე სპეცია-
ლისტი ფოტოგრაფი, სპარსელი ახალგაზრდა მაჰმად ხანი.

აქამდე ყორანის ძალით სურათების გადაღება აკრძა-
ლული იყო, განსაკუთრებით ჭალების. ამ მხრივ ჩვენს

მოქმედებას, შესაძლებელი იყო, უსიამოვნება გამოეწვია.

ამიტომ მაჰმად ხანი მეტწილად მარტო დადი-ოდა, განსაკუთრებით, მისტერიების გადაღების დროს. არა-სპარსელს ამის ნებას არავის მიცემდენ „ხალხის“ მეგობ-რები, რომლებიც გაჩუმებული იყვნენ, მაგრამ თუ მიზეზს იპოვნიდენ, ხმის ამოლებას კი მოახერხებდენ. არავის არა-ფერი უთქვამს აშკარად. მხოლოდ ერთმა მოხუცმა ვეღარ დაფარა თავისი გულისწყრობა:

— ჩვენი ქალების სურათი რათ უნდა დაინახონ თქვენში?

— რატომ, რა უშავს?. აქ რომ ვართ ხომ ვხედავთ?..

მოხუცს კიდევ უნდოდა რაღაც ეპასუხნა ჩემთვის, მა-გრამ აქეთ-იქეთგან შეუბლვირეს და გააჩუმეს.

ამის შემდეგ, ქალების სურათიც გადავიღეთ. ამან გა-მოიწვია ყოყმანი. ბევრმა ვერ გაბედა. ალბათ, ქმრების შიშით. მატყული ხან ონიგაშვილმა თითონ ნება არ დაგვრ-თო მისი ოჯახის სურათი გადაგველო, თუმც მათი ქალები მოწალინებული იყვნენ.

უკან დაბრუნების დროს, ისევ მოვიდენ ჩემი ნაცნობი ქართველები და სომხები.

— „მართალია, ქართველებია, მაგრამ მაინც მუსულმა-ნები არიან. მაგათი ნდობა არ შეიძლება. შეიძლება პრო-ვოკაციის სახით ისეთი საქმე ჩაიდინონ, რომ შემდეგ თი-თონვე ინანონ. მაგრამ, რაც უნდა ჩაიდინოს ქრისტიანის წი-ნააღმდეგ, იმაზე მაინც და მაინც საყვედლურს არავინ ეტყვის“.

საზოგადოდ, მათი სიფრთხილე არ იყო სათანადო სი-მართლეს მოკლებული. მით უფრო, რომ ფერეიდანში, რო-გორც ცენტრიდან დაშორებულს კუთხეში, ძველი კანო-ნების გავლენა ჯერ კიდევ შეურყეველი არის. ახალი კანო-ნის გავლენა მხოლოდ ახლა იკიდებდა ფეხს. ამ ნიადაგზე გაუთავებელი ჩხუბი იყო. ამიტომ რაიმე ხიფათში ჩავარ-დნა, მართლაც, ადვილი მოხალოდნელი იყო.

წამოსვლის დროს — ხალხმა სოფლის ბოლომდე გამოგვაცილა.

დიდის ამბით დავშორდით ერთმანეთს იმ პირობით, რომ ისევ მალე ვინახულებდი მათ.

ქვემო მარტყოფში რომ გავიარეთ, ჰასან ხანმა დაგვი ჭირა, ჩაი და ხილი მოგვთავაზა და პირობა ჩამოგვართვა, რომ შემდეგში მასთან დავბინავდებოდით.

მილაგერდში რომ მივედით, იქ ჩვენთვის საღილი გაემზადებიათ. ერთ ჩვენებურ ქართველს, ბადით პატარა მდინარეში ჩინებული მურწა თევზები დაეჭირა. ლვინო, არაუი, მწვანილი — ბლომად იყო. დიდად მოგვილხინეს. იძლერეს. იცეკვეს. ერთი სიტყვით ეს იყო „ქრისტიანული“ დაგვირგვინება ჩვენი მოგზაურობის. და, მართლაც, დიდად განირჩეოდა მუსულმანურ პატივისცემისაგან, თუმცა სული და გული შეზავებული კეთილი სურვილებით, მათშიც ბევრი იყო.

იქაც სურათები გადავილეთ. საღამოს ისტაპანში უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ჩვენი ავტომობილი ისე მაგრად ჩახტა არხში, რომ ჩვენი წინ წასვლის იმედი აღარ იყო. მას გაუტყდა საჭე.

სომხეთის უკანასკნელ სოფელს ხუთი კილომეტრით ვიყავით დაშორებული, ხოლო მილაგერდიდან ორმოცი კილომეტრი გამოგვევლო. ამ დროს საღამომაც მოგვისწრო. თითქო ლამეც აქ უნდა გაგვეთია, მაგრამ შემთხვევით, ისტაპანიდან წამოსულმა მგზავრებმა მოგვისწრეს. მათ ჯერ ნესვი შემოგვთავაზეს, შემდეგ თავითნთი ავტომობილით სომხეთის სოფელ დოვლათაბადში გაგვაგზავნეს ერთ ნაცნობ ტერტერასთან. — „აქ თათრების სოფლებიც არის უფრო ახლოს, მაგრამ თქვენ ქრისტიანთან გირევნიათო“, გვირჩიეს მათ.

ტერტერა ეტყობოდა ძალიან ღარიბი იყო, მაგრამ კარგად მიგვიღო. თვით სოფელიც ძალიან ღარიბი ჩანდა. ეს სოფელი მთლიანად ეკუთვნოდა ყაჯართა ჩამომავლობის შაჰზადეს (მეფის წულს), გროვიულად განათლებულს, მაგრამ ხასიათით მაინც აზიელს, რომელიც, ეტყობოდა, თავის სამფლობელოში განუსაზღვრელი უფლების პატრონი და ბრძანებლი იყო.

ტერტერას რჩევით, წავედი მასთან ავტომობილის სათხოვნელად. ამ დროს, პრინცი მახლობელ მთის კალთებში ნადირობდა. ისროდა თოფს, და თან თავისი სოფლისკენ მოდიოდა. მე წავედი მის შესახვედრად. ავუხსენი, რომ ვიყავი საბჭოთა მოქალაქე, ბანკის თანამშრომელი და ვთხოვე მოქირავებია, ან, თუ გაქირავებას არ იკადრებდა, როგორც ამას ტერტერა მარწმუნებდა, ენათხოვრებია ისფაპანამდე თავისი ავტომობილი, რითაც დიდად დაგვავალებდა. მან ჯერ მწუხარება გამოთქვა და შემდეგ ორივეზე უარი მითხრა.

მე ისევ ავტომობილის ძებნაში ვიყავი და სოფლის გზებში წარა-მარა დავეხეტებოდი. გავიგე ვიღაც სომეხი მოდის ისფაპანიდან. ეს ერთად-ერთი იმედილა იყო. მაგრამ ჯერ ისიც არსად ჩანდა. მე მაინც ველოდებოდი. ამასობაში შაჰზადე თავისი ძმისა და ერთი მოლას თანხლებით მისულა ჩვენს ბინაზე. ჯერ ქალებს გადაჰკიდებია, აქ როგორ დგახართ, ჩემთან წამოდით, კარგი ბინა მაქვსო. იქ ბევრი ხალხი ყოფილა თავმოყრილი, მაგრამ შაჰზადეს დანახვის თანავე გაპარულან. ვინც დარჩენილიყო, იმათაც ხმა ჩაწყვეტოდათ. ტერტერა თურმე გაძწარებული დარბოდა, თვალებით და ხელებით ნიშანს აძლევდა ქალებს, რომ არას გზით არ წაყოლოდენ. პრინცს თავის ზულკეთილობაზე ცივი უარი რომ მიეღო, შემდეგ ფონ-შტეინის პატარა ქალისთვის ეკითხება:

— თქვენ ბოლშევიკები ხართ?

ქალმა არც კი იცოდა რა იყო „ბოლშევიკი“, მაგრამ ბაინც ეპასუხნა:

— არა.

— მაშ რა ხართ?

— რუსები.

— რუსები ხო ბოლშევიკები არიან!

ბავშვა მეტი სპარსულიც არ იცოდა, ამიტომაც ასე გათავდა ეს სცენა. ამ ღრმს მეც მივეღი. შავზადემ ახლა მე მომმართა, წავსულიყავით მასთან სტუმრად, მაგრამ იქაურობას გადავხედე თუ არა, შევატყვე, რომ ყველანი მწყრალად გამოიყურებოდენ.

— მე ბინა მაქვს. მაგრამ ბინა კი არა, ავტომობილი მინდა. თუ შეგიძლია, ავტომობილი დაგვითმე.

ავტომობილის შესახებ მან კიდევ რალაც მიზეზები დაასახელა. ეს მიზეზები კი არავითარ ლირებულებას არ შეიცავდა. ამიტომ მის ლაპარაკს ყური აღარ ვუგდე. მას ეტყობოდა არ მოეწონა ჩემი ასეთი მკვახე საქციელი. ის გაუძლვა წინ თავის მოლას და შემდეგ აღარ გვინახავს.

ისფაპანში გავიგეთ, რომ ყაჯარი შავზადე და ქვემო მარტყოფელი ქართველი ჰასან ხანი ყოფილან ერთი მეორის საპატიო მძახლები. ჰასან ხანის ვაჟმა, რომ გაიგო თავისი სიმავრის საქციელი, მოინდომა მისი დაწვრილებით გაგება, მაგრამ, რაც უმთავრესი იყო, მე ის არ ვუხსარი. მგონდა, მას თავისი სიმავრი თითონ არაფერს დაუფიცავდა.

როდესაც ისფაპანში მოვედით, მარტყოფში გადალებული ფირფიტები ფოტოგრაფმა წაილო სურათების დასაბეჭდად. მასთან მისულიყვნენ ორი კაცი და მათ შორის ფერეიდნელი ფახრედინი, რომელიც ისეთი დიდის ამბით გამაცნო ზეინალაბდინ ხან ონიკაშვილმა. ფახრედინს ჩვე-

ნი სურათები კომისარიატში წაეღო. განეცხადებია, რომ
მე გადავიღე ქალების სურათები, რითაც დავარღვიე შა-
რიათის კანონები. და, ალბათ, ჩემს დასჯასაც მოითხოვდა,
მაგრამ ფახრედინისთვის კომისარს ეთქვა:

ორი წლის წინად რომ მოგეტანა, მაშინ სასტიკად
დაუსჯიდი, ახლა კი დაგვიანებულია.

ფახრედინის საქციელს ის ზარალი მოყვა, რომ რამ-
დენიმე ნეგატივი დაიკარგა.

ასე დასრულდა პირველი ეტაპი ჩემი მოგზაურობისა.
ბევრს არ ეგონა თურმე, რომ მე იქიდან მშვიდობით დავ-
ბრუნდებოდი. ეგონათ სპარსეთიდან გამომაძევებდენ.

მე კი ყველას ვეუბნებოდი საპასუხოდ:

— იქ მიდიან — სომხები, ებრაელები, თურქები, ქურ-
თები, ევროპიელი მოგზაურები. მიდის ყველა, ვისაც კი
რაიმე აინტერესებს. და რა უნდა ყოფილიყო, ან რად უნ-
და გაძნელებულიყო ჩემი წასვლა ფერეიდანში?..

ამის წინააღმდეგ სათანადო პასუხი არავის მოუკია.
მაგრამ ისედაც აშკარაა, თუ რაში იყო საქმე: ჩემის მის-
ვლით პროვოკატორებმა მხოლოდ თავიანთი „ზნეობრივი“
საზრდო გაიჩინეს.

თავი მეცუთე

ფერეიდანი. ისტორიული ჭარსული. ზეპირგადობაში. გადასახლების ისტორია. შეტაკება ქარიშ ხანთან და გამაჰმადიანება. ავლანელების უმოსება. ბახტიარებთან და ქურთებთან დამოკიდებულება. ეპონომიური მდგრადარება

ფერეიდანი. მდებარეობს სპარსეთის სამხრეთ - დასავლეთით, სატახტო ქალაქ თეჰერანიდან შვიდასი კილომეტრის და ისფაპანიდან ასორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით. მცხოვრებთა საერთო რაოდენობა, 1929 წლის აღწერით, უდრის 79.000 სულს. ამის მიხედვით, ქართველები შეადგენენ ფერეიდნის მცხოვრებთა ერთ მერვედს — 10,000 სულს, ანუ 13% , თუ მივიღებთ მხედველობაში ჩხოლოდ იმ ქართველებს, რომლებსაც ჯერ ენა არ დაუკარგავთ და აქვთ იგი ყოველდღიურ ხმარებაში.

ის უბანი, სადაც დასახლებული არიან ქართველები, დაშორებულია ქ. ისფაპანზე ას ოთხმოცი კილომეტრით. თვით ქართველების უბანი, დაახლოებით, არის ორასი კვარტომეტრი. ისინი დასახლებული არიან მთების კალთებში. მარჯვნით არის აფუსის მთა — ანუ წვერის მთა, ხოლო მარცხნით — ლურის მთა. ისფაპანიდან მისავალში, აღმოსავლეთით, წინ გვხვდება სომხებისა და თურქების სოფლები. სამხრეთ დასავლეთის მხრით მდებარეობენ ლურები, ბახტიარები და ქურთები.

ქართველების სოფლების რაოდენობა განისაზღვრება
15 — 16 — ით, და შეიძლება დავასახელოთ მეტიც, მაგრამ,
დასახელებულ სოფლებშიაკ, არიან ისეთი სოფლები, რომ-
ლებიც ქართულად თითქმის აღარ ლაპარაკობენ. ქართვე-
ლების უბანს ეწოდება „გურჯი მაჰალ“, თუმცა სპარსულ
ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებში ამ სახელს
აღარ ახსენებენ. ისინი შედიან ბახტიარების საერთო ალ-
წერაში, როგორც მაჰმადიანები, მათი ვინაობის აღუნიშ-
ნავად. თვით ქართველებიც კი შორეულ ქალაქებში თა-
ვიანთ ვინაობას ბახტიარების სახელით ასაღებენ, რათა
უფრო გასაგები იქნეს სპარსელისთვის.

ადგილ-მდებარეობა მაღალია, სააგარაკო, რომლითაც
მომავალში უსათუოდ ისარგებლებს კულტურული საზოგა-
დოება. აქ იცის შედარებით ხანგრძლივი ზამთარი. ზოგ-
ჯერ სახლები თოვლით დაიფარება, გზები შეიკვრება. ასე
რომ, ამ მხრივ იგივეა, როგორც ჩვენი ზოგიერთი მთიანი
ადგილები. მათ წვერის მთაზე, რომლის გარშემო სახლო-
ბენ ქართველების მეტი წილი, თოვლი არ დნება შუა
ზაფხულამდე; მის ხევებსა და ლრადოებში მთელი ზაფ-
ხული ინახება ყინულის დიდი მარაგი, რომლითაც სარგე-
ბლობს მოსახლეობა გაჭირვების დროს. ეს მთა განირჩევა
შშენიერის წყაროს წყლებით და ჰაერით, რომლითაც
ხშირად ამაყობენ და იშვიათად ვინმე დაგელაპარაკება,
რომ თავიანთი „წყალისა და ჰაერის სიმდიდრე“ არ ახ-
სენოს. ხშირად მეკითხებოდენ: „არის თუ არა საქართვე-
ლოში ასეთი დიდი მთა და კარგი წყალიო“.

ეს მთები, როგორც ყველა მთები სამხრეთ სპარსეთში,
ერთი შეხედვით წარმოადგენენ ვეება ლიტონი ქვის ზოდს,
რომელთა სხეულზე ვერ ნახავთ ხის ნატამალს; ისინი
დაჩეხილი და დაჭრილია ნიაღვრებისაგან, ალაგ ძირგა-
თხრილი, გარეცხილი, დალრეჯილი და პირქუშად გამომ-
ნენ ფერებიდნელი ქართველები.

ჭირალი. ფერად რუხი, წარბებშეკრული, ცივის გამო-
მეტყველებით დაცქერიან ზევიდან გარშემო დაფენილ
ამწვანებულ სოფლებს. მაგრამ ამ უსიცოცხლო მთებსაც
თავისი სიცოცხლე ჰქონიათ. მათი შორეული და ხშირად
მიუვალი წიაღიდან გამოდის მრავალი ნადირი — გარეუ-
ლი ჯეირნები, თხები, ცხვრები, მგელი და ტურა, კაკბე-
ბი, ქედნები. არის აგრეთვე ვეფხვები, რომლებზედაც ხში-
რად უხდებათ ნადირობა. ამ კუზიანი მთების თხემებზე
დაფრიალებენ ქორები და არწივები, რომლებიც ეშვებიან
ძირს, როგორც გადმოსროლი ისარი, რაიმე მძორის,
ან წაქცეული ცხოველის დანახვაზე.

ამიტომ ფერეიდნელი, რომელიც შეკედლებია ამ მთებს
მთელ რიგ საუკუნეების განმავლობაში, და არც გაშო-
რებია მას არასოდეს, ცხადია, უკეთესს ვერ წარმოიდ-
გენს. და, როდესაც ჩვენი ქოჩორა მთების ზღაპრული
სილამაზე ავუწერე, მისთვის სრულიად გაუგებარი დარჩა
ჩემი სიტყვები: „როგორ? მთა როგორ უნდა მოირწყას,
რომ ზედ რაიმე ამოვიდეს?.. „მთაჩი“ რა უნდა ხესო“?

სოფლები შედარებით ლამაზია. ხელთნაშენი საჩრდილე
და საბელავი ხეების ტყე მშვენიერი დასახახავია, განსა-
კუთრებით შორიდან. ამ მხრივ ქართველების სოფლები გე-
ვრად ჯობია სომხებისა და თურქების ზოგიერთ სოფლებს.

სახლები მეტწილად ერთი მეორეზეა მიღვმული. ალი-
ზით აშენებულია, ვაკე — ბანიანი — მიწით მოტკეპნილი, რო-
მელიც ცვივეა, როგორც ქართლის ზოგიერთი სოფლის
შენობები. ასეთივე შენობები აქვთ ყველას, საზოგადოდ,
სპარსეთის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც კი ვნახე.
გინის შინაგანი მორთულობა საღაა. ვიწრო კარ-ფაჯრებით.
ოთახში დაგებულია წოხი, ან ქეჩა. არც ერთ ოჯახში,
გარდა სეიფოლა იოსელიანება, არ იყო სკამი. თვით
სეიფოლას ოჯახშიც არავინ ჯდებოდა სკამზე. მათაც

ეი სკამი მხოლოდ იშვიითი სტუმრისთვის აქვთ შენახული. სადაც მივიდოდით, ჩვენ ძირს მორთხმული ჯდობას მიუჩვეველნი, დავეგდებოდით და დავიწყებდით წვალებას. ისინი ჯერ გაიცინებდენ, შემდეგ მოგვიტანდენ ბალიშებს, ან მთლიანად შეკრულ ლოგინს. მაგრამ ჩვენთვის ესეც უხერხული იყო და სიამოვნებით მოველოდით იმ წუთს, როდესაც ადგომა გვეღირსებოდა.

ეზოებში ყველას აქვს სახაბაზო, თორნე, გომი (ბოსელი), ფიჩი და გამხმარი წივა, რომელსაც აგუნდავებენ, ახმობენ მზეზე და ხმარობენ ზამთრობით სათბობ მასალად ჭურსში¹.

ქურსი ჰიგიენის მხრივ ძალიან ცუდია: ოთახი ივსება ნახშირის მძიმე სუნით. მით უმეტეს, თუ ქურსი წივით ანთებულია, იმ ოთახში უჩვევი კაცი ვერ გაძლებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ნახშირის სუნსაც თურმე ეჩვევა ორგანიზმი. ერთხელ, ზამთარში, ჩვენ მიგვიწვია ისფაპანში ერთმა ფერეიდნელმა ქართველმა. მან ქურსი აანთო და მაგიდის ქვეშ დადგა. სანამ ვიჯეჭით, ნახშირის სუნი არ გვაწუხებდა. როდესაც გარეთ გამოვედით სუფთა ჰაერზე, მთვრალებივით ბარბაცი დავიწყეთ. ძლივს მოვაწიეთ სახლამდე. შემდეგ ორი დღე თავი გვტკიოდა. როდესაც ჩვენმა მასპინძლებმა გაიგეს ეს ამბავი, ძალიან გაიკვირვეს. საზოგადოდ, ქურსს ყველა სპარსელი, სოფლელი და მოქალაქე ხმარობს. ზამთრობით ნახშირის სუნი ყველგან დგას, მას ძალიან ცოტა საწვავი მასალა ყოფნის და

¹ ქურსს წინად ჩვენშიც — ალმოსავლეთ საქართველოში და, განსაკუთრებით, ტუილსშიც ხმარობდენ. თიხის ფართე და ლრმა ჯამზე, ან რკინის მაყალზე გააღვივებენ ნახშირს. დადგამენ დაბალი სკამის ქვეშ, გადააფარებენ ფართე საბანს, შემოუსხდებან გარშემო, შეყოფენ შიგ ფეხებს, გადაიფარებენ მუხლებზე, შემდეგ მთელ ტანზე და ასე იძინებდნ.

სითბოც შესაფერისი აქვს. ზამთრობით, უსაქმობის დროს, ყოველი სპარსელი ოჯახი ქურსის გარშემო ატარებს დროს. რასაკვირველია, ქურსის ხმარება შედეგია შეშის სიძვირისა და რამდენიმე უკულტურობისაც. სამხრეთ სპარსეთში გაივლით რამდენიმე ასეულ კილომეტრს და ერთ ხესაც ვერ ნახავთ, გარდა იმისა, რაც თვით აღა-მიანს თავისი ხელით არ დაურგავს. სწორედ ასეთი მხა-რეა ფერეიდანი, სადაც ქართველები ცხოვრობენ. იქ ტყე არ არის. მათი მინდვრები გადარუჯულია მზისაგან, აქა იქ მოდის ექალბალახები — „იაუშანი“ რომელსაც ხმა-რობენ თორნეების უცებ ასანთებად. არის აგრეთვე გა-ზანგელანის ბუჩქები, რომელიც ნადგურდება მეტწილად აბანოს გასახურებლად. ამიტომ, ფერეიდნელი ქართველე-ბის დღევანდელ კულტურის მიხედვით, ქურსის ხმარება აუცილებელია.

ქართველები განსაკუთრებით მისდევენ მიწის მეურ-ნეობას. ვაჭრობა და ხელოსნობა ძალიან იშვიათია. სოფ-ლებში თუ ვინმეა ვაჭარი, ან მოხელე, თითო ოროლას გა-მოკლებით, უსაუთოდ სპარსელია, ან ებრაელი. ამ მხრივ ქართველების ჩამორჩენა შედეგია მათი ბატონყმური დამო-კიდებულებისა ხანებთან და შეძლებულ პირებთან. ბევრია სრულიად ლარიბი ქართველი — ბოგანო გლეხი, რომელიც მიჯაჭვულია ბატონის მიწასთან მხოლოდ იმიტომ, რომ წლის ბოლომდე თავი გაიტანოს, ის მოკლებული ყო-ფილი და არის ყოველგვარ საშუალებას, რომ გაშორ-დეს თავის სოფელს, სხვა რაიმე ცოდნა შეიძინოს. ვერც ერთ ქალაქში და, განსაკუთრებით, ისფაპანში, რომელთა-ნაც დაკაფშირებული არიან, როგორც აღმინისტრატულ ცენტრთან მთელი თავისი ცხოვრებით, ვერ ნახავთ ვერც ერთ ქართველ ვაჭარსა და ვერც ხელოსანს, გარდა ჯარისკაცებისა.

ქართველების რაიონში, როგორც ყველგან იმ მხარეში, ითესება პური, ქერი, სიმინდი, ლობიო და სხვა მარცვლეულობა. აქვთ ვენახებიც, მაგრამ, ბართან შედარებით, ნაკლები რაოდენობის. მიზეზი უნდა იყოს ქალაქისგან სიშორე, რადგან სპარსეთში ყურძენი მთლიანად ბაზარზე გადის და ის ძალიან იაფიცაა. საქიშმიშეთ ფერეიდნის ყურძენი ნაკლებად გამოდგება. ამიტომ ყურძენს, რაც პირდაპირ სახარჯოდან გადარჩებათ, ინახავენ ჯაგნებით საზამთროდ. აგრეთვე მას წურავენ, ტკბილს ადულებენ სანამ ნახევარზე არ დადგება. ასე მომზადებულს ეძახიან „შირას“ (ტკბილს) და ხმარობენ ზამთრობით.

მიწის მოხვნა იციან იმერულ წესზე. პატარა ხის კავისახნისით, გრძელი თოკით გამობმული ულელზე, სახვნელის ქუსლი და ერქვანი, ერთი სიტყვით, იგივე, როგორიც არის იმერული „წეწენა“. თვით ფერეიდნული ხარების ჯიში ძალიან წაგავს იმერული ხარის ჯიშს.

ყოველდღიურ საკვებად აქვთ პური და ხორცი. სამარხეოს ძალიან ნაკლებად ეტანებიან. თუ რაიმე გადარჩებათ წლიურ მარაგიდან, გააქვთ ისფაპანის ბაზარზე გასაყიდად.

თითოეულ საშუალო ოჯახს ყავს ხუთიდან ათამდეცხვარი, თითო-ოროლი ძროხა, ულელი ხარი, ერთი ან ორი ცხენი და ვირი. მხოლოდ ჯორი, აქლემი და კამეჩი ქართულ სოფლებში ძალიან ცოტა არის. ამის მიზეზი უნდა იყოს ის, რომ შედარებით მთიანს ადგილზე მეტი სიცივე იცის. ნაკლებად მისდევენ აგრეთვე საოჯახო შინაური ფრინველების მოშენებას. იშვიათი სანახავი იყო განსაკუთრებით იხვი, ბატი და ინდაური. საზოგადოდ, სპარსელი ხალხი შინაურ-ფრინველს ნაკლებად ეტანება. მათი ყოველდღიური სანუკვარი საჭმელი ცხვრის ბატკნის ხორცია, რომელიც მოიპოვება მთელი წლის განმავლობაში.

ის შედარებით იაფია. მისგან მზადდება მრავალნაირი სფე-
მელი და გემოც საუცხოვო აქვს. ხარის ხორცს იშვიათად
ხმარობენ, ამასაც უმთავრესად უღირიბეს ნაწილში. არ
შემხვდომია არასოდეს არსად, რომ სტუმრად ყოფნის დროს,
ხარის ხორცისგან მომზადებული საჭმელი მოეტანოთ.
ხარი იკვლება ყოველთვის იმ უბნებში, სადაც სომხები და
ებრაელები ცხოვრობენ. ზოგიერთმა სპარსელმა არც კი
იცის, თუ რა გემო აქვს ხარის ხორცს, რაზედაც ხშირად
შემკითხებიან ხოლმე.

ცხვარის მოსაშენებლად ფერეიდანში მეტად კარგი
პირობებია. ამიტომ აქედან გამოსული ცხვარი კვებავს
მთელ რიგ ქალაქებს. ამ მხრივ ფერეიდანს უცხოელთა
ყურადღებაც მიუქცევია. სეიფოლა იოსელიანის გადმო-
ცემით, იქ მისულა ვინმე ინგლისელი, რომელსაც გამოუ-
კვლევია ცხვრის ჯიშები, მატყლის თვისება, ხარჩები და
ფერი. მისი გამოკვლევით, ფერეიდანში ცხრანაირი ფე-
რის მატყლი ყოფილა და ლირსებითაც პირველხარის-
ხოვანი.

* * *

მეურნეობის ყოველი დარგი აქ პრიმიტიულია. სახნავი
ადგილები და ყანები ირწყვება ჭებიდან ხელოვნურად გა-
მოყვანილი წყლით და აგრეთვე წყაროებითაც, რომელიც
ქართველების რაიონში უხვად არის. მოსარწყავი წყლის
განაწილება იმავე წესით იციან, როგორც საზოგადოდ,
ყველგან. წყალის წლიურ ქირას იხდის ადგილის პატრო-
ნი იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი მოსარწყავი ფართო-
ბი აქვს. ერთი დღიურის მოსარწყავი ჭირა — ჩვენებურად
ათ მანეთამდე აღწევს. წყლის განაწილების წესიც პრიმი-
ტიული აქვთ, თუმცა ასეთ ზღსტ ანგარიშს მიმართავენ
უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც წყალი ცოტაა და ყვე-

ლას არ ყოფნის. მაგალითად, მოსარწყავი ყანის თავში შემავალ არხის წყალს შეაგუბებენ. აიღებენ ლრმა ჯამს, რომელსაც ძირი გახვრეტილი აქვს წვრილად და ჩადგა- მენ შეგუბულში. ჯამში წყალი შედის ნელნელა და თან-



სურ. 4. შაქრის ბუჩქი გაზანგელანი

დათანობით იყსება, ბოლოს ჩაიძირება თუ არა, ამოილე- ბენ, დაცლიან და ხელახლა ჩადგამენ. ამავე დროს წყალი შედის ყანაში და ირწყვება. სანამ ყანა მთლიანად არ მო- ირწყება, ითვლიან თუ რამდენჯერ ჩაიძირა ჯამი. რამდე- ნად დიდხანს გაგრძელდება მორწყვა, იმდენად მეტჯერ ჩაიძირება, მაშასადამე, ყანის პატრონიც ანგარიშით მეტს

გადაიხდის. ყოველ ჯამზე დადებულია დაწესებული თანხა. ამრიგად, თუ ვინცობაა რომელიმეს არ ესაჭიროება, თავის ნორმას გაყიდის შეთანხმებით. როგორც ჩანს, მიუხედავად თავისი პრიმიტიულობისა, ჯამით განაწილებული წყალის ანგარიში მეტის მეტად სწორია, რაც ეჭვს და უთანხმოებას არ გამოიწვევს.

ჩვეულებრივ, სასოფლო საჭირნახულო წლიურ მოსავლის გარდა, ფერეიდანში არის ერთი იშვიათი მცენარე, რომელიც სამეურნეო ცხოვრებაში დიდად სარგებლიანია, ფერეიდნელი ქართველები მას გაზანგელანს ეძახიან. გაზანგელანი ტროპიკული მცენარეა. იზრდება ხრიოკ ადგილებში. ერთი შეხედვით, ეკლის ბუჩქს მოგაგონებთ. მისი ფოთოლი წვრილია, ნაცრისფერი. მისი ხე მაჯის სისწოიზრდება. ხოლო მიწაში მისი ძირები ბევრად მცხვილია გარეთა ტანზე. ბუჩქი გაშლილია, მიწისკენ გაპარტყნილი. შეხედულებით თავისთავად უბრალოა, მაგრამ ზაფხულობით იძლევა მშვენიერ შაქრის ფქვილს. იგი მეტად ტებრილია და ნაზ-სუნნელოვანი. გიაზის ფქვილი ერთი ათად მეტი ლირს, ვიდრე შაქარი. ისფაპანში არსებობს განსაკუთრებული სახელოსნოები, სადაც ამზადებენ გიაზის კვერიებს. ეს კვერიები იგზავნება სპარსეთის ყველა ქალაქებში და სხვა ქვეყნებშიც. ისფაპანში ისე არავინ ჩამოვა, რომ საოჯახოდ გიაზი არ შეიძინოს, როგორც იშვიათი გემოს ტკბილეული. სპარსელი თუ მიგიწვევს, უსათუოდ გიაზით გაგიმასპინძლდებათ.

გიაზის ბუჩქი მხოლოდ ფერეიდანსა და შირაზის რაიონში იზრდება. მას არ აქცევენ სათანადო ყურადღებას, მისი ტყე თანდაოან ნადგურდება და მოსავალიც მცირდება. ბუჩქი თავისთავად სრულიად უნაყოფოა. მაგრამ მისი ლირსება გარეშე თვისებით განიზომება, რაც არა აქვს სხვა მცენარეებს.

ზაფხულობით ამ მცენარეს ესევა თვალით უჩინარი პატია მწერი. ამ მწერთა მიღიონები და, აღბათ, მიღიარდები განსაკუთრებით ირჩევენ ამ შესახედავად უხეირო ხეს და ყოველდღიურად ტოვებენ მისი ტოტების გარშემო ლორწოს. ეს ლორწო სიცხეში რბილია ცომივით და შემოგლესილია ტოტის გარშემო. მზის ჩასვლის შემდეგ, დაღამდება თუ არა, სიგრილეში ის შრება, თეთრდება ხაშარივით, ფხვიერდება და ხდება აღვილად მოსაშორებელი ტოტიდან.

გიაზის ფქვილის მოსაგროებლად მიდიან მხოლოდ ლამით. წაიღებენ ქვეშ გასაფენ რამეს, გაარხევენ ტოტებს და გამშრალი გიაზის ფქვილი დაცვინდება ზედ. შემდეგ მას ცრიან, ასუფთავებენ ფოთლებისა და ჩხირებისაგან, რომელიც ტოტის გარხევის დროს შეერევა. გათბება თუ არა, დააგუნდავებენ და გააქვთ ბაზარზე გასაყიდად.

წინათ, როგორც თითონ ქართველები ამბობდენ, ყველა სოფლები რამდენიმე ას ფუთს აგროვებდენ. მაგრამ, აშ ბოლო დროს, მისი მეათედიც აღარ გროვდება.

ამბობენ: „რაღაც მოუვიდა. ჰავა გაფუჭდა, გაზანგელანი აღარ ისხამსო.“ და, რაღვან შრომად აღარ ღირს, მის მოგროვებასაც თავი დაანებეს.

მაჩეზი კი თვითონვე არიან. ისინი ყოველ წლობით, მიუხედავად ზამთარ-ზაფხულისა, თხრიან ძირიან-ფესვიანა, რაღვან ძირი უფრო მსხვილი აქვს და ზმარობენ საწვავ მასალად, აბანოების წყლის გასათბობად.

მარტო ერთი აბანოს წინ მე ვნახე დაგროვილი გამხარი გაზანგელანის ბუჩქები, რომელიც კვადრატული საუენზე მეტი იქნებოდა. გაზანგელანი იჭრება, ცხადია, უფრო მოზრდილი და ხშირი ფოთლოვანი. ამგვარად განადგურებულ ტყეებს, ცხადია, ტოვებს მწერი და გადადის სხვა რაიონებში, სადაც ტყეები ჯერ არ გაჩეხილა.

ამგვარად, ასეთი უთავბოლოობით ეკარგება სოფლებს საკმაოდ დიდი შემოსავალი ყოველწლიურად.

მთელი ლამის განმავლობაში ერთ კაცს შეეძლო მოეგროვებია ათიდან-ხუთმეტ გირვანქამდე. ხოლო მის გასაღებაზე არაფერი შრომა არ იყო საჭირო.

კანონით გაზანგელანის მოჭრა თითქმ აკრძალული ყოფილა, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევს, რადგან, ოოგორც ეტყობა, თითონ კანონიც არავის ავალდებულებს ზუსტად შესრულებას.

თუ ასე გაგრძელდა, ეს იშვიათი მცენარე მალე მოისპობა და მოსახლეობა დარჩება ხრიოკი მინდვრების ამარა.

გაზანგელანის გარდა, ამავე რაიონში მოიპოვება მეორე მცენარე — ბალახი. იგი საკმაოდ სარგებლიანია. ეს მცენარე იძლევა ფისს, გუმმიდრავანს, სპარსულად „ქეტირას“. ეს ბალახი იზრდება ნახევარი არშინის სიმაღლე. უშნოა, დალრეკილი. მას კანს გაუჭრიან, კანიდან გამოდის თხელი წებოსავით წვენი და ხმება ზედვე ფრსივით. შემდეგ, მოაგროვებენ ტომზებში და მიაჭვთ ბაზარში. ეს გუმმიდრაგანი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მანუფაქტურის ქარხნებისათვის. მთელ სპარსეთში ის გროვდება ასიათასი ფუთობით და იგზავნება უცხოეთში. სხვათა შორის, ბევრი შემოდის იგი. საბჭოთა რესპუბლიკების ქარხნების საჭიროებისათვის. ეს ფისი, გაზანგელანის შაქართან შედარებით, ძალიან იაფი ღირს — ფუთი — 5-დან-10 მანეთამდე.

ფერეიდნელი ქართველები ამ მცენარით სრულებით ვერ სარგებლობენ. ამის მოსაგროვებლად საგანგებოდ მოდიან ვაჭრების მიერ გამოგზავნილი დაჭირავებული კაცები, რომლებიც მუქთად აგროვებენ და მიაჭვთ. თვით ქართველები, ამავე დროს, კუდში დასდევენ სხვის ნახირს, დასაპანებულ სახედრებს, ჩამოაჭვთ ისფაპანში სხვისი საქონელი,

უმთავრესად თავისი ბატონის, ომელიც უნდა გაყიდოს და
პატრონს ანგარიში ჩააბაროს.

ამგვარად, საუკუნოებით მიწასთან დაკავშირებულ,
უკულტურო ქართველს ჯერ ვერ ჩაუხედავს მიწის გულში,



სურ. 5. შაჰაბას დიდი
1585—1629

თუ რა სიმღიდოეს იძლევა ის. და შის თვალწინ მისივე
ხელით ისპობა ის, რაც მას დღიურ ლუკმას გაუდიდებდა.

ფერეიდნელი ქართველები, ჩვენი ისტორიული წყაროების მიხედვით, გადაუსახლებია შაჰაბას დიდს 1614-17 წლებში, ტფილისის გარშემო მდებარე უბნებიდან დაახლოებით ას ოცდაათი ათასი სული. ამ გადასახლებას ამტკიცებს, სხვათაშორის, ამჟამად ფერეიდანში არსებული სოფლების ქართული სახელები. მაგალითად: მარტყოფი, ნინოწმინდა, ვაშლოვანი და სხვა.¹

სპარსეთი იმ დროს თავის განვითარების უმაღლეს მწვერვალზე იდგა; მათი ძლევამოსილი შაჰები აფართოვებდენ თავიანთ საზღვრებს და დაპყრობილ ქვეყნების სიმდიდრეს აგროვებდენ ცენტრში. თვით დაპყრობილ ხალხების საუკეთესო ნაწილსაც თავს უყრიდენ ცენტრის გარშემო.

ამიტომაა, რომ ახლაც ისტაპანის რაიონში შეხვდებით ყოველი ტომის ხალხს, რომლებიც იმ დროს სპარსეთის გარშემო ცხოვრობდენ. თვით ისტაპანში 500—600 ათასი სული მცხოვრები ყოფილა. თუ როგორი იყო მისი მტაცებლური სიმაგრე იქიდან ჩანს, რომ სწორედ ამ ძლიერების სათავიდან დაიწყო მისი უკან დაწევა. მაგრამ ამ თანდა-

¹ ზ. ჭიჭინაძის ცნობით, რომელიც მას დაბეჭდილი აქვს პატარა წიგნაკში, მე-14 საუკუნიდან დაწყებული მე-18 საუკუნის დამლევამ დე, საქართველოდან გადაუსახლებია: ჯელალედინს 25.000 სული, თემურლენგს 180.000 შაჰ ისმაილს 25.000 (1518), შაჰ თამასს 50.000 (1546), შაჰაზას 100.000 (1587-1628), შაჰ ჰასანს 5.000, სელიმ ხანს 20.000, ფეიქარსანს 30.000, შაჰ ჰუსეინს 3000 (1694-1722), ნადირ შაჰს 5.000 (1732-1747), უზუ ხანს 5.000, ალამაზმად ხანს (1795) 30.000

ეს ზემოხსენებული ხალხი დასახლებული ყოფილან ხოსროვში 100.000 სული. ენა შერჩენიათ 1820 წლამდე. თეჰერანში 120.000 ისტაპანში 100.000, შირაზში 80.000; შირაზის მთებში 100.000 აქედან, გადაუსახლებიათ 20 სოფელი ფერეიდანის ხეობაში, სადაც დარჩენილან დღემდე. საიდან აიღო ზ. ჭიჭინაძემ ეს ცნობები არ ჩანს. საფიქრელია, აქედან ზოგი ნამშობია სპარსეთიდან ჩამოსული პირების მიერ

თანობითი უკან დაწევის პროცესში მისი გავლენა საქართველოზე მაინც არ მოშლილა.

საქართველო იმ დროს უკვე დაცემული იყო. დაცემა დაიწყო უმთავრესად თემურლენგის შემოსევიდან, მე-14 საუკუნეში. ფეოდალურ-ანარქიულმა, მონობასა და ბატონუმობაზე დამყარებულმა საქართველომ თავი ველარ შეიმაგრა ისტორიულ დაღმართზე.

ქართველი მთავრები და ფეოდალები ერთი მეორეს ეშულლებოდენ.

დამარცხებული თუ გაქცევას მოასწრებდა, პირველად სპარსეთისკენ გაიქცეოდა შაპის კარზე, და იქიდან ხმლითა და ზარბაზნით საქართველოსკენ საომრად წამოემართებოდა. თვით ისტორიულად ცნობილი გიორგი სააკადეც ასე მოიქცა. მართალია, თუ ისტორიას დაუჯერებო, მან შაპის იმედი არ გაამართლა, შაპს ულალატა. საქართველოს გასაწყვეტად მოყვანილი ჯარი ქართველებს გააწყვეტინა და თვით სააკაძეც ქართველებს შეურიგდა. მაგრამ ამით ქართველი ფეოდალები საბოლოოდ ვერ მოიმადლიერა და შაპიც გააბოროტა. შაპისთვის გიორგი სააკაძე და მისი ჯარის გაწყვეტა იგივე იყო, როგორც ზლვაში გადასროლილი კენჭი, რომლის დონეს არც არაფერი მიემატება და არც მოაკლდება. ამგვარად, გიორგი სააკაძის საქციელი, მისი საქართველოზე წამოსვლა, მარტო საქართველოს საზღვრამდეც რომ ვიანგარიშოთ, მაინც ისტორიული ლალატი იყო. ასეთს პირობებში, ცხადია, ქართველი ხალხი ვერ დაიცავდა თავს, უფრო კი შესაძლებელია, არ დაიცავდა, რადგან მისი მდგომარეობა, ვინ იცის, იქნება უცხოეთში უკეთესიც იქნებოდა. შესაძლებელია, ქართველების ისე მაღე გათქვეფა სპარსელებში ასეთი იმ დროინდელი დუხჭირი ცხოვრების ბრალიც იყოს. მით უმეტეს, ისინი ხედავდენ, რომ

ქართველი მეფეები ისე ადვილად იცვლიდენ რჯულს, როგორც ხალათს.

ასეთი მდგომარეობით სარგებლობდენ სპარსელი ჭკვიანი ტირანები და ყოველ მარჯვე დროზე მიყავდათ ტყვეები.



სურ. № 6 აღა მაჰმადხანი (1794—1796)

თუ საჭირო იქნებოდა, ხალხს ფულითაც შეიძენდენ. ხალხი, როგორც საქონელი, საჭირო მასალას წარმოადგენდა, მაგრამ როგორც ადამიანი კი, ყურადღების გარეშე იდგა.—ამის ერთი ურუარი საბუთი ჩვენი რაინდები და მწიგნობარი

შეფეხები არისნ, რომლებმაც თვალდახუჭული გამოიარეს შირაზისა და ისფაპანის ტრამალები და იქ დასახელებული ქართველები ვერ შენიშნეს, რომ მათ შესახებ იმ დრო-ინდელი ცნობა გადმოეცათ.

ტყვედწაყვანილ ქართველებს, როგორც ღსტორია გვაცნობებს, ყიდდენ გზა და გზა სამი მანეთიდან დაწყე-ბული რვა მანეთადე, იმის მიხედვით, თუ რამდენად მეტი ჰქონდა მას შრომის უნარი. მათ შეყრიდენ ქარვასლებში ცხვრის ჯოგივით და, რაც თავის დროზე არ გაიყიდებოდა, მიყავდათ ცენტრებისკენ დასასახლებლად. ასე ყოფილა საზოგადოდ და, როგორც ჩანს, ასეთი ბედი წევიათ ფე-რეიდნელ ქართველებსაც.

ზეპირგადმოცემით, პირველ ხანებში, შავს ქართველები დაუსახლებია ისფაპანის მახლობლად, ოცი ვერსის მან-ძილზე ნეჯეფაბადის მიმართულებით. ეს, შესაძლებელია, მართალიც იყოს, იმიტომ, რომ ამოდენ ურდოს პირველა-დვე ვერ გადაყრიდა შორეულ მთებში. ცხადია, ისინი ჯერ ქალაქის ახლოს უნდა დაესახლდია, დროებით მაინც როგორც სომხები და ურიები არიან დასახლებული ქ. ის-თვაპანის გარეუბნებში. მაგრამ, როგორც ჩანს, ქალაქის ახლო ცხოვრებას ქართველები ვერ შეგუებიან. მათი ამ რა-იონიდან ხელახალი გადასახლება, შესაძლებელია, თვით შავის განზრახვაც იყო.

ამჟამად ამ ადგილებში ქართველთაგან თითქმის არა-ვითარი ნაშთი აღარ დარჩენილა, გარდა ერთი გადაგვა-რებული ხანისა, რომელიც ცხოვრობს ნეჯეფაბადში. აგრე-თვე შიგა და შიგ შეხვდებით დაბალი წრიდან, ისეთ გადა-გვარებულ პირებს, რომლებიც თავს ქართველების ჩამომა-ვლად თვლიან, ხოლო ნამდვილ ცნობას ვერავინ იძლევა.

მიზეზი გადასხლებისა იმ დროს იქნებოდა მრავალი. სხვათა შორის, შეიძლება დავასახელოთ ისეთი ფაქტები,

რომელნიც რამოდენიმეთ გაამართლებს ჭინასწარ შოსაზრებას. სომეხთა ისტორიული წყაროების მიხედვით, არამუსულმანს (სომხებს და ებრაელებს), თუ ის მუსალმანთა ბაზარში გავიდოდა, მას ან ქუდი უნდა გადაებრუნებია და ისე დაეხურა, ან რაიმე ძველი ნაჭრები, უმთავრესად ხალიჩის, ზურგზე უნდა მიეკერებია. აგრეთვე არამუსულმანს ნება არ ჰქონდა წვიმიან დღეებში ბაზარში გასულიყო, რათა სველი ტანისამოსი შემთხვევით არ მიჰკარებოდა მუსულმანისას და არ გაეუწინდურებია იგი. ამას გარდა, ცხენზე შემჯდარი არამუსულმანი ქალაქში ვერ შევიდოდა:

ასეთი სასტიკი მიუკარებლობისა და სიძულვილის პირობები, ცხადია, გავრცელდებოდა ქართველებზედაც.

ალბათ, ასეთივე მიზეზებით არიან გადასახლებული სომხები, რომელთა რიცხვი ფერეიდანში ბევრად მეტია ქართველებზე.

ფერეიდნელ ქართველებს მათი ისფაპანიდან გადასახლების შესახებ აქვთ ერთი პატარა გადმოცემა, რომელიც რამდენიმეთ ახასიათებს სპარსელ-ქართველთა მაშინდელ დამოკიდებულებას. შინაარსი ამ გადმოცემისა შემდეგია:

ქრისტიანების მოძულე მუსულმანს თავის ეზოში მოუკლავს ქართველ ქრისტიან მეზობლის ქათამი. გაჯავრებულ ქართველ ქრისტიანს, რომელსაც, ცხადია, არა ნაკლებ ეჯავრებოდა სპარსელი მუსულმანი, როგორც მიზეზი თავის უბედურებისა, ამ ნიადაგზე წაჩხუბების დროს, მოუკლავს მუსულმანი.

ამის შემდეგ, ჩამოვარდნილა უთანხმოება. ძველი და ახალი შურისძიება გაღრმავებულა, გაზრდილა და მსხვერპლს კიდევ მსხვერპლი მიმატებია. სპარსელებს უჩივლიათ შაპთან — მოუთხოვნიათ ქრისტიანების იმ ადგილიდან გადასახლება. შაპს, რასაკვირველია, საკითხი სპარსელების სასარგებლოდ გადაუწყვეტია. მას წინადადება

მიუკია ქართველებისათვის: „აქედან გადასახლდით შორეულ უბანში, ხოლო, ადგილი თქვენვე ამოირჩიეთო“. ამავე დროს, მიუკია მათთვის ფარმანი (ბრძანება), რომლითაც განთავისუფლებული იყვნენ სამუდამოდ ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან. ქართველებს ამოურჩევიათ მოწინავე კაცები, გაუგზავნიათ დასასახლებელ ადგილის საძებრად, და ამის შედეგი ის ყოფილა, რომ ისინი დასახლებულან ფერეიდანში, სადაც დღეს არიან. ფერეიდანი მაღალი ადგილია, მთიანი, გრილი. ის ითვლება აგრეთვე პურისა და მესაქონლეობის მხრივ საუკეთესო ბარაქიან რაიონად მთელს სპარსეთში. ერთი სიტყვით, ნამდვილი სამურნეო ქვეყანაა. მისი კლიმატური პირობები ძალიან უახლოვდება ქართულ ბუნებას. ამ მხარეში ყველაზე მეტად განვითარებულა და შენახულა დღემდე ფეოდალიზმი. ამიტომ ქართველ ფეოდალებს, რომლებიც, ცხადია, ბლომად იქნებოდენ გადასახლებულთა შორის; როგორც დამარცხებული, ტყვედ წაყვანილი მეომარს, ბუნებრივადაც უფრო მიიზიდავდა ეს მხარე, ვიდრე ისფაპანის სავაჭრო ცენტრი თავისი კომერციული ზარითა ¹ და სასწოოით. ქართველ თავადობას, ისიც რაინდობის ხანაში, ასეთ სახაჭრო ცენტრთან არავითარი საერთო არ ჰქონდათ. თვით მეურნე გლეხებისთვისაც ფერეიდანი უფრო შესაფერისი იყო.

ასეთი შინაარსის ლეგენდები აზიელთა ცხოვრებაში ბევრია და ქართველებსაც თავისი გადასახლების მიზეზად ზემოდ მოყვანილი, საყოველთაოდ ცნობილი ქათმის სისხლი აულიათ, რომ თავიანთი ცხოვრების ეპიზოდს ლამაზი და-საწყისი ჰქონდა. უმთავრესი მიზეზი ისფაპანის უბნიდან მათი გადასახლების უსათუოდ იქნებოდა ის შური და მტრობა, რომელიც მუდამ არსებობდა ამ ორი შეურიგებელი

ზარი — უდრის ზომით ოცდაორ სანტიმეტრს

6. ფერეიდნელი ქართველები.

სარწმუნოების შორის, გაღრმავებული სასულიერო წოდების მიერ, როგორც ერთის, ისე მეორის მხრივ, ნაკიონალისტური დაპყრობის ნიადაგზე. ასეთს პირობებში ისინი ვერ შეეგუებოდენ ერთი მეორეს და მათი გაშორებაც, ალბათ, აუკილებელი შეიქნა.



სურ. 7 ქერიმ ხან_ზენდი. (1750 წ.)

ეს შემთხვევა უნდა მომხდარიყო მათი საქართველოდან გადასახლების უახლოეს წლებში, რომლის შესახებ არსად წერილობითი ცნობები არ შენახულა.

სიტყვიერი გადმოცემით, შაჰაბასის მიერ ფერეიდანში სამუდამოდ დასახლებული ქართველები, მთელი ასორმოცი წლის განმავლობაში ქრისტიანები ყოფილან. ამ ხნის

განმავლობაში ისინი სარგებლობდენ შაპაბასის მიერ ბოძებულ უფლებებით, როგორც ყოველგვარ სახელმწიფო ვალდებულებათაგან სრულიად განთავისუფლებული. მათი ასეთი უპასუხისმგებლო ცხოვრების წესები დაურღვევია ქერიმ ხანს — მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

ნადირ შაპის სიკვდილის შემდეგ 1747წ. სპარსეთში დაიწყო ანარქია. ამ ანარქიის დროს, ცხოვრების ზედაპირზე ამოცურდა შირაზელი ქერიმ ხან ზენდი 1750 წ. მან მალე დაიპყრო სპარსეთის სამხრეთი ნაწილი. უარყო შაპის წოდების მიღება. ახალი მართველობის წესებს სარჩულად „ხალხის სახელი“ დაუდო. ნამდვილად შიგ „ხალხური“ თითქმის არათვერი იყო, მაგრამ ახალი სახელმწიფო სიმაგრის ასაგებად ასეთ მასალათ აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა. ამ დიპლომატიურ ნიადგზე ის შეუდგა ახალი წესების შემოღებას. მაგრამ ამ „ახალი იდეის“ „განხორციელებას მოახმარა ძველი მასალა — მან დიდძალი ხარკი დაადო ხალხს. მათ შორის, რასაკვირველია, ფერეიდნელ ქართველებსაც. ქართველებმა ეს კანონის დარღვევად მიიღეს. ქერიმ ხანს, ერთნახევარი საუკუნის წინად, შაპაბასის მიერ მოცემული ფარმანი (ბრძანება) წარუდგინეს და ხარკის გადახდაზე უარი შეუთვალეს. არა მარტო უარი, ქერიმ ხანის კაცებს ცემეს და გააგდეს.


გაჯავრებულმა ქერიმ ხანმა ქართველების დასამორჩილებლად ჯარი გამოგზავნა. ჯარი პირდაპირ ზემომარტყოფს მოსდგომია, როგორც ყველაზე უდიდეს სოფელს რომელიც შეაღვენდა ქართველების ცენტრს.

ქართველებს გაუგიათ თუ არა, შეიარაღებულან და საომრად მომზადებულან. მათის გადმოცემით :„არც ერთი კაცი და ქალი არ დაჰკლებია და ბავშვებიც კი იყვნენო“.

ქართველების წინამძღვრად იმ დროს ყოფილა მარტყოფელი ხანი გვარად ონიკაშვილი. კაცი დაუდევარი,

სუსტი ნებისა და საომარ ცოდნას სრულიად შოკლებული.
ქართველებს ხანისთვის მოუხსენებიათ ჯარის მოახლო-
ვება.

- საიდან მოდის? იკითხა თურმე ხანმა.
- აი, სოფლის წინა ყანების მხრიდან.
- ჰომ?! იქ წყლის სარწყავი არხებია გაყვანილი. იმას
ვერ გამოუვლენ.



სურ. 8 ციხე ჭ. მარტყოფის მახლობლად (მთაწე), სადაც
ქართველებს მოუსდათ შეტაკება ქერიმხანთან

- მეორე მხრიდანაც მოდიან.
- იქაც ხომ ქერისა და პურის ახლად მორწყული
ყანებია. მათი ცხენები ტლაპოში ვერ გამოვლენ. წალით,
დაიძინეთ. თუ მაინც და მაინც გაბედავენ და მოახერხე-
ბენ სოფელში შემოსვლას, მაშინ გავილვიძოთ და ჭყელანი
გავიღოთ.

ხანის ბრძანებით ხალხი დაშლილა.

შუალამეზე სოფელს ქერიმ ხანის ჯარი შემოსევია.

ქართველებმა თავის დაცვა ვეღარ შოასწრეს. სოფლი-დან ქალიან კაციანა გაიხვეტენ და გამაგრდენ მარტყოფის თავში სამი ვერსი, დაშორებით გორაზე, რომელსაც ახლა „ციხე“ ეწოდება.

ქერიმ ხანის ჯარი ციხეს მოსდგომია. ბრძოლა დიდ ხანს გაგრძელებულა. ბევრი „გავუმიტეთო.“ მტერს რომ ვერაფერი გაუწყვია, წინ აქლემების ჯოგი გაურეკიათ, თითონ უკან ამოფარებიან და ციხეზე იერიში მიუტანიათ. ასეთი საშუალებით გაურღვევიათ ქართველების მოწინავე რიგი და აულიათ ციხე.

იყო თურმე საშინელი ბნელი ლამე. დამარცხებული ქართველები დამფრთხალან, გაქცეულან უგზო-უკვლოდ, თავი ვეღარ შეუკავებიათ და ხრამში გადაყრილან.

„როდესაც ხრამი ამოივსო, შიგ ჩაყრილი ხალხით, სხვებმა იმათ გვამებზე გადაიარეს და სიკვდილს გადარჩენო“. ამით გათავებულა ბრძოლა, ხოლო „ნახევარზე მეტი ხალხი გაწყდაო“.

ქერიმხანს „ძალიან წყენია“ ქართველების გაწყვეტა რომ გაუგია. ამის გამო მას ჯარის მეთაური — სიკვდილით დაუსჯია.

ასეთი დიდი უბედურების შემდეგ, უმწეოდ დარჩენილ ქართველებს სანუგეშოდ, სოფელ მარტყოფის თავზე, მთის ძირში, გამოცხადებიათ თეთრს რაშზე შემჯდარი ჰუსეინი, ხმლით, შუბით და ფარით. ჰუსეინს ქართველებისთვის მიუცია რჩევა-დარიგება: თუ გამოიცვლიან რჯულს, და მიიღებენ მაჭმადის სარწმუნოებას, ის დაიფარავდა მათ ყოველგვარი უბედურებისა და აგრეთვე ქერიმხანის რისხვისაგანაც.

ქართველები, რადგან მეტი საშველი არ იყო, დათან-ხმებულან, მიუღიათ ერთპირად მაჰმადის რჯული, და შემ-დეგ შედგომიან მშვიდობიან ცხოვრებას.

ასე ვადმოგვცემენ ქართველები თავიანთი გამაჰმადია-ნების ისტორიას ზეპირად.

ცხადია, ასეთი „პოლიტიკით“ უთუოდ შეიძლებოდა მათი თანდათანობით გამაჰმადიანება მით უფრო რომ, შესა-ძლებელია, აქლემების მაგივრად, სასულიერო წოდების პი-რები, მოლები მიუძლოდენ წინ მთავრობის „მოხელეების ჯა-რს“, რომლებსაც მიზნად ექნებოდათ მათი გამაჰმადიანება.

იმ ადგილს, სადაც გამოცხადებულა პუსეინი თეთრი რაშით, ეწოდება ამაღლების გორა. აქ ყოველ წელიწადს მაისში თავს იყრიან საზეიმოდ და გასართობად¹.

გამაჰმადიანების შესალებ ქართველებს აქვთ კიდევ ორი სხვადასხვანაირი გადმოცემა. ერთი, რომელიც გადმოცე-მულია ლ. ა ღ ნ ი ა შ ვ ი ლ ი ს მიერ, შემდეგი შინარსისაა:

„ყოფილან ძმები გორგინი და ასლანი. ასლანს შეუსწა-ვლია ყორანი და მიულია მაჰმადის რჯული. ეს არ მოწო-ნებიათ მის ნათესავებს. გორგინს გადაუწყვეტია ასლა-ნის მოკვლა. ის წასულა სანადიროდ, წაუყვანიათან რამ-დენიმე კაცი. მასთან ერთად ასლანიც გაუტყუებია. როდე-საც მთებში შესულან, გორგინი მივარდნია ასლანს:

¹ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გადმოცემა ეკუთვნის პირდაპირ მათი ქრისტიანული ჩვეულების ნაშთს, რომელიც გადმოუტანიათ გამაჰ-მადიანების შემდეგ სახელის შეცვლით. ეს მით უფრო ადვილი იქნე-ბოდა, რომ პუსეინი, როგორც ქართული წმინდა გიორგი, ზის თეთრ-ცხენზე. ხოლო ქრისტეს ამაღლება პუსეინის ამაღლებად შეცვლილია, როგორც აუცილებელი პირობა ქრისტიანობის ჩქარა დასავიწყებლად. ამასთანავე, რადგან ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, დღეობა აღარ შოუსიათ. ამიტომ ეს დღესასწაული მარტო ქართველებში არის გა-ვრცელებული.

— „რად მიიღე ისლამი. უარჰყაფ ახლოვე, თორემ
მოგკლავო“:

ასლანი შევედრებია ლმერთს:

— „უფალო, მოუვლინე ამ ხალხს სასწაული და დაარ-
წმუნე შენს ძლიერებაშიო“.

იმ წუთშივე გაჩენილა ერთი ხონჩა სანოვაგით სავსე.
ყველას გაკვირებია. ეს ამბავი უთქვამთ ქართველებისათ-
ვის. მათაც დაუჯერებიათ და მიუღიათ მაჰმადის რჯული.

ასლანს ის ხონჩა დაუტანებია სახლის კედელში. ამის
შედეგ აღარ გამოლეულა მის ოჯახში სიკეთე (დვრიტა).

მეორე გადმოცემა მიამბო ტფრლისში ნ. ა რ ჯ ე ვ ა ნ ი ძ ე მ.
თვით არჯევანიძისთვის უამბია ლ. ნიკოლაშვილს, რომე-
ლიც თდესლაც ყოფილა სპარსეთში და გაუგია ვინმე მო-
ხუცი კაცისაგან, რომელიც ყოფილა სოფელ მარტყოფიდან.

„სპარსელებს უნდოდა, რომ ჩვენ რჯული გამოვეცვალა.
მათ პირველად გვირჩიეს: „ყოველ კვირაში ხუთი დღე
ქართულად ილოცეთ, ორი დღე სპარსულადო“. მეორედ
გვირჩიეს; „ათ დღეში შვიდი დღე ქართულად ილოცეთ,
სამი დღე სპარსულადო. მესამედ გვირჩიეს: „ახლა სულ სპარ-
სულად ილოცეთო“. ჩვენ სხვა ვერათერი მოვახერხეთ —
ხატები და ჯვრები სახლებში შევიტანეთ, ჩუმად ვლოცუ-
ლობდით, მაგრამ ესეც გაგვიგეს და გვაიძულეს მაჰმადის
რჯულის მიღებაო“.

შესაძლებელია, ამ მეორე გადმოცემას ჰქონდეს ერთგვა-
რი საფუძველი: ქართველების გამაჰმადიანების ცდა შო-
რიდან დაიწყებოდა.

ქერიმ ხანი კი, შესაძლებელია, უკანასკნელი მიზეზი იყო
ქართველების მოსაქცევად. მაგრამ აქ იბადება კითხვა: ას-

¹ ესაც ძალიან გავს იმ გადმოცემას, როდესაც „ქრისტემ ხუთი
პურით გააძლო ხუთი ათასი კაცი“.

ორმოცი წელიწადი, რომლის განმავლობაში შეუნახიათ ქართველებს ქრისტიანობა, საკმაოდ დიდი დროა. ამ ხნის განმავლობაში მათ უნდა შეექმნათ სათანადო ქრისტიანული კულტურა ისეთი სახით, რომელიც დარჩებოდა სამუდამო, საისტორიო მასალად. ასეთი კი მათში აღარაფერი დარჩენილა. სხვა რომ არა იყოს რა, რატომ არ არის თუნდ ერთი საფლავის ქვე ქართული წარწერით? რამდენი, ასე ვთქვათ, დიდებული გვარის პირი გარდაიცვლებოდა ქრისტიანობის ხანაში, რომელიც მოისურვებდა მისი სახელი და გვარი დაეწერათ საფლავის ქვაზე. რატომ არ დააწერეს? ან სად წავიდა ეს ქვები? როგორ არ დარჩა ერთი მაინც?..

ეს გვაფიქრებინებს, რომ ქართველების გამაჰმადიანება არ მომხდარა ისეთ სასტიკ პირობებში, როგორც ისინი გადმოგვცემენ. თავისი ძველი ცხოვრების საფუძველს მოწყვეტილი, უპატრონოდ, უყურადღებოდ მიტოვებული, ისინი, ალბათ, ადრე შეურიგდენ თავიანთ ბედს და, არსებობის დასაცავად, დროით გამაჰმადიანება არჩიეს.

მაგრამ აქვე იბადება მეორე საკითხი:

—როგორ შეინარჩუნეს ქართველების მეზობლად მცხოვრებმა სომხებმა თავიანთი სარწმუნობა, ენა და ასე მთლიანად თავიანთი ნაციონალური სახე? ისინიც ხომ იმავე საუკუნეში გადაასახლეს და იმავე პირობებში ცხოვრობდენ, როგორშიაც ქართველები?..

რაც უნდა იყოს, ქართველები იმდენად მუსულმანები არიან, რომ ისინი, როგორც ყოველი ფანატიკოსი მუსულმანი, თვით ველარ შეურიგდებოდენ ქრისტიანული ნაშთების არსებობას. ამიტომ ასე პირწმინდად მოსპობილა ყოველივე. ახალგაზრდა და საშუალო ხნის ფერეიდნელი ქართველი ამჟამად ერთნაირი ხალისითა და თავმოწონებით

მოგვითხრობს თავისი ქართველობისა და მუსულმანობის შესახებ. ხოლო მოხუცები ისე ერიდებიან ქრისტიან-ქართველს, ოოგორც, საზოგადოდ, ყველა არამუსულმან ხალხს.

* * *

მეორედ, დიდი ზიანი მიუყენებია ქართველებისთვის ავლანელებს, როდესაც მათ დაიპყრეს სპარსეთი XVIII საუკ. პირველ წლებში. ავლანელებმა სრულიად დაანგრიეს ისფაჰანის ახლო მდებარე ქალაქი — ფარაბადი, სადაც ცხოვრობდენ სპარსეთის დიდებულები, ვაწყვიტეს თითქმის მილიონზე მეტი ხალხი, დაარბიეს მახლობელი რაიონები და, რასაკვირველია, ქართველებსაც მიწვდენ. ქართველებს ავლანელები არ უცვნია თავიანთ მბრძანებლად. შეწერილ ხარჯის გადახდაზე უარი უთქვამთ. თვით ავლანელების წარმომადგენლებისთვის უცემიათ და გაუგდიათ. ამით მდგომარეობა გართულებულა. ავლანელების ჯარს მარტყოფზე მოუტანია იერიში. ქართველების წინამძღვრად გამოსულა გლეხი თათაშვილი. მას მეომრები მარტყოფის მისავალში ერთ გორაზე გაუმაგრებია. შეტაკება გაგრძელებულა რამდენიმე დღე. ავლანელები დამარცხებულან. მომხდარა შერიგება, რომელიც გათავებულა ქართველების სასარგებლოდ. ამ გორას ახლაც „თათაშვილის გორა“ ეწოდება. ეს გორა, მართლაც, მოხდენილია მარტყოფის დასაცავად. იგი განმარტოებით დგას ორი მთის შუა და დასცემერის სოფელს. ჩვენც მარტყოფის სურათი ამ გორიდან გადავიღეთ. თათაშვილს დიდის ქებითა და თავმოწონებით იგონებენ ქართველები საზოგადოდ, ძალიან უყვართ თავიანთ „ვაჟკაცობაზე“ ლაპარაკი. ავლანელებზე გამარჯვება მათ, ცხადია, იაფი არ დაუჯდებოდათ. მაგრამ თუ როგორ შეურიგდენ ავლანელები დამარცხებას ქართველების მიერ, ამაზე გაღმოცემა არაფერს ამძიბს.

თავიანთი ცხოვრების მანძილზე ქართველებს დიდი შევიწროება და უბედულება განუცდიათ. ამ ხნის განმავლობაში ხშირი შეტაკება უხდებოდათ მათ, მეზობლად მცხოვრებ, მომთაბარე ბახტიარებსა და ქურთებთან. ამ შეტაკებას ჰქონდა სისტემატური ხასიათი — მძარცველობის მიზნით.

მომთაბარე ბახტიარები და ქურთები მისდევდენ და მისდევენ ახლაც მარტო მეჯოგეობას. ისინი, დროსა და ამინდის მიხედვით, დაატარებენ თავიანთ ჯოგს მთელი სამხრეთ სპარსეთის სიგრძე-სიგანეზე — უმთავრესად მოებში, როგორც უფრო გრილსა და ბალახიანს აღგილებში. მათ თან დააჭვთ ტილოსი და სხვა ქსოვილების კარვები. სადაც მივლენ, ერთი ან ორი საათის განმავლობაში, მცხოვრებთა მთელ უბანს გააჩაღებენ. აგრეთვე, როცა დაჭირდებათ, ისე მალე აიკრიბებიან თავიანთი „სოფლიდან“, რომ გარდა ნაცრისა, კეცხლისაგან დამწვარი და ჭაცის ფეხისაგან გათელილი მიწისა, ნატამალი არაფრისა რჩება. მათ მუდამ ყავთ მარქაფა ცხენები, ჯორები და ვირები. ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობდა მათს ყაჩალობას. ასი ორასი და ზოგჯერ მეტიც შეიარაღებული დაეცემოდენ ამა თუ იმ უბანს, გაძარცვავდენ და გაქრებოდენ შორულ მთებში. მათთან ბრძოლა სახელმწიფოს არ შეეძლო. ყოველ შემთხვევაში ძალიან უჭირდა. ამიტომ მთის ბატონები ნამდვილად შეიარაღებული ავაზაკები იყვნენ, რომლებიც კარგად სარგებლობდენ ამგვარი მდგომარეობით. და, აი, ამ თავაშვებულ ავაზაკებთან უხდებოდა თერეიდნელ ქართველებს ხშირი შეტაკება¹.

¹ ჩვენში გავრცელებულია აზრი, თითქო შაჰაბასმა ქართველ ბი იმიტომ დასახლა ფერეიდანში, რომ მათ თავიანთი გაუკაცობით. შეეჩერებიათ ამ ყაჩალური ელემენტების მოძრაობა ისფაჰანისკენ. ეს

ისინი საომრად გამზადებული, შეიარაღებული, ცხენებზე შემჯდარი მარქაფ ვირებით შემოესეოდენ ქართველების სოფლებს. მათ ყოველთვის უკან მოსდევდენ ცოლები. ცარიელი ტომრებით და ხურჯინებით. თუ სოფელს არ ჰქონდა თავდაცვის უნარი, იმ შემთხვევაში კაცები იარაღმომართული შემოადგებოდენ სოფლებს, ქალები — კი შედიოდენ სახლებში და მონატაცი ნივთებით ავსებდენ ტომრებს და ხურჯინებს. „ისე გახვეტავდენ ყველაფერს, რომ მთელს სოფელში ერთ ქვაბსაც არ დატოვებდენო“ — ასე ახასიათებენ მათ შემოსევას.

მომთაბარების სოფელზე დაცემა ყოველთვის მოულოდნელი და უცაბედი იყო. ამიტომ სოფლებში ხშირად ვეღარ ახერხებდენ შებრძოლებას. გამარჯვებული ყაჩალები სოფელს ნალდ ფულსაც თხოვდენ, როგორც სპალდებულო გადასახადს და, სანამ თავისას არ გაიტანდენ, საშველს არ მიცემდენ.

მაგრამ ყოველთვის ვერც ისინი გაიტანდენ თავისას. თუ ადრე შეიტყობდენ სოფლელები ყაჩალების შემოსევას, გაჭრიდენ მიწას, ჩაუსაფრდებოდენ და ბრძოლა ზოგჯერ თვეზე მეტსაც გასტანდა. ასეთს ბრძოლებში ზოგჯერ ქართველები იმარჯვებდენ. მაშინ ბრძოლის პირობები, რასაკვირველია, ვამარჯვებულის სასარგებლოდ წყდებოდა. ქართველები ატყვევებდენ ყაჩალებს და წაუყენებდენ თავიანთ პირობას ზარალის ასანაზღაურებლად. დამცემი მხარე იძულებული იყვნენ გადაეხადათ დაკისრებული კონტრიბუცია და ქართველებინაწილებდენ ასეთ ნადავლს.

არ არის სწორი ახსნა. ქურთები და ბახტიარები არბევდენ ყველას, ვინც თავს ვერ დაიცავდა. აგრეთვე ვისაც ისჯაპანისკენ წამოსვლა უნდა ას ადგილად შემოუვლის ქართველების უბანს.

დამარცხებული ყაჩალების ცოლები ტომრებში ჩააწყობდენ საჩუქრებს ქართველებისთვის მისარომევად. დამარცხებულთა ცოლები მოთქმითა და ხვეწნა-ტირილით დაიყრიდენ თავზე მტვერსა და მიწას და თხოულობდენ ქმრების განთავისუფლებას.

ასეთი არანორმალური ცხოვრების პირობების გამო, როგორც თვითონ ამბობენ, ქართველები ჩამორჩენილან სპარსეთის სამოქალაქო ცხოვრებას. ყოველი ოჯახის წევრი მუდმივი დარაჯი იყო თავისი თემისა და ამიტომ მას არ შეეძლო გაცნობოდა ქალაქის ცხოვრებასა და კულტურას. ეს ერთი მხრით მართალი არის, თუმცა მათი ჩამორჩენის მიზეზი, რასაკვირველია, მარტო ამით არ განისაზღვრება,

ამ უკანასკნელს წელში ასეთი მდგომარეობა საგრძნობლად გამოკეთდა. რეზა შაჰის მთავრობამ, საზოგადოდ, ხალხი განაიარალა. რაიონებში შეიარაღებული ჯარი ჩააყენა ყაჩალების წინააღმდეგ საბრძოლველად. ასე რომ, ამ ხრივ, როგორც სხვებს, ისე ქართველებს ხითათი ნაკლებად მოელის.

მხოლოდ 1929 წელს, ზაფხულში, მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულმა ლურებისა და ბახტიარების ბრძომ, სხვათაშორის, დაარბია ქართველების სოფლები, რომელთა მისაღებ ქვითარებზე დასმული იყო, სპარსეთიდან გაძევებული, აკმევ შაჰის ბეჭედი. ბრძოს დამარცხების შემდეგ, მთავრობამ დაზარალებულ ქართველებს აპატია გადასახადი.

ქართველებს შეტაკება უხდებათ აგრეთვე მიწების გარშემო მოსაზღვრე ბახტიარებთან და ქურთებთან და ცალკეულ ქურდებთან, რომლებიც მთელი დღე და ღამე დაძრწიან და იპარავენ, რასაც ხელთ იჯდებენ.

საერთოდ, ბახტიარებთან და ქურთებთან წარსულში მუ-
დამ მტრული განწყობილება ჰქონდათ. მხოლოდ ამ ბო-
ლო დროს გახშირდა მათთან დამოყვრება ქალის მითხო-
ვებით და გამოთხოვებით. აგრეთვე თვით ქართველებიც
მიღიან მათთან ზედსიძეთ.

თ ა ვ ი მ ე ი ქ ვ ს ე

მაჰარამის მისტერიები. ცხლორულმანება. ფულების მობროვება ნაღდად და ნისიად. საგალდებულო ხელჭრილები.


მაჰარამი შიიტ-მუსუმალენების უდიდესი სამკლოვიარო ჩვეულებაა. ეს განსაკუთრებით მთელი სპარსეთის სახელმწიფოებრივი უქმეა. მაჰარამი გრძელდება ყოველწელიწადში ორმოცი დღე. ის წარმოშობილია და დამყარებული ჰუსეინის სიკვდილის ისტორიაზე. ჰუსეინი იყო წინასწარმეტყველი — მაჰმადის შვილის შვილი. ამიტომ მას უნდოდა ამ ახლო ნათესავობით თავი მაჰმადის მოძღვრების მემკვიდრედ გამოეცხადებია და ცხოვრებას სათავეში მოქცევოდა. მაგრამ ეს უფლება სრულიად სხვას ჩაუვარდა ხელში — სახელფობრ, ომეიდების მემკვიდრეს — იეჰიდს. იეჰიდმა დაამარცხა ამხედრებული ჰუსეინი და მოკვეთა თავი 680 წელს, 10 ოქტომბერს. და, აი, ამაზე არის აშენებული მისტერიები, რომელსაც ყოველ წელიწადს უქმობს მთელი სპარსეთის ხალხი, განსაკუთრებით შიიტები. ეს არის „შახსეი-ვახსეი“ (ე. ი. შაჰ-ჰუსეინ, ვაჰ-ჰუსეინ), რომელსაც ასრულებენ წამებითა და თავების ჩეხით. ამ მისტერიების ქუჩებში შესრულება, როგორც ამბოჭენ, დაიწყო პირველად სეფევების დინასტიის აღორძინების დროს.

ეს მოშდა იმ საუკუნეში, როდესაც ქართველები გადა-
ასახლეს სპარსეთში.

ფერეიდანში რომ მივეღი სწორედ მაჰარამის უქმობის
დრო იყო. მისტერიებში მონაწილენი წინასწარ მზადებაში
იყვნენ. ისინი დაობოდენ ქუჩაში, დავალებების შესასრუ-
ლებლად. მეორე დღეს უნდა გამოსულიყვნენ. გულში ჩაბუ-
დებული ფანატიზმის შხამი უნდა გადმოენთხიათ დღის
სინათლეზე, საჯაროდ, ყველას დასანახავად, რომ წლიური
შრომით მოღლილ „სხეულსა“ და სულს“ მოსვენება ეგრ-
ძნო. ზოგი ნერვებაშლილივით გამოიყურებოდა. თვალები
გაფართოებული, დაღლილი, ფერმიხდილი სახეები, თავ-
გადაპარსული იმ ადგილზე, სადაც მახვილი უნდა დაი-
კრან სისხლის დასანთხევად. თეთრი ხალათები, გახსნილი
უკან, ხოლო ზონარით შესკვნილი. მაჰარამის დასასრულის
ხანა იყო. ამ დროს მოღლესასწაულენი ჯამს უკეთებენ
მთელი თვის ნამოქმედარს სასულიერო პირთა ხელმძღვა-
ნელობით. ყოველივეს ცრემლსა და სისხლში აურევენ,
რომ შთაბეჭდილება უფრო ძლიერი იქნეს.

დილით, ჯერ კარგა გათენებული არ იყო. ქუჩებში
ხმაურობა და ლრიანცელი ატყდა. აუცილებელი იყო ჩემ-
თვის მათი დანახვა, გაგება იმისი, თუ როგორ შეასრუ-
ლებდენ თავიანთ როლს მუსულმანი ქართველები. მხო-
ლოდ მათ სანახავად ქუჩაში წასვლაზე ვერ დავითანხმე
ჩემი სტუმარი ქალი ელენე ფონშტეინი, ის შეიპყრო წი-
ნასწარმა შიშმა. მან კარჩაკეტილ ოთახში ჯდომა არჩია
ჩვენს სიტყვიერ „იმედებს“, რომ მას ხითათი არ მოელოდა.

„რა ვიცი, ამბობდა ის, ვერ ვენდობი, თითონ თავს
იქლავენ და მე რას დამზოგავენ. მართალია, ზენ ძალიან
ენდობი შენს ქართველებს, მაგრამ ამდენ ხალხში ერთ-
მაც რომ ხანჯალი ჩამცეს, მერე შენი იმედი მე არაფერს
გამომაღვებაო“.




სურ. 9 მისტერიული ქადაგი

დღილით ქუჩის აურ-ზაური თანთან უახლოვდებოდა სეიფოლას ბინას. ჩვენ აივანზე ვიყავით გადამდგარი, ყოველი ხმაური გადმოდიოდა ჩვენს ნერვებზე, ოობორც, ელექტრონი და, მიუხედავად იმისა, რომ შიში არ მოგველოდა, მაინც ტანში ცივი ურუანტელი გვივლიდა. ფიქტა ქაოსი გვეხვია გარშემო, როგორც თვალგაუფალი ბურუსი წვიმიანს დღეში. მომავალ იასტებს მოსდევდა მთელი სოფლის დიდი და პატარა, ქალი და კაცი. ეზოები, სახლის ბანები და აივნები, აჭრელებული იყო ზაყურებელი ხალხით.

მაწინივე დასტა შედგა სეიფოლა იოსელიანის სახლის წინ. ეს, ნიშნავდა სეიფოლასადმი განსაკუთრებულ პატივისცემას.. შავი, გულამოჭრილი ხალათები, თავლია, ფეხში-შველა ისინი ყვიროდენ „შახსეი“, — „ვახსეი“. იცემდენ შიშველ მკერდზე ხელს და ხტოდენ ერთსა და იმავე ადგილზე ფერხულში ჩაბმული. სეიფოლამ აჩუქა მათ რამდენიმე ყრანი (ყრანი უდრის 20 კაპიკს) და მაღლობაც გადაუხადა. ისინი ისეთივე ხტომით და ყვირილით წავიდენ.

ამის შემდეგ, გამოიარა მეორე დასტამ. შათაც შავი ხალათები ეცვათ, მხოლოდ შებრუნებული. ამოჭრილი გულისპირი უკან მოექციათ — ზურგისკენ, ასე რომ ბეჭის ფრთები მთლიანად მოუჩანდათ. ისინი იცემდენ ზედ რკინის ჯინჯილებს-ჯაჭვებს ხან მარჯვნით და ხან მარცხნით. რკინის უანგისგან ყველას ხორცის კანი გაშავებული ჰქონდათ. ისინიც ისევე ხტოდენ ფერხულში ჩაბმული, როგორც პირველი დასტა და იძახოდენ „შახსეი-ვახსეის“. ორივე დასტას ყავდა ხელმძღვანელი (თავისებური დირიქორი), რომელიც ხელების მოძრაობით უჩვენებდა მათ, რომ ყველას ერთსა და იმავე დროს დაერტყათ, რათა გახმაურების პარმონია დაცული ყოფილიყო. და ორივე დასტა, მართლაც, სათანადო სისწორით ასრულებდნ თავიანთ რო-



სურ. 10. მაკარამის შისტერიგი

ლებს. ისინიც სეიფოლას კარზე შედგენ. მათაც მანაშლც იხტუნეს და იყვირეს, სანამ საჩუქარი და მაღლობა არ მიიღეს.

პროცესის შიგა დაშიგ მიდიოდენ სეიდი ჭომლერლები, რომლებიც მოთქვამდენ ჰუსეინის სიკვდილის ისტორიას. ამასთანავე მოდიოდენ არაბულ ტანისამოსში გამოწყობილი ცხენოსნები ფარებით, ჯავშნებით, შუბებით და ხმლებით, მოყავდათ ტყვეები და ჰუსეინის ცოლშვილი, მიქონდათ თავმოჭრილი ჰუსეინი ტახტრევანით. და, ბოლოს, თვით ჰუსეინის თავს გამოატარებენ სისხლში მოსვრილს, რომ, მეტი ეფექტი მოახდინოს მაყურებლებზე. გამოიარა მესამე დასტამ. ესენი თავს იჩეხავენ. მათ ყველას თეორი ხალაოები აცვიათ, რომ სისხლის ფონი უფრო შესამჩნევი გახდეს, ხელშუჭიირავთ ხანჯლები და ხმლები, მეტწილად უანგიანი, ჩლუნგი. მათ ონ ახლავთ გამყოლი ხელჯონები. ესენი თვალს ადევნებენ. თუ ვინცობაა რომელიმე მათგანმა სასიკვდილოდ გაიმეტა თავი, ის ჯოხს შეუშვერს და მოქნეულ იარაღს ჰაერზე შეაჩერებს.

თავისმჩებლები უკვე სისხლით მოსვრილი იყვნენ. სახე დაღარული, გულისპირი გათხუპნილი ჰქონდათ. ხტუნვით, ყვირილით გამოიარეს მთელი სოფლის ქუჩები. ისინი კიდევ უფრო დიდხანს შედგენ სეიფოლას კარზე. მათ თავი მოწონდათ ასეთი გმირული საქციელით. ეს სურათი ყველაზე უფრო საშინელია და ამიტომ ხალხიც მათ უფრო მეტი მისდევს. საჩუქარი მათთვისაც წინასწარ გამზადილი იყო. მიიღეს და წავიდენ.

ყველა ეს ჩამოთვლილი დასტები ჩერდებოდენ აგრეთვე სხვა ხანების კარზე, რომლებისგანაც გაძოელოდენ რაიმე საჩუქარს.

დასტებში და თავის ჩეხაში მონაწილეობას იღებენ პატარა ბავშებიც, რომლებსაც ეს სანახაობა ძალიან იზიდავს. ჭოგი დედმამა ბავშის დაბადებიდანვე აღუთქვამს,



Հայութեաց—Տաճար 11. Տաճարապահ Հակոբ

რომ „თუ ჩემი შვილი გაიზრდება, როგორც კი იარალის
მოქნევას შეიძლებს, თავის ჩეხაში გავგზავნიო“.

ქ:ლები, საზოგადოდ, მისტერიებში აქტიურ მონაწი-
ლეობას არ იღებენ; ისინი დადიან, ან სხედან ქუჩებში
და თავიანთი მწუხარებას ტირილით და კივილით გამო-
თქვამენ. ხოლო ამ შემთხვევაში ქართველი ქალების ტირი-
ლი და შეკივლება არ გამიგონია. ისინი თითქმ უფრო
ერთობოდენ, ვიდრე წუხდენ.

* *

როდესაც მთელი სოფელი შემოიარეს, ყველა დასტებმა
და გამყოლმა ხალხმა თავი მოიყარეს სოფლის განაპირას,
საგანგეო ოდ ამორჩეულს მოედანზე. ჯერ ყველა დასტები
ფერბულში ჩაებენ, იცეს გულში ხელები და ზურგზე ჯაჭ-
ვები, თავის დამჭრელებიც, მოლლილი ხტომითა და ყვი-
რილით, სისხლიანი სახეებით მიყავდათ სათითაოდ. ზოგი-
ურთი მათგანი ყოჩალად იყო. თავი აშაყად ეჭირა, რო-
გორც ომში გამარჯვებულ მეომარს.

როდესაც ხტომა და ყირილი დასრულდა, ყველა გააგ-
ზავნეს აბანოში. ხოლო წინასწარ, სანამ დასტები მთლად
დაიშლებოდენ, მათ სასარგებლოდ მოაგროვეს ხალხში
ფულები ამის შემდეგ შეუდგენ წარმოდგენის მოწყობას,
რომელსაც „თაზიე“ ე. ი. სამგლოვიარო წარმოდგენა
ეწოდება.

წარმოდგენი წარმოებდა სპარსულ ენაზე, სპარსელი
სეიდის მეთაურობით, რომელიც ასრულებდა უმთავრეს
როლს. მას, მართლაც, კარგი ხმა ჰქონდა, რბილი, საამოდ
მოსასმენი. თითონ უგრიმოდ იყო. დანარჩენი „მსახიობები“
გრიმებში იყვნენ. წარმოდგენის შინაარსი აქაც ჰუსეინის
მოკვლის ისტორია იყო. მოედანზე (სცენაზე) იდგა დიდი
სკამი (ტრიბუნა). წარმოდგენის შეთაურმა, პირველმა მსა-

„ବୁଦ୍ଧା“ । ୧୨. ସାହିତ୍ୟକାଳୀନ ପାଦମାର୍ଗରେ -



ხძობმა, მოთქმით მოუთხრო ხალხს პუსეინის სიკვდილის ამბავი. ლაპარაკის დროს, შიგა და შიგ, სიმღერას წამო-წყებდა, რითაც მწუხარების სიმძიმეს ამსუბუქებდა მისი ხმა ხავერდივით რბილი იყო, ტკბილი, როგორც შორეული ზარის ხმა და სევდიანი. ამავე დროს, სცენაზე შემორბოდენ ცხენოსანი მსახიობები, ხმლებ-ამოღებული. მოქონდათ რაღაც საშინელი ამბავი და მიაჭინებდენ ისევ, ცხენების ასე ხშირი ჯირითი ახალისებდა წარმოდგენას.


„ქვეითი“ მსახიობები ერთმანეთს თითქმის არც კი ელაპარაკებოდენ. ყველა შათგანი უფრო იმას ცდილობდა, რომ თვისი როლი ლამაზად ემღერნა. თვით პიესის შინაარსის მკაფიოდ გადმოცემას არც ერთი არ ცდილობდა.

სცენის გარშემო ბევრი ხალხი იყო თავმყრილი. როგორც თვით მარტყოფიდან, ისე ახლო სოფლებიდანაც იყვნენ მოსული. წარმოდგენის ერთი მხარე მაყურებელ ქალებს ეჭირათ. ისინი ჩვეულებივ დღეებში, რომ ყველა უჩად-როდ დადიოდენ, ახლა ამ საერთო თავყრილობის დროს, ყველანი ჩადრებში იყვნენ, მხოლოდ უნილაბოდ. თვით ჩემს მეუღლესაც ჩადრი დაახურეს და გარს შემოერტყენ წინასწარი მოსაზრებით, რომ ვინმე ფანატიკპროვოკატორს რაიმე ცოდვა არ დაეტრიალებია, რაც ასეთ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელი იყო.

წარმოდგენის პირველმა ნახევარმა შუადლემდე გასტანა. მზიანი დღე იყო. რაც უნდა მაღალი ადგილი იყოს, სამხრეთის მზე მაინც საშინელებაა, თუ ჩრდილი არ გთარავთ. თითქმის ყველა მაყურებლები მიწაზე ისხდენ, მტვერ-ში, უწეოდენ პაპიროსს, ჩიბუხს და ჭამდენ ხმელ ხილს, კვახისა და საზამთროს მოხალულ თესლში არეულს.

წარმოდგენას ხელს უშლიდენ შიგა და შიგ ქალები, თავიანთი შეუწყვეტელი კისკისით და ლაპარაკით. ამას იწვევდა ის, რომ ქალებს არ ესმოდათ სპარსული ლაპა-

რაკი. ამიტომ, სადაც საჭირო იყო გლოვა და ტირილი, სწორედ მაშინ იცინოდენ. ამ შემთხვევაში სპარსულად მო-



სურ. 13. ტრიაბუნა წარმოდგენისათვის

ლაპარაკე, არაბულად გამოწყობილი მსახიობი, ერთბაშად ხმას გამოიცვლიდა და ქართულად მოითხოვდა ხალხისგან წესიერების დაცვას, მაგრამ მას ყურს არავინ უგდებდა.

წარმოდგენა შუაზე შევჩერეს. ეს ჩვეულებრივი ანტრაქტი მეგონა. მაგრამ ასე აო იყო. მსახიობები სადღაც მიიმალენ. ტრიბუნაზე ავიდა წარმოდგენის მეთაური სეიდი. მან ჯერ დალოცა ხალხი. შემდეგ მიმართა ხალხს, რათა გაელოთ შესაწირავი მსახიობთა სასაჩვებლოდ, ვისაც რამდენი სურდა. მსახიობები, რომლებიც აქამდე მიმალული იყვნენ, გამოჩნდენ ხალხში ჯამებით, ქალალდებით და ფანქრებით. გაფაციცებით მისჩერებოდენ ყველას ზა, თუ ვინ-მე წაილებდა უბისკენ ხელს (სპარსელი კაცი ფულს უსა-თუოდ უბეში ინახავს), მსახიობებიც მაშინვე ჯამს გაუშვერდენ. შეწირულება ნებაყოფლობით იყო. ვინც რას ვაილებდა, მსახიობები აცნობებდენ ტრიბუნს და ისიც, შემწირველის სახელის წარმოთქმითა და შეწირულის რაო-დენობის მიხედვით, ლოცავდა საჯაროდ, ყველა დიდი და პატარა წმინდანების სახელით. ვინც მეტს შეწირავდა, მის სახელს უფრო მეტად და ყველას გასაგონად დაიყვი-რებდა.

ხანდახან შეწირვა შეწყდებოდა. თითქო შემწირველი ალარავინ იყო. მაგრამ სეიდი მაინც შეუწყვეტლად გაიძა-ხოდა:


— აბა, შემოსწირეთ, თქვენი სულისა და ოჯახის საც-ონებლად და დოვლათის გასადიდებლად. ღმერთი ერთს ათასად გადაგიხდით!...

რასაკვირველია, ფულის შეწირვის გარშემო ლაპარაკი ქართულად დაიწყეს. ამ შემთხვევაში სპარსული ენა ზა-რალის მეტს არაფერს მოიტანდა. რადგან მას დიდი უმ-რავლესობა ვერ გაიგებდა. განსაკუდრებით ქალები და ბავშვები.

შეწირულება მგონი ოცჯერაც შეწყდა, მაგრამ სეიდი მაინც არ ეშვებოდათ. იმდენს იყვირებდა რომ, ბოლოს და ბოლოს, მაინც ვიღაც გააცოცებდა უბისკენ ხელს ფულე-

ბის ამოსალებად. ამ დროს საზოგადოება და თვით სეიდიც
ატეხდენ ხელახალ ხმაურს, ახალი დალოცვით.

მაგრამ ფულის შემწირველთა რიცხვი მაინც მაღე გა-
მოილია.




სურ. 14. მისტერიები.

ამით თითქმ უნდა გათავებულიყო ჯილდოს რაოდე-
ნობა. წარმოდგენაც ისევ განახლებულიყო, მაგრამ სოფელს
სხვანაირი წესები ჰქონია. ვისაც ფული არა აქვს, იმას
შეუძლია შეწიროს ჭირნახული. ეს უფრო ადვილი გოსა-
ხერხებელია. მაგრამ ყანები ჯერ მომკილი არ ჰქონდათ. წარ-
სული წლის მოსავლიდან შეწირვა ბევრს არ შეეძლო,
რადგან უთავდებოდათ წლის მოსავალი.

ყოველ შემთხვევაში, ვისაც შეეძლო, წირავდა ფულის
მაგიერ პურს, ქერს, ლობიოს და სხვას ხუთი-ათი კილო-
ტან დაწყებული, ვის რამდენიც სურდა. სიტყვიერი დას-

ပုဂ္ဂန်မြို့၊ ၁၅ ဒေါက်လွှာမြေပိုင်ဆိုရေး စာရင်းများ (ပုဂ္ဂန်)



ტურით, ოომ შეწირულს ახლავე გადაიხდიდა, სეიდიც აშ-
რიგად გადასცემდა ხალხს. მაგრამ, ვისაც ჭირნახული არ
ჰქონდა, ისინი წირავთენ მომავლის იმედით. ამიტომ მათი
სახელი იწერებოდა ცალკე. ასეთ შემწირველთა რიცხვი
უფრო ბევრი აღმოჩნდა. ამასთანავე, ისინი უფრო გაბე-
დული და გულუხვიც გამოდგენ. მათი საქციელი რაღაც
საეჭვოდ გვეჩენა, მაგრამ, ოოგორც დაგვარწმუნეს, ამ
დროს და ამ სახით შეწირულება არას დას არ დაიკარ-
გება თურმე. შეწირველს ოომ სრულიადაც არაფერი ექნეს,
თავის ვალს მაინც გადაიხდის.

ასეთი შეწირულების აღრიცხვამ უურო დიდხანს გასტანა.

შეწირულებაში მონაწილეობას ქალებიც ილებდენ. შეგ-
რამ მათ ნალდი ფული ძალიან მცირე აღმოაჩნდათ. ამი-
ტომ ისინი თავიანთ ქსოვილებს წირვდენ. მაგალითად:
წინდების, ხელთათმანებს, ქისებს და სხვა. სეიდი ამასაც
სიამოვნებით ილებდა და ჩვეულებრივ ლოცვა-კურა ხევ ს
უზავნიდათ, მაგრამ შემწირველთა ახლოს არ ახსენებდა.
სპარსულ კულტურას ჯერ იქმდი ვერ მიუღწევია, ოომ
ქალის სახელი საჯაროდ წარმოთქვას.

წარმოდგენის დროს ბავშები დიდ ხალის იჩენდენ. ისი-
ნი ყოველ მოვლენას მხიარული ყიფინით უპასუხებდენ შე-
საჭირავს შეძლების დაგვარად ილ ბდენ, მხოლოდ რა-
საკვირველია, თავის მშობლების ხარჯზე.

კარგა ხანმა გაიარა. მზე გადაიხარა. ქუჩებში ნახე-
ტიალევს, მთელი ორმოცი დღის ნაგმევ ხალხს მოსვენება
უნდოდა. ზოგმა ვეღარ გაძლო და წავიდა. შემწირველთა
რიცხვი, ოოგორც ჩანდა, გამოილია. სეიდი კიდევ კარგა-
ხანს ყვიროდა დაუზარებლად. მაგრამ, ბოლოს, ოოგორც
იქნა, მას ყელში ხრინწი გაუჩნდა, ხმა ვეღარ დაიმორჩი-
ლა და, ილაჯ გამოცლილი, გაჩუმდა. თუმც ახლა მისთ-
ვის ყვირილი მაინც და მაინც იმდენად საჭირო აღარ იყო.

ამის შემდეგ, განაახლეს წარმოდგენა, მაგრამ ხალხი
უკვე ნახევარი აღარ იყო. თვით მსახიობებსაც ხალისი
დაკარგოდათ. ამიტომ წარმოდგენა მაღვე დასრულეს და
მოედანიც დაცალიერდა.

ასე დასრულდა ფერეიდნელ მაჰმადიან ქართველთა
მაჰმადის მისტერიების წარმოდგენები ქუჩებში, ლია ცის
ქვეშ. დამთავრდა მწუხარების სისხლიანი წუთები.

თავი მეშვიდი

ქართველი ხანები. აათი სოციალური მდგრადარობა. ფულ-
ლი. უსავლელობა. გადაგვარება და მოღალატეობა.

ფერეიდნელი ქართველების ბედს უმთავრესად ხანები
განაგებენ. ძველი ტრადიციული ზოგება, როგორც მთელ
სპარსეთში, აქაც მთლიანად დარჩენილა. ხანი დიდი კაცია,
არა მარტო თავისი ყმებისა და ნოქრებისთვის, ის დიდი
კაცია ყველასთვის, ვინც იცნობს, ვინც მის სახელს გაი-
გონებს. ასე უყურებს ხანებს მთავრობაც. ვინც კი მთავ-
რობის მხრივ სოფლისკენ დაიძვრის, პირველად ხანს მია-
დგება კარჩე. მთავრობის განკარგულება ხანებმა უნდა გა-
ატარონ ცხოვრებაში. ხალხს უნდა გადასცენ, ჩაგონონ,
ურჩიონ და, თუ საჭირო იქნება, სასტიკი ზომებიც მი-
იღონ. კანონის დარღვევისათვის პასუხი თვით ხანს მოე-
თხოვება. თუმცა ამ მხრივ ხანი ძალიან იშვიათად ისჯება,
რადგან ის ასრულებს იმას, რაც მისთვის და მთავრობი-
სთვისაც ხელსაყრელია. ყოველი ადმინისტრატული და-
ვალება სასარგებლოა თვით ხანისათვის. ეს დავალებები
უმთავრესად ფულების მოგროვებას შეეხება, ხოლო მოგ-
როვილი ფულებიდან, ხანის სასარგებლოდ რჩება რამ-
დენიმე პროცენტი, დაახლოებით 5-10%-მდე.

ყოველ სოფელს თავისი ხანი ჰყავს. ქართულ სოფლე-
ბის უმეტესობას საერთო წინამდლვრად სეიფოლა იო-
სელიანი ჰყავს არჩეული. სეიფოლა ახალი ხანია. თა-
ვისი ყოჩალობით მიუღწევია ამ ხარისხამდე ხუთმეტიოდე

წლის წინად. ამიტომ ეჯავრება ის ძველ ხანებს. მუდაშ
მტრულ განწყობილებაში არიან მასთან. ამ ნიაღაგზე, რო-
დესაც სეიფოლას ჯერ ხანობის ხარისხი არ ჰქონდა მიღ-
ბული, სხვებმა მოინდომეს ხელი შეეშალათ.

იმ დროს თურმე სეიფოლას ხალხი კარგად შეიარა-
ლებული ჰყავდა. ის თურმე იგერიებდა თავდამსხმელ ქურ-
ოებსა და ბახტიარებს და, ამავე დროს, თვითონაც ესხ-
მოდათ თავზე. ორივე შემთხვევაში ხშირად იმარჯვებდა
და ამის შედეგად ფულსაც ახდევინებდა. ილებული ფულე-
ბიდან ნაწილი მთავრობისათვის უნდა გადაეცა. ეს შეშურ-
დათ სხვა ხანებს, რომლებსაც აღარ შეწევდათ უნარი
შეიარაღებულ მეომრებს წინ გაძლოლოდენ. მათ დაუწყეს
მტრობა. დააბეჭდეს და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ სე-
იფოლასთვის როჩგი უნდა დაერტყათ. როჩგის დარტ-
ყმა კი ნიშნავდა ხანის. ლირსების დაკარგვას. ხოლო მო-
წინავეობის როლი ისევ მოწინაპალმდევე ხანების ხელში გა-
დავიდოდა და, მაშასადამე, მათი წლიური შემოსავალიც
აიწევდა. საქმე თურმე სასწორზე იდო. სეიფოლამ ჩუსტე-
ბი გაიძრო და ის იყო უნდა როჩგის ქვეშ გაწოლილიყო,
მაგრამ იმ წუთში ისფაპანიდან ბრძანება მოვიდა: აღარ
დასაჯოთო. სასჯელი, მართლაც, აპატივეს, მაგრამ სეიფო-
ლას იმდენი დაეხარჯა ამ საქმის დევნაში, რომ ხანის ხა-
რისხის მეტი თითქმის აღარაფერი დარჩა¹.

დავაში უმთავრესად მარტყოფელი ძმები ზეინალაბდინ ხა-
ნი და მატყული ხანი იღებდენ მონაწილეობას. ამის შემ-
დეგ, ისინი პირველად შერიგდენ ჩვენის მიზეზით, როდე-
საც მატყული ხანმა მიგვიწვია საღილზე თავის ოჯახში.
სილარიბეში ჩავარდნილი ხანებისათვის სოფლების
მეთაურობა და გამგეობა მეტად საჭირო და სარ-

1. ეს ამბავი მიამბო თვით სეიფოლას ვაჟმა — აღი აქბერმა.

სურ. 16. ს. მარტინოვის მოწინავე პირები. ცენტრში: სეიჭალ ა. გოსულიანი



1. ეს ამბავი მიამზო თვით სეიჭოლას ვაჭმს — ალი აკბერიშვილი.

გემლიანია. მათ ოლარც ადგილები აქვთ იმდენი, რომ
მისი ღალით იცხოვრონ და ორც მუშობა შეუძლიათ. ამი-
ტომ ებლაუჭებიან ისინი აზმინისტრატულ უფლებებს.

ამჟამად ზემომარტყოფი ორი ხანის განკარგულებაშია. უმეტესი ნაწილი მცხოვრელებისა სეიფოლას ემხრობა, უმ-
ცირესი — მატყული ხანს. გლეხები ყოველგვარ გადასახადს
თავიანთ ამორჩეულ ხანს აბარებენ. ხანი აღებული ფული-
დან, ნაწილს კუთვნილებისამებრ, მთავრობას აბარებს. და-
ნარჩენს — თვითონ იღებს შრომის ჯილდოდ. ამ დანარჩენს
კი შეადგენს 5% , რომელსაც ხანი თავის ნებით ამატებს
გადასახადზე. გლეხებმა იციან ეს, მაგრამ ასეთი წესი და-
კანონებულია ძველადვე, რომლის წინააღმდეგ აშკარად
ვერ იღაშვირებენ.

მარტყოფში ორიან აგრეთვე ისეთი გლეხები, რომლე-
ბიც ვერ (კი ერთს ხანს ვერ მიმხრობიან, რადგან ერთისაც
ეხათრებათ (უფრო კი ეშინიათ) და მეორესიც. ისენი თავი-
ანთ გადასახადს შუაზე პყოფენ: ნახევარს ერთს აძლევენ,
ნახევარს — მეორეს, რომ ორივე მადლიერი დარჩეს. ასეთი
არაბუნებრივი მდგომარეობა, ცხადია, აწუხებს გლეხობას,
უნერგავს სიძულვილს და უნდობლობას. ერთმა გლეხმა
მითხრა:

— ხანები ჩვენშიც უნდა მოისპოს ისე, როგორც თქვენ
მოგისპიათო.

გლეხი უკვე გრძნობს, რომ ხანი მისი პარაზიტია. ორც
ერთმა ხანმა, სეიფოლას გარდა, ქართული წერაკითხვა
არ იცის, მათ სპარსულის ცოდნაც ძალიან მცირე აქვთ.
ზოგმა სპარსული სრულებით არ იცის. ისინი ორც ეტანე-
ბიან სწავლას. ორც ერთს თავისი შვილი ჯერ სოფლის
გარედ სასწავლებლად არ გაუგზავნია. თუ რამეს ასწავლიან,

ისევ შინაურული წესით. ერთმა ჩანმა ლაპარაკის დროს, გაკვირვებით წამოიძახა:

— სკოლაში რა უნდა ისწავლონ ჩვენმა შვილებშაო!

მან, მართლაც, არ იცოდა რა უნდა ისწავლოს: მისმა შვილმა იმის მეტი, რასაც სწავლობენ ოჯახში. მისი შვილები ახლაც არ დაიარებიან სკოლაში, რომელიც დიდის ვაი-ვაგლახით გაიხსნა. ზემომარტყოფში 1928 წელს.

ხანის უფლება სოფელში აქამდე განუსაზღვრელი იყო. ის გლეხს დაიჭერდა, დაამწყვდევდა, ცემდა, სიკვდილითაც დასჯიდა.

ერთი ასეთი მაგალითი მომხდარა თვით მარტყოფში, ძველი მთავრობის დროს. ხანებმა ჩამოახრჩეს გლეხი კანონის დაუკითხავად, და მათთვის პასუხი არავის ჭოუთხოვია.

გლეხს თუ რაიმე დაჭირდება, პირველად ხანს უნდა მიმართოს. ამრიგად, ხანი სოფლის ბატონიც არის, ვექილიც, ადმინისტრატორიც, მისი წინამძლობრი და თითქმის ყველაფერი, რომლის იქეთ წასავალი გზა გლეხს აღარა აქვს.

დაეკარგება რამე გლეხს, იგი ხანს განუცხადებს, ხანი შაშინვე აფრენს თავის მარქაფა კაცებს ქურდის აღმოსაჩენად. თუ დაიჭირა, ტყავს გააძრობს. მაგრამ, თუ ქურდი არ აღმოჩნდა, გლეხს ეჭვი შეაჭვს ხანის მოქმედებაში: „ქურდს კი იპოვნიდა, მაგრამ, ალბათ, ქრთამი აიღო და გაუშვაო“. ასეთი შემთხვევითი შემოსავალი ხანს ბევრი აქვს.

ეს არის უმთავრესად ხანის მოქმედების სახომი. დანარჩენ დროს ის მუქთა ხეტიალში ატარებს. ან არა და მუხლ-მოკეცილი ზის ხალიჩაზე, ეწევა თამბაქოს, თრიაქს, ჰაშიშს და ერთობა ქარვების მარცვლების ჩამოთვლით. ქუჩაში გავლის დროს, ხანი თავის ჩუსტს ქუსლს არ ამოუწევს. ის დადის ქუსლშეკეცილი ჩუსტებით და, სადაც მივა, ტო-

ქებს კარებში, თითონ კი წინდებისამარა მოიკეცება ხალიჩაზე. ქუსლჩაკეცილი სიარული მისი დიდკაცობის დამტკიცებელია. ასე სიარულს ქალაქებშიც არ ერიდებიან.

* * *

მატყული ხან ონიკაშვილი ხანშიშესული მოხუცია. ეტყობა თმა გათეთრებია, მაგრამ ჩინებულად შეულებავს. ასე რომ შუახნის კაცს მოგაგონებთ. ახოვანი. სუფთა სახის. ნამდვილი კახელი. ქართულის კარგი მცოდნე, მაგრამ ეტყობა ამ ბოლო დროს გული აუცრუებია ქართულზე. სპარსული ლაპარაკი უფრო ემარჯვება. შიგა და შიგ გამოურევს საბოლიშოდ:

— ქართული კარგად ვიცოდი, დამვიწყებია.

მას ისევ აქვს ძველი თავადური სიღარააისლე, სიღინჯე და, ასე ვთქვათ სიზარმაცე. მის სახესა და სხეულს დალლილობა ეტყობა. ბეჭები დაწვრილებია, მოხრილა, მაგრამ მას არ ეტყოთ გაჭირვების დაღი, შრომის ნაოჭები. ლაპარაკობს დინჯად, ნელის ლიმით, მეტწილად საქართველოს შესახებ.

— „ლამაზია საქართველო? მთები არის? ცივი წყაროები თუ გაქვთ?..

— ლამაზია. ცივი წყაროებიც არის. ჩვენი მთები უფრო დიდი და უფრო ლამაზია თქვენსაზე.

ალბათ! ადასტურებს თითონ ჩაფიქრებით დაკითხულობს, თუ არიან საქართველოში მუსულმანები, მეჩეთები თუ არის.

— ბევრია, ვეუბნები, — მეჩეთებიც არის.

მის სახეზე სიამის ლიმჩლმა გადაირბინა.

— მაშ, მეჩეთები არის?.. ძალიან მინდა ვნახო საქართველო.

— მობრძანდით. ნახეთ. სასიამოვნო იქნება ჩვენთვის.

მან საქართველოს ნახფა მოინდოშა მის შემდეგ, როდე-
საც გაიგო, რომ აქ მეჩეთებიც არის, სადაც შეიძლება
ილოცოს ყოველდღე ხუთჯერ. აგრეთვე ჭამოს მუსულ-
მანის მიერ მომზადებული სადილ-ვახშამი და დაიძინოს
მუსულმანის ბინაზე.

— შაშ, მუსულმანები ბევრი არიან საქართველოში?..

— განმეორებით კითხულობს მატყული ხ ნი.

— ბევრი, დიახ! — ვეუბნება და მის სახეზე ვხედავ
ისევ გაკვირვებისა და სიამოვნების ლიმილს.

ის აქებს მაჰმადის ოჯულს და თან ამბობს, რომ პატივს
სცემს ქრისტესაც, რომელიც, მუსულმანების ანგარიშით,
ითვლება მსოფლიოში მეოთხე წინასწაომეტყველად ჟა-
ყელაზე დიდად, გარდა მაჰმადისა.

ის ხშირად იგოხებდა ლადო ალნიაშვილს-დიდის ქე-
ბით, რომელიც ცხოვრობდა თურმე ვის ბინაზე რამდენი-
მე დღე.

— „ლადო კარგი კაცი იყო, სწორედ მაღ იჯდა, სად-
აც თქვენ ზიხართ. გვირჩევდა ენას ნუ დაკარგავთ, ადგილ-
მამული შეიძინეთო“. შემდეგ ლადოს ლირსების მაღლა
ასაწევად ცოტაოდენი ტყუილიც გამოურია:


— ლადოს ათი ნოქარი ახლდა თანაო.

ჩვენ ვიცით ლადოს არა თუ ნოქრების სამყოფი, თა-
ვის სახარჯო ფულიც საქმაოდ არ ჰქონდა; მან, ფერეიდანში
მოგზაურობის დროს, ისფაპანში ერთი მაღლიანი სომხის-
გან აღებული ვალი — ოცი თუმანი, — ტფილისში დაბრუნ-
ების შემდეგ გაისტუმრა და ეს ფული აქაც სხვისგან ისესხა.

— ვინ არის თქვენში შაპი, როგორია? იკითხა მან.

— ჩვენში შაპი ალაზ არის. ალარც თავადები. ყველა
წოდება გათანასწორებულია. მოისპო კერძო საკუთრება.
ყველაფერი „დოფლათისაა“ (სახელმწიფოსი).

ის გაკვირვებით ისმენდა ყოველივეს. ახლა შის სახეზე აშეარა გაუგებრობა გამოიხატა. წარმოუდგენელმა ეჭვმა შეიპყრო. ამგვარმა ეჭვმა შეიპყრო ყველა მის გვერდით ხალიჩაზე მოკეცილი ხანები, რომლებიც ხმა გაქმნდილი, ჩიბუხის წევით, ისმენდენ ჩვენს ბასს.



სურ. №16 ძმ. ონიგაშვილები, სეიფოლა იოსელიანი,

მარჯვნიდან (1) ამბაკო ჭელიძე

— როგორ შეიძლება უშაპო ქვეყანა?

— რატომ, შეიძლება. ისე, როგორც თქვენი მეჯლისია მაგრამ ცოტა უფრო კარგად...

და რადგან ამჟამად სხვაგვარი განმარტება შეუძლებელი იყო, მალე გადავედი სხვა ლაპარაკზე.

სხვები მოწიწებით შესკეროდენ მას და უპირატესობას აძლევდენ მის ლაპარაკს, იშვიათად თუ რამეს იტყოდენ, ისიც მოკლედ და ჩუმად.

მატყული ხანი საპატიო ალაგზე იჯდა. სხვები გარშემო უსხდენ ვეზირებივით და ჩიბუხის წევით ყურს უგდებდენ მის დარბაისლურ ლაპარაკს. მოელი ეზა მნახველე-

ბით გაივსო. მან ნება არ მისცა თავის ოჯახში მყოფ ქალებს დავენახეთ ჩვენ. მხოლოდ ეზოში გავლის დროს, ფანჯრიდან შეგვასწრეს თვალი სიფრთხილით, რომ სხვას არავის შეენიშნა.

ჩვენთან ლაპარაკის დროს რამდენიმე საათი მუხლ-გაუმართავად იჯდა. ის მხოლოდ ერთხელ წამოდგა, დაიჩვენა, სალამოს ლოცვის წესი შეასრულა და ისევ თავის ალაგზე დაეშვა. ცხადია, ეს იყო მეხუთე ლოცვა, რომელიც უნდა შეესრულებია მას დღე და ღამის განმავლობაში. და ამ ერთსა და იმავე ლოცვას, ერთი და იგივე სიტუა-ბით, ერთი და იგივე სასოებით, ხალისით, რწმენით ას-რულებს ის მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში. და მაინც ვერ ძლება იგი, ვერა გრძნობს, რომ ეს უაზრო ბგერა ვერაფერს მიცემს მას, პირიქით, ის მზათაა ყოვე-ლი მისი ხელის შემშლელი, დაახრჩოს. ამიტომ იჩივლა: „ერთი რწმენა ლა დაგვრჩენია და ამასაც წაგვართმევენო“.

სამწუხაროდ, ჯერ არაა სპარსეთში ისეთი ძალა, რო-მელიც მას ამ რწმენას წაართმევდა, რომლის სიკეთე მიუ-წვდომელია მატყული ხანებისთვის. ის მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როდესაც დაინახა, რომ მე მას „რჯულს ვერ წაგვართმევდი“. ამ ჩემს სისუსტეში მან ჩემი კაი კაცობა დაინახა. ამიტომ იყო მისი მასპინძლობა ხალისიანი, უხვი. ამიტომ გახსნა მან საჩუბრად შეკრული წარბები და ლი-მილით აჯბობდა: „ლადოც სწორედ, მაგ ადგილზე იჯდა, სადაც შენ ზიხარო“.

ლოცვის შემდეგ, შეუდგა ისევ თამბაჭოს მოწევას. ჩი-ბუხს გამოცლიდა თუ არა, მეორედ გაამზადებდა. მან იგრძნო რალაც შინაგანი უხერხულობა, ალბათ იმიტომ, რომ მე არაფერს ვეწეოდი და ძალაუნებურად თვალს ვადევნებდი, თუ როგორი გულისყურით ადევნებდა იგი მიბნედ თვლილებს ყალიონის თუხთუხსა და იქიდან გამო-

სულ ბოლს, რომელიც ბაბბის ქულასავით დასტრიალებდა
თავზე. იგი ხანდახან წამოიძახებდა:

— ბის მილლაპ!. (სახელითა უფლისათა).

ბოლოს წარმოთქვა:

— არ უშემიძლია შევწყვიტო, გაფუჭებული ვარ.

საზოგადოდ, ხანების უმრავლესობა „გაფუჭებული“,
იყო ოპიუმისა და სხვა ნარკოტიული ნივთიერების მო-
წევით. განსაკუთრებით ოპიუმი მარტო მოსაწევად არა
აქვთ. ის მათი საექიმო საშუალებაც არის. ყოველგვარ
ავადმყოფობის დროს ყლაპავენ პაწია ნამცეცებს, რომე-
ლიც აყუჩებს ტკივილს უსათუოდ. მაგრამ არ იციან, თუ
რა ვნებას აყენებს ის მათ სხეულს საერთოდ.

ან კი რა უნდა გააკეთოს ხანმა გარდა ოპიუმის, ჰა-
შიშის და თამბაქოს მოწევისა, როდესაც არა აქვს არავი-
თარი გასართობი, უსაქმურ დროს მოსაკლავად: ის მუდამ
ბოკეცილი ზის ხალიჩაზე და მიჩერებია თავის ქოშებს ან
გივეს¹, რომელიც უწყვია შესავალ კარებში.

მაგრამ, როგორიც უნდა იყოს შატი წარსული, ისინი
უკვე განადგურებისა და გადაგვარების გზაზე დგანან. ახალ-
მა ცხოვრებამ ბევრი რამ წაართვა მათ. მათი როლი შეძ-
ცირდა. ისინი მთავრობის უბრალო მოხელის როლს ასრუ-
ლებენ. ეს არის მათი უკანასკნელი ამოსუნთქვა. როგორც
დაკვირვებიდან ჩანს, ქართულ ენას პირველად ქართველი
ხანები ივიწყებენ და შემდეგ მათზე დამოკიდებული, მათი
გავლენის ქვეშ მყოფი გლეხები. ამის მაგალითს, სხვათა-
შორის, სოფ. ქვემო მარტყოფი წარმოადგენს, მიუხედავად
იმისა, რომ ეს სოფელი მხოლოდ ოთხი კილომეტრითაა
დაშორებული ზემო მარტყოფს, მცხოვრებნი მთლიანად

¹ გივე — ბამბის ნართისგან მოქსოვილი ჩუსტია, რომელსაც ძი-
რიც ჩვრცეგან აქვს მინაკერი. იგი გრილია და სპარსეთში დიდი გა-
ხაგალი აქვს.

გადასული არიან სპარსულ ენაზე. ქართული ლაპარაკი შხოლოდლა მოხუცებულებმა იციან. და ეს იმიტომ, რომ მათი ხელმძღვანელი ხანები, როგორც ეტყობა, თითქმის ასი წელიწადია ქართულად აღარ ლაპარაკობენ. ასევეა შედარებით სხვა სოფლებშიაც, სადაც ქართული დაუკი-წყნიათ, ან უკვე ივიწყებენ. და იმ სოფლებში, რომლებიც სხვა ეროვნების ხანის ხელში გადასულან, ასინი თავიანთ ქართველობაზე აღარც კი ლაპარაკობენ. თვით ის ხანე-ბიც კი, რომლებსაც ჯერ ქართული ენა არ დაუკი-წყნიათ, შერეული ენით ლაპარაკობენ. მათი ენა შესამჩნევად ან-სხვავდება მდაბიოს ენისაგან.

ამგვარად, ქართველების გადაგვარება ჯერ ცხოვრების სათავეში მდგომ ხანებში დაწყებულა და შემდეგ, მისი გავლენით, გლეხებზე გადასულა. მათი სიტყვიერი გადმოცე-მით, ს. ქვემო-მარტყოფი ლალატით ყოფილა დაარსებული. მაგალითად: ქერიმ ხანთან ჩხუპის დროს, ქართველებისთვის ულალატნია ერთ ხანს და ქერიმ ხანის ჯარს მიბხრობია. ქართველების დამარცხებისა და გამაჭმადიანების შემდეგ, მოლალატე ხანი, რაღვან მისი იმ სოფელში დარჩენა აღარ შეიძლებოდა, გამოუთიშავს ქერიმ ხანს, ოთხი კილომეტ-რის დაშორებით ადგილი მიუკია, ყმები უჩუქებია და დაუსახლებია. ამის შემდეგ დარქმევია მას ახორე ფაინ ნაუ ქვემო მარტყოფი. იმ ხანის გვარი, მისი ჩამომავალი, არიან გადაგვარებული ჰასან ხანი და ბალირ ხანი, რომელთა გადმოცემით, ქართული ლაპარაკი მათმა მამა-პაპამაც არ იცოდა.

ს. ქვემო მარტყოფის დაარსებაზე სრულიად სხვა ნაი-რად აქვს გადმოცემული სეიფოლლა იოსელიანს, რომე-ლიც დაბეჭდილია. ა. ჩიქობავას მიერ გამოცემულ „ფე-რეიდნულის მთავარი თავისებურებანში“. „ყოფილა ვინმე მეციქნე ნასირა მარტყოფელი მასიტაანი. მასთან შემთხვე-

ვით მისულა ყაჩალი ქერიმ ხანი. ქერიმ ხანს მეციკნება-
თვის უთქვამს წადი სოფლიდან ერთი ლიტრა პურიც მო-
გვიტანე, საუზმე ვჭამოთო. მეციკნემ პურიც მიუტანა და
ბატკანიც დაუკლა. წასვლის დროს, ქერიმ ხანმა მეციკნეს
სახელი ჰქითხა. შემდეგ უთხრა: თუ გაიგო რომ დიდი
სახელის კაცი გავხდე, სადაც ვიყო მოდი, მინახულეო“.
როდესაც ქერიმ ხანი გამეფდა, ნასირამ მიმართა დახმა-
რებისთვის ღა ქერიმ ხანმაც უბოძა მას სულთნობა. ამის
შემდეგ დასახლდა ქვემო მარტყოფში, რომელიც იწოდებო-
და ნასირ-ხანად. გუშენებულა წსოუელი. მისი ჩამომავალი
არის ბალირ ხანი“.

ასეთია მოკლედ სეიფოლას მიერ გადმოცემული ამბაზი. მაგრამ ამ გადმოცემას რაღაც ზერელე ხასიათი აქვს. ქე-
რიმ ხანმა, შესაძლებელია, ერთს პატივისცემაში უბოძა
„სულთნობა“, მაგრამ მეციკნე მარტო ამ „წოდებით“
სოფელს ვერ ააშენებდა. მისთვის საჭირო იყო მიწა, ჟმე-
ბი და ფული. ამის შესახებ კი სეიფოლას გადმოცემაში
არათერია მოხსენებული. ამიტომ; თუ ქერიმ ხანი ურევია
მარტყოფის დაარსებაში, ამას, მართლაც, მათ გამაპმა-
დიანებასთან უფრო ექნება კავშირი.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ი

გლეხები. მათი ბატონიშვილი მდგომარეობა. სიღარიბე. შინა-
ური მართველობის ფასი. ექვსი ბატონი. შინაური მრავა-
ლობის სისუსტე.

ფერეიდნელი გლეხის მდგომარეობა, რასაკვირველია,
ისევე როგორც მთელი სპარსეთის გლეხობის, მეტად მძი-
მეა, საოცარი და თანამედროვე კულტურული ადამიანი-
სათვის ყოვლად აუტანელი. ის არა გავს დღევანდელი ჩვე-
ნი გლეხობის ცხოვრებას. ჩვენმა გლეხმა ასი წლით უნდა
დაიხიოს უკან, რომ იგრძნოს ის უუფლებობა და დამ-
ცირება, სიმწარე, რომელსაც განიცდის ფერეიდნელი გლე-
ხი. ის დღესაც ბატონყმურ მდგომარეობაშია. მისი ბედი
დამოკიდებულია სხვის ავსა და კარგზე. ის ყველას ეკუ-
თვნის, თავისი თავის გარდა.

გლეხების დიდ უმრავლესობას სრულებით არაფერი გა-
აჩნია. ისინი პირდაპირ ბატონყმურ დამოკიდებულებაში
არიან ხანებთან და შეძლებულ ვაჭრებთან, რომლებსაც
ფულით შეუძენიათ გალატაკებულ ხანებისგან ადგილ- მა-
მული და სოფელში გამაგრებულან. გლეხების პატარა ნა-
წილი მცირე ადგილ-მამულის მქონეა. ხოლო კიდევ უფრო
პატარა ნაწილს ცოტაოდენი ქონება შეუძენიათ და ასე თუ
ისე „მდიდრებათ“ ითვლებიან.

ასეთი სილარიბისა და უფლებობის შედევრია მათი
უსწავლელობა და, მაშასადამე, ცრუმორწმუნეობაც; ან კი
რა უფლება უნდა ჰქონოდა გლეხს სპარსეთში, როდესაც
თვით სახელმწიფო სხვისი უფლების ქვეშ იყო. ხოლო ყო-
ველი ხანითავის პატია სამშობლოში თითქმის განუსაზღვ-
რელი უფლებით სარგებლობდა. უფლება დამყარებული
ყო ერთეულების საკუთრების პრინციპზე. საერთოდ, გლეხს
ექვსი ბატონი ყავდა: შაჰი, ხანები, მოლები, ვაჭრები,
მემამულეები და მოიჯარადრეები. არა თუ რომელიმე გლე-
ხი, ზოგგან მთელი სოფელი ერთ რომელიმე ამ ექვს წურ-
ბელათაგანს ეკუთვნოდა და ეკუთვნის დღესაც. ის განავებს
მთელ სოფელს, როგორც სურს, გარეშე პირის ან თვით
სახელმწიფოს შეუდავებლად. ის მისი საკუთრებაა: გაჰყ-
დის როცა უნდა, რამდენიც უნდა, ან გაცემს იჯარით
იმის მიხედვით, თუ როგორ უკარნახებს მას თავისი პი-
რადი მდგომარეობა.

გლეხს ნება არა აქვს წინააღმდეგეს ბატონის სურვილს.
ის მუშაობს ქედწახრილი და დღეში ხუთი ბატონიც რომ
გამოეცხადოს, ხუთივე დაბლად თავი უნდა დაუკრას, და
თავის ნაშრომიდან მიართვას გამზადებული ჭირნახული,
თუმცა გლეხისათვის, სულერთია, ვინ იქნება მისი ბატონი.
ის მიწის საკუთრებაა. მაზედ მიჭედილი და მიწის ღირ-
სებაც ამითი განიზომება. თუ კარგი მუშა-გლეხებია, იქ
მიწაც კარგად გაიყიდება:

მოსავლის გაყოფის წესი სხვადასხვანაირია:

სრულიად უქონელი გლეხი თუ უცოლშვილოა, მთელი
წლის განმავლობაში რჩება ბატონი მემამულის ხარჯზე.
მაგრამ თუ ცოლშვილიანია, მაშინ მას ჩვეულებრივად ნა-
მუშევრიდან წილი ეძლევა: მაგალითად: ვისაც საწარმოო
იარაღი აქვს, ხარები ყავს და საოესლე აქვს, ის მიიღებს
ჩვეულებრივად მოსავლის ორ მესამედს; ვისაც მარტო ხა-

რეზი ყავს, ის ნახევარს შიილებს. შაინც კი გლეხს იშვიათად ერგება იმდენი, რომ მას წლის ბოლომდე ეყოს. ამიტომ ის სესხულობს ბატონისგან, ან მოზიარესგან ახალი მოსა-
ლის ანგარიშში. ამგვარად, ის მუდმივად დამოკიდებუ-
ლია მემამულეზე, ვარდება მუდმივ სიღარიბეში და, თუ
ცუდი მოსავალი დაუდგა, ბოგანო ხდება.

ასეთ მდგომარეობას ისინი თითქო უნდა გაედევნა სოფლიდან ქალაქისკენ, მაგრამ ეს ჯერჯერობით ძალიან იშვიათად ხდება. ქართველი გლეხი ჯერ ისევ ძველებურად კარ-ჩაკეტილში ცხოვრობს. ის ქალაქს არ ეკარება, რად-
გან საამისო ცოტნა და მომზადება არა აქვს.

* * *

გლეხებს აქვთ აგრეცივე თავიანთი „თვითმართველობა“ სწორედ ისეთი, როგორიც ჩვენში ძველად სოფლის მამა-
სახლისი და მოსამართლეები იყვნენ.

მამასახლისს სპარსული სახელწოდება აქვს „ქათხუ-
და“, ხოლო მოსამართლეებს უწოდებენ „სეფიდრიშებს“, ანუ „თეთრწვერიანებს“, რადგან ყველა ისინი მოხუ კე-
ბული არიან, და „მაშასადამე, სასოფლო საქმეებში უფრო გამოცდილი.

„ქათხუდა და სეფიდრიშები“ აწესრიგებენ სოფლის სადავო საქმეებს, მაგრამ აქ მათ წინ ელობება ხანების მოქმედება, რომლებიც მეტი გავლენით სარგებლობენ. ამ-
გვარად, მათი უფლება შეკვეცილია. მათაც ისევე ეშინიათ ხანების, როგორც ყოველ გლეხს. ამიტომ თვით გლეხობაც უწინ ხანებს მიმართავენ „საშველად“, ვიდრე თავიანთ არჩეულ კაცებს.

თუ რამეს ასრულებენ ეს არჩეული კაცები, მეტწილად ისევ ხანებისა და მთავრობის დავალებებს. ამიტომ გლეხის-
თვის ისინი ზედმეტი ბარგია, რომელიც უნდა ზიდოს სა-
კუთარი ზურგით, სრულიად ჟარგონდოდ.

* * *

სპარსეთში ქართველ კაცს ვერც შინამრეწველობისთვის მოუკლია. ის იგივე გლეხია თავით ფეხამდე, როგორც გადასახლების პირველს ხნებში იყო. მიუხედავად იმისა, რომ ისფაპანი განთქმულია ხელოსნობით, ამ ხნის განმავლობაში მას თითქმის არაფერი შეუთვისებია ისეთი, რომელიც მას ქალაქში ფეხს მოაკიდებინებდა. თვით მათ სოფლებშიც კი დიდი უმეტესობა ხელოსნებისა არა ქართველები არიან.

მათი მდგომარეობა, როგორც ხელოსნის, ბევრად სჯობია მიწის მომუშავე გლეხისას. ამგვარად, ფერეიდნელი ქართველები ვერც ქალაქს დაკავშირებიან და ვერც ადგილმამული შეუნარჩუნებიათ. მიზეზი მათი გალარიბებისა, სხვა-თაშორის, ცრუმორწმუნეობაა. ამ მხრივ ისინი თავის მეზობლებს არ ჩამორჩებიან. 1927 წელს თოთხმეტი სული გაემგზავრა სალოცავად მექაში ჰაჯის წოდების მისაღვბად. მათ შორის, ერთი ქალი იყო, მარტყოფელი ხორშილა გას თავი მოწონდა იმით, რომ ის პირველი იყო ქართველ. ქალებში, რომელმაც გაბედა მექაში წასვლა.

მექაში მიმავალ ფანატიკოს ქართველს სილარიბე ვერ აჩერებს, ის ყიდის ყველაფერს, რაც გააჩნია, ოლონდ „სული იცხონოს“. ის დაიმედებულია, რომ „ლმერთი ერთ ლუკმა პურს არ გამოულევს“. ასეთი იმედით მიდის ის, ხარჯავს ყოველივეს, რაც გააჩნია და დგება იმავე კაცთან წლიურ მუშად, ვისაც თავისი ქონება მიყიდა.

დაღარიბება კიდევ არაფერია. მექაში წამსვლელთა გზის სიშორეს და სიძნელეს ბევრი ვერ იტანს. დამტკიცებულია, რომ წამსვლელთაგან 10% გზაში იხოცება. მისი ოჯახი ნადგურდება. მაგრამ, ცრუმორწმუნე, შეუგნებელ ადამიანისავის ასეთი სიკვდილი საპატიოდ ითვლება და მას ბევრიც შენატრიის.

ქმავე დროს ქართველ კაცს სამასი წლის განმავლობაში სწავლაზე არ უფიქრია. ამ მხრივ ის ჩამორჩენილა ყველა თავრს მეზობელ ხალხს. 15 - სოფელში ერთი სკოლა არ ქონდათ. მხოლოდ 1928 წელს დაარსდა ერთადერთი სკოლა ახალი პროგრამით, რომელსაც პირველს ხანებში უნდობლად უყურებდენ.

აქამდე ბავშვებს წერა-კითხვას, ე. ი. ჩვენებურად რომ ვთქვათ, „ანა-ბანას“ ასწავლიდენ სასულიერო პირები — ახუნდები. ეს არაა სკოლა ნამდვილი მნიშვნელობით. მას არა აქვს არავითარი სისტემა. სწავლება დამოკიდებულია თვეით მასწავლებლის ცოდნასა და ხასიათზე. ასეთ სკოლას სპარსეთში „მაქთაბს“ ეძახიან, ე. ი. დაბალი ხარისხის სახალხო სკოლას.

ასეთი მაქთაბი თითქმის ყველა სოფელშაა თითო-ოროლა, მაგრამ ის უფრო ახუნდის შემოსავლის წყაროა, ვიდრე სასწავლებელი. მართალია, ეს შემოსავალი ძალიან მცირეა, მაგრამ უსაქმო და ზარმაცი აღამიანისათვის მაინც საკმარისია.

მაგალითად, ზემომარტყოფში სამი ასეთი მაქთაბია. პატარა ოთახი, ცალკარიანი, უფანჯრო. შიგ არც სკამი, არც მაგიდა. ბავშები სხედან ძირს ჭილობზე ჯგუფად. ისინი ყველა პატარაა, — ხუთიდან ექვს წლამდე. კატის კნუტებივით მობუზული არიან და თავჩაქინდრული დაჩერებიან ქალალდებიდან ამონაგლეჯ რაღაც ფურცლებს. ისინი ყველა დახეულ-დაგლეჯილსა და ჭუჭყიან პერანგებში არიან, ეტყობათ სოფლის ულარიბესი ნაწილის შვილები არიან.

მდიდრებისა და, მით უმეტეს, ხანების შვილები აქ ირ დადიან. და რაღვან ქალაქი ფქედან შორს არის, ისი-

ნი რჩებიან უსწავლელი. თუ ოჯახში ვინმემ წერა-კითხვა იცის, უმთავრესად თუ მამამ იცის რაიმე, შვილსაც შეა-სწავლის და „იოლად წავლენ“.



სურ. 18. წერძო სკოლის მოწაფეები

ბავში სწავლობს მანამდე, სანამ საოჯახო შრომა არ შეუძლია. შემდეგ ის სწავლებათვის ველარ მოიცლის. იმათი აზრით თუ წერა-კითხვა ოდნავ მაინც შეისწავლა, მეტი არც საჭიროა.

ბავშებს ჰქონდათ მიცემული სხვადასხვა შინაარსას გა-კვეთილი, ყორანიდან გაღმობეჭდილი, ისინი კითხულობდენ აველა ერთსა და იმავე დროს. უფრო კი ლილინებდენ, მას..

წავლებელიც იქვე იჯდა რომ მორთხმული. მას გადაშლილი ყორანი მუხლებზე ედო და გაშტერებით ჩაჩერებოდა. ამავე დროს, ის ყურს აღევნებდა ბავშების „სიმღერას“. ვისაც შეეშლებოდა, გაუსწორებდა. ხშირად მასწავლებელ-ახუნდებს სუავლების დროს გრძელი ლერწმის ჯოხი უჭირავს ხელში, როდესაც მოწაფეს შეეშლება, ახუნდი ჯოხს-წაკრავს თავში და ამგვარად აგრძნობინებს, რომ მას რა-



სურ. 19. ამირ აღა დაამთავრა ტფილისის
ეგნ. ნინოშვილის სახელობის შვილწლედი,

ლაც შეეშალა. შემდეგ გაამეორებინებს და თუ კიდევ შეცდა, გაუსწორებს. ამგვარად, ახუნდის ჯოხი მუდმივ წმოძრაობაშია.

მასწავლებელმა დაგვინახა თუ არა, ფეხზე წაბოხტა. ახალგაზრდა ბრჭივი იყო, სიმპატიური, ქართული ლაპარაკი

არ იცოდა. „ცოტაოდენი მესმისო“ – თქვა სპარსულად. მაგრამ, შგონი, ცოტაც არ ესმოდა. მას იამა სურათის გადალება რომ დავიწყეთ და მაშინვე გაშლილი ყორანი გულზე მიიხუტა.

ამჟამად ზემო მარტყოფში, როგორც ზემოდ ვთქვით, ერთ სკოლაა ახალი წესით და პროგრამით. მაგიდები, სკამები, ყველაფერი არის, მაგრამ ის ჯერ სათანადოდ ვერ იზიდავს, ხალხს. ერთმა მეზობელმა სეიფოლას უთხრა: „მაგ სკოლა ში არავინაც არ მოვა სასწავლებლად.“ სეიფოლამ გა-ჯავრებით უპასუხა:

— „ქურთები მოვლენო“ და ამით გააჩუმა.

სწავლება წარმოებს ახალ წესზე, სპარსულად. ამან გამოიწვია ცოტაოდენი უკმაყოფილება. ზავშებმა სპარ-სული სრულებით არ იციან. მასწავლებელი კი აიძულებდათ რომ სკოლაში მხოლოდ სპარსულად ელაპარაკათ.

— „თუ ერთს დაგვავიწყებთ, და მეორეს გვასწავლით ეს რაღა გამოვიდა“?.. უთხრეს მასწავლებელს. მაგრამ მას თავისი პასუხი ჰქონდა: მე ქართული არ ვიციო.

ამის შემდეგ, როგორც გამოირკვა, მთავრობა ქართუ-ლად სწავლების წინააღმდეგი არ იყო, ისევე, როგორც არ ეწინააღმდეგება სომხებს, ებრაელებს და ქურთებს. მაგრამ თვით ფერეინდელ ქართველებში არავინ არის ქართული წერა-კითხვის მცოდნე, რომ მასწავლებლობა შეეძლოს. ხო-ლო იმ ქართველებიდან, რომლებიც აქედან არიან გასული და უსაქმოდ დაეხეტებიან თეპერანის ქუჩებზე, არავინ ისურვა ფერეიდანში მასწავლებლად წასვლა,

ფერეიდნელ ქართველებში, ზოგიერთებს მაინც აქვთ სწავლის მნიშვნელობის სათანადო შეგნება და სურვილი. ერთმა მათგანმა გულისტკივილით გვითხრა:

— „წაიყონეთ ჩემი შვილი. თქვენი იყოს. ოღონდ ნუ იქნება ჩემსავით უბედური...“

9. ფერეიდნელი ქართველები

თავი მეცნიერი

ფარეილი ქართველი ქალი. მარჯახობა. ზე-ჩვეულება ხასიათი. შრომის მოყვარეობა. უსწავლელობა და ცრუ მორგვეობა.

ფერეიდნელი ქართველი ქალი დღემდე სრულიად კარ-
ჩაკეტილია. ის დაბადებიდან არ გაშორებია თავის ოჯახს.
ერთი მოვლენა ფერეიდნელ ქალთა ცხოვრებაში იყო ის,
რომ ერთმა მათგანმა გაბედა მექქაში წასვლა მამაკაცებ-
თან ერთად 1927 წელს. ისთავანში მხოლოდ ერთი ქალი
ცხოვრობს, რომელიც გაყოლია ცოლად ფერეიდნელ თუ-
რქს — ბეჭაიისტების სექტის მიმდევარს. და, მაშასადამე,
თვითონაც ქმრის სარწმუნოებას აღიარებს.

არაქართველს აქაშდე ცოლად იშვიათად მიყვებოდენ.
მაგრამ ეს წესი ამ ბოლო დროს ხშირად ირლვევა. თუ ში-
სი მეზობელი ქურთი, ან ბახტიარი კარგად ცხოვრობს,
ქართველი ქალი მას აღარ წუნობს. მით უმეტეს, რომ ამ
შემთხვევაში ქალს ოჯახის უფროსი არც კი შეეკითხება.
ორცოლიანობა იშვიათი მოვლენაა. შესაძლებელია ეს სი-
ლარიბის შედეგიც იყოს. მაგრამ ქართველ ქალს, როგორც
ეტყობა, დიდ უბედურებად მიაჩნია მეორე ცოლობა.
მისთვის ეს ერთგვარი დამცირება არის. ეს ერთნა-
რიდ წყანს, როგორც პირველს, ისე მეორე ცოლსაც.

მაგრამ თუ ქალი უშვილოა, მაშინ ქმარი ირთავს მეორე ცოლს, შვილის შეძენის მიზნით. უშვილო ცოლი ამის წინააღმდეგ ვერ მიღის, და ბედს ურიგდება, როგორც „დამნაშავე“.

— მე „ფეხი“ მყავ — ამბობდა მარტყოფელი ქალი. პირველად ვერ გავიგეთ რა იყო ეს „ფეხი“. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ის უშვილო გამომდგარა და მის ქმარს მეორე შეურთავს. აი, ეს ყოფილა თურმე „ფეხი.“ გასულა ორი წელიწადი და ამ მეორესაც არ ყოლია შვილი, ქმარს მასზედაც აუცრუებია გული. უკვე მასაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს და, ადვილად შესაძლებელია, გააგდოს კიდევაც. ამ მდგომარეობამ თურმე სიბრალული გამოიწვია პირველ ცოლში. მან ლაპარაკში დაატანა;

— მე ის მეცოდება. ქმარს ვეუბნები — ჩემ „ფეხსაც“ მიხედოს.

ლაპარაკში სპირსული ცხოვრების გავლენა ქალს, მამაკაცთან შედარებით, ნაკლებ ეტყობა. ქალის ენა უფრო სალია, რბილი და სიამით მოსასმენი. ლაპარაკის დროს ზოგჯერ სრულიად გავიწყდებათ, რომ ვინმე სხვას, სხვაგან, ნახევრად გადაგვარებულ ადამიანს ელაპარკები, და არა შიდა ქართლელს ან ჭახელ დედაკაცს.

ქალები მამაკაცზე უფრო გულკეთილი და მხიარული ჩანს. მათ ცნობისმოყვარეობას და გაკვირვებას ჩენი დანახვისას სახლებარი არ ჰქონდა. მართალია, ის მამაკაცის გვერდით ყოფნას, ისლამის სარწმუნოების გავლენას ფანატიზმის უძირო ზღვის მორევში ჩაუგდია, მასაც მრავალი ცრუმორწმუნეობა შეუთხზავს და შეუთვისებია, მაგრამ მასში მარც არის ძველი ქართული ხასიათის ჩანასახები: გულახდილობა, სისაღავე, სახის მოხაზულობა და ელფერი დაცული. მასაც შერჩენია საკუთარი გულისტკივილი. ეტყობა წუხს თავის კარჩაკეტილ ცხოვრებაზე. ისინი თან

დაგვდევდენ ყველ ფეხის გადადგმაზე. მოგვჩერებოდენ
თვალებში და იცინოდენ.

— მოიტანეთ თქვენი საგორუელა (ავტომობილი) და წა-
გვაგორეთ აქედან, გვითხრა ერთმა სიცილით.

— მერე ექვეთ აღარ წამოხვალ?

— არა. თავის დღეში აღარ დავბრუნდები.

— ერთ კაცს ხომ მიშოვნით იქ?

— კაცები აქაც ხომ არიან.

— იჭ, ესენი რა კაცები არიან... იხუმრა მან, გვერდით
მყოფ მამაკაცების მოურიდებლად.

* * *

ქალი-ადამიანი, მუდამ მოქცეული ეზოს ვიწრო ფარ-
გლებში, ოჯახურ შრომაშია ჩაბმული. მას მრავალ შიშა
და უბედურების რკალებში გაუვლია. განუცდია ყაჩალთა
ხშირი თავდასხმა და სისხლისლვრა. ცხადია, ძალაუნე-
ბურად იფიქრებს „წაგორონ“ ასეთი „მოჯადოებული“,
ადგილიდან, განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, რომელთანაც
მას აკავშირებს წარსულის მოგონება და ფიქრი უკეთეს
მომავალ ცხოვრებაზე, რომელიც არ უნახავს დღემდე.

სოფელში შევედით თუ არა, პირველ შეხედვაზედვე,
თვალში გვეცა ჩვენებური ეზოში მოფუსულსე დედაკაცი.
ხმამალლა მოლაპარაკე, ზოგჯერ მყვირალა უბრალო რამეზე.

— დედა მითხალი ლა მოგიტანო! გასძახის პატარა
ბიჭუნა დედას და რალაც დიდ ჯოხს ეპოტინება. თითქო
იცის, რომ სახლში ხელცარიელი არ უნდა შევიდეს.

— არაფერი მინდა, შვილო, ოლონდ შენ მოდი აქ!

გამოსძახის სახლიდან დედა. და ამ თბილ სიტყვებში
აშკარად ჩანს, რომ მას ქვეყანაზე შვილზე საყვარელი
არავინ ყავს.



სურ. 17. ფერელი დნებლი ქალაგა. ცენტრში ზომ სარა ჭველა-ძე.

* * *

თვით ფერეიდნელი ქართველების სიტყვით, ოჯახში ქართველი ქალი შედარებით უფრო თავისუფალია, ვიდრე სპარსელი. მას მეტი ნდობა აქვს. მაგრამ ეს ნდობა და-მყარებულია მათ სოციალურ მდგომარეობაზე. რამდენად ლარიბია ქალი, იმდენად იძულებულია გაექცეს ყორანის შემხუთავ კანონებს. ლარიბი გლეხის ქალი გვერდში უდ-გას თავის ქმარს და აკეთებს იმას, რაც საჭიროა ოჯა-ხისთვის. ის გადის ყოველგვარ სამუშაოზე. ოჯახის გარე-თაც — მკის, მარგლის, ლეწავს, აცხობს, ქსოვს და კურავს. ზის ქმრის გვერდით და სტუმარსაც პირახდილი ეჩვენება. ნამდვილი სპარსელის ოჯახში ამას ვერ ნახავთ.

სულ სხვაგვარია ოჯახური განწყობილება ქართველი ხა-ნების ოჯახში. სეითოლა იოსელიანის ოჯახის გარდა, არც ერთმა ხანმა არ მიცა ნება თავის ცოლს მოსულიყო ჩვენ-თან სანახავად. არ მოგვცეს ნება გადაგველო მათი სურა-თები, ქალებს განსაკუთრებული ბინა აქვთ. ხანების სა-ხლში ქალები აჩვენეს მხოლოდ ჩვენს თანამგზავრ ქალებს. ამ შემთხვევაში ხანების მიერ სრულიად დაცულია სპა-რსული წესები. ხანები ემორჩილებიან უფრო საზოგადო-ებრივ გავლენას. არ უნდათ თავი სხვაზე დაბლა დააყენონ. თავიანთი ხარისხი უნდათ აიყვანონ იმ დონეზე, როგორც სხვა სპარსელი ხანები და დიდებულები არიან; მათი ასეთი შეხედულება პსიქოლოგიურად ქალებზედაც გადასულა.

ერთმა ბახტიარის ხანის ქალმა თქვა:

— თუ კი სხვა ქალები არ აძლევენ ნებას დაანახონ მათი სახე ვინმეს, მე რათი ვარ სხვაზე ნაკლები; ჩემმა მსახურმა რომ სახეზე შემომხედოს, თავს გაუტეხავო.

ამიტომ, როდესაც ქალბატონს მსახური-კაცი რამეს

მიართმევს, კისერი გვერდზე უხდა მოიქციოს, გადაცნი
ხელუკლმა და ისე გავიდეს, რომ სახეზე არ შეხედოს.

ასეთი ჩვეულება პირველად სეიფოლას ოჯახში დაი-
რღვა. მაგრამ თვით ამ დარღვევის პროცესში საოცარი
რამ გამოირკვა. სეიფოლამ თითონ თქვა, რომ მას თა-
ვის ცოლთან ჯერ პური არ უჭამია. მისი ცოლი მასთან
ისე მორიდებულად იყო, როგორც უცხოსთან. საათობით
ვიჯექით ერთად და ისინი ერთი მეორეს შრ გამოლაპა-
რაკებიან. მხოლოდ სურათის გადაღების დროს, დაჯდენ
ისინი ერთად სხვების დასანახავად, და ისიც პირველად
თავის სიცოცხლეში. და ეს იმიტომ კი არა, რომ მათ ასე
არ უნდოდათ, არამედ იმიტომ, რომ ასეთი იყო ჩვეულება,
ასე იქცეოდენ ყველა დიდი კაცები.

სეიფოლამ, თავისი რძლის სახე მხოლოდ მეორედ დაი-
ნახა მთელი წლის განმავლობაში. რძალმა შენიშნა თუ
არა, მაშინვე მიტრიალდა, რომ მამამთილს იგი მესამედ
არ დაენახა. ამავე დროს, იგივე ქალი ჩვენ, უცხო ადამია-
ნებს, სრულებით არ გვერიდებოდა. სეიფოლამ მისი გა-
თხოვილი ქალის ორსულობის ამბავი გაიკო ერთი წლის
შემდეგ, როდესაც ბავშვა აკვანში დაიჭირდა. იმიტომ,
რომ ვერ გაუბედეს ასეთი რამის გამხელა. ხოლო თვით
სეიფოლამ არ იკითხა, ან არ მოაგონდა ამისი კითხვა.

ქალების ჩაცმა-დახურვა, მორთულობა ბახტიაურულ-
ქურთულია. მოკლე „იუბკა“, დაკეცილი-ნაოჭებიანი. ზედა
ტანი — გრძელსახელოიანი ხალათები. ხალავის გარეთ,
უსახელო კოფთა, წინიღან მოქარგული. თავზე ახურავთ
ფიალასავით მრგვალი, ლამაზად მოქარგული ქუდი. ხოლო
ზევიდან შალის, ან აბრეშუმის მანდილი, რომლის ცალი
ყური შემოხვეული აქვთ კისერზე.

საჯარო ადგილზე იხურავეს ჩაღრს უნიღაბოდ. მაშინაც
სახე ნახევრად ლია აქვთ. ისინი მხოლოდ ერიდებიან თა-
ვიანთ „დიდკაცებს“ და მოხუცებს.

ხნიერი ქალები იკიდებენ ყელზე და გულზე სამკაულს:
ძველ ფულებს, ლაულაჟებს, ქარვებს, კაკულებს და ყოვე-
ლივე ბრჭყვიალა ქვასა და ლითონს, რასაც კი შეუძლია
მიიჩიდოს კაცის თვალი. მათ ძაღლიან მოწონთ თავიანთი
მორთულობა და ურჩევდენ ჩვენს თანამგზავრ ქალებსაც

ჩაეცვათ ასეთი ტანისამოსი..

სამაგიეროდ, არ მოწონდათ ჩვენი სტუმარი ქალის
შიშველი მკლავები და გაკვირვებული კითხულობდენ:

— როგორ?!. ფარჩა არ ჰქონდა მეტი?!

— ჰქონდა. მაგრამ, ეგ ეგრე უნდა...

— ეგრე?.. ეგრე ხომ გონჯია!..

— მათის აზრით, მთელი სხეული დაფარული უნდა
იყოს ფარჩით. მაშინ „გონჯი“ ალარ იქნება.

ქართველი ქალი ჯერ ქალაქში ქირაზე არ გასულა.
ის მიჯაჭვულია თავის კერაზე. უჭირს, შაგრამ მან არც კი
იცის, რა გააკეთს იქ, მისთვის უცხო „ადგილზე“ ე.ი.
მათებურად რომ ვთქვათ + „დიდსოფელში“.

საოჯახო ხელსაჭნარი თითქმის ყველანაირი ცციან: ქსო-
ვენ: ნოხებს, ფარდაგებს, ზელიუს, საზაფხულო ფეხსაცმე-
ლების მასალას, წინდებს, ხელთათმანებს. აკეთებენ საო-
ჯახო წერიმალნს საქმეს, შაგრამ აკეთებენ ყველაფერს
ცოტას, მასალის უჭინლობის (სიღარიბის) გამო, უმთავრე-
სად საოჯახო საჭირობისათვის.

ძველი ქართული ჩვეულებიდან მათ არაფერი შერჩე-
ნიათ. ისლამი, საზოგადოდ, არაფერს ტოვებს ადამიანში,
გარდა საკუთარი შხამისა. გამიგონია, და თვით ლადო
აღნიაშვილსაც აქვს თავის აღწერაში მოხსენებული, თით-

ქოს პურზე ჯვარს დაუსვაშენ და აგრეთვე იციან კვერ-
ცხის წითლად შეღებვაც.

მაგრამ ეს ჩვეულება გავრცელებულია საერთოდ მუ-
სულმანობაშიაც. პურზე ჯვარის დასმა ისფაპანშიც იციან
და ყოველ გაზაფხულობით, ნოვრუზობის დროს, ყოველ
მეტვრილმანეს სავსე თაბახი უდგას წითლად შეღებილი
კვერცხებით მთელი თვის განმავლობაში.

ცრუმორწმუნოება, განსაკუთრებით ქალთა შორის,
როგორც ყველა მდაბიო ხალხში, ძალიან არის გავრცე-
ლებული.

ყოველ ბავშს ჰკიდია გულზე ავგაროზები, სხვადასხვა
ლოცვები, რომლებიც ამოწერილია ყორანიდან, ამასთანა-
ვე ზოგი გავლენიანი მოლა თითონ იგონებს ამგვარ ლოც-
ვების აბდაუბდას და არცელებს ხალხში, რასაც სიამივ-
ნებით ყიდულობს ყოველი მდაბიო ქალი და კაცი ვერ ნახ-
ავთ ისეთ კაცს, რომ პერანგის შიგნი ავჭაროზი არ ეკიდოს.

ჩვენ ძალიან გაგვიკვირდა და კარგა ხანს ჯრც კი
გავიგეთ, რომ წინ ხშირად პირგამურული ბავშვები გვხვდე-
ბოდენ. ეს თურმე იმიტომ ჩაიდინეს, რომ ჩვენგან, რო-
გორც უცხო ადამიანისგან, ბავშვებს თვალი არ ცუმოდათ.
ზოგიერთებმა ბავშვები სრულიად შოგვარიდეს: „უცხო
ქალებს სუნი აქვთ, ბავშვებს წაიღებსო“.

ბავშვის აღზრდა იციან ძველი წესით. ჩააკრავენ აკვან-
ში, და თუ ჭირვეული ბავშვია, რაიც უმთავრესად შე-
დეგია ავადმყოფობის, მას ჩააყლაპებენ თრიაქის (ოპი-
უმის) პაწია ნამცეცს. ბავშვი ითვრება და იძინებს მშვი-
დად. მაგრამ თუ ბავშვი მოიწამლა და გარდაიცვალა, ეს,
როგორც მთელ სპარსეთშია მიღებული, მიეწერება ოჯა-
ხის ჭუილბლობასა და „ლვთის გარდაუვალ ნებას“.

უშვილო დედაკაცები ძვრებიან ქვის ლომების მუცელ-
ქვეშ. ეს უშნოდ გამოთლილი ქვის ლომები არის საფლა-

ვის ძეგლები. სასაფლაოზე რამდენიმე ასეთი ქვის ლომებია. ვითომც, მის ქვეშ გაძრომის შემდეგ, უშვილო ადამიანს შვილი გაუჩნდება. როგორც შეკითხვით გამოირკვა, ისეთი თითქმის არავინ იყო, ამ უშნოდ გათლილი ქვების ქვეშ რომ არ გამძვრალიყო. თუმცა, მიუხედავად ამისა, უშვილოები ბლომად იყვნენ და მათი რიცხვი არ შემცირებულა. სხვათა შორის, ძალიან გვირჩევდენ ჩვენც, როგორც უშვილოებს, ამ ქვის ლომების მუცლის ქვეშ გაძრომას და პირობაც აღვითქვეს თითონაც წაგვყვებოდენ სასაფლაოზე, მაგრამ ჩვენ ეს გადასდევით სხვა დროისთვის, რომელიც, აღბათ, არც დადგება. თითონ კი ხშირად გვეკითხებოდენ „გაძვერით აუ არა“. ყოველ შემთხვევაში, მე რომ ის ლომები (უფრო კი ლოდები) ვნახე, ვინც მათ ვიწრო მუცელ ქვეშ გაძრომას მოახერხებს, შესაძლებელია, მას შვილიც შეეძინოს.

* * *

მუსულმანურ კანონს (შარიათს, ყორანს) ერთი საოცარი თვისება აქვს. იგი ქალის ღირსებას ამდაბლებს ცხოველის დონემდე: „ქალი შენი ყანაა, გაანოყიერე იგიო“. მაგრამ, ამავე დროს, სასტიკად აკრძალულია ქალის ხელით შეხება, განსაკუთრებით, თუ იგი პირდაპირ ქმარი არ არის. ამ მდგომარეობით ხშირად სარგებლობენ ქალები, და იქ, სადაც მამაკაცს ნაკლები უფლება აქვს, ან სრულებით ხმის ამოღება არ შეუძლია, ისინი მეტად თავგამოდებული არიან და ზოგჯერ შარიანიც.

ამ ათიოდე წლის წინათ, რამდენიმე ახუნდს, სასულიერო პირს, ჩამოევლო ქართული სოფლები. ისინი თურმე ურჩევდენ ხალხს, როგორც ისლამის რჯულის მიმდევართ, უსათუოდ შეესწავლათ სპარსული ენა, როგორც

აუკილებელი საშუალება ყორანის გასაგებად და ლოცვების წარმოსათქმელად, მათი სათანადო შეგნებით.

. ახუნდების რჩევა არ მოწონებოდათ მამაკაცებს, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაებედნათ. და, არ, აქ შეიქნა საჭირო დედაკაცის უფლება. დედაკაცებს გამოედოთ თავი. გამოეტანათ ჯოხები, ქვები. გამოდგომოდენ ყიჯინით, მუქარით და ახუნდები სოფლიდან გაედევნათ:

— თქვენ წაგვართვით სამშობლო, რჯული, ყველაფერი, გარდა ენისა. ახლა ერთი ენა ლა დაგვრჩენია, ამის წართმევასაც გვიპირობდო?!

შეშინებული ახუნდები მაშინვე გაქცეულან და სხვა დროს აღარც გამოჩენილან.

მეორე ასეთი შემთხვევა მოხდა უკანასკნელად, 1928 წელს. მთავრობამ ჯარში გაწვევის სავალდებულო წესი შემოილო. ამ ნიადაგზე გაჯავრებულმა ქალებმა, მთავრობის მოხელეები-ოფიცრები, რომლებსაც ძალით მიყავდათ ხალხი, შეითრიეს ეზოში და ჯოხებით ცემეს. ამ მოქმედებამ კინალამ მთელი სოფლების საერთო აჯანყება გამოიწვია. ამის გამო, სეიფოლა თეჭერანში გაიწვიეს, ხოლო ქალებისათვის პასუხი არ მოუთხოვიათ.

* * *

საზოგადოდ, ქალები თამამები არიან და პირად თავმოყვარეობას აფასებენ. ისინი ხშირად გვეკითხებოდენ: „ჩვენზე გონჯს ხომ არ იტყვი საქართველოჩიო“. ჩვენ ვარჩმუნებდით, რომ გონჯს არ ვიტყოდით, მაგრამ მათ მაინც რაღაც ეჭვი ეპარებოდათ.

ისინი ლაპარაკობდენ, რომ „დიდ საქართველოდან“ დიდი ქალი ჩამოსულაო. ამასთანავე ამბობდენ: „პატარა საქართველოშიც“ არის ასეთი დიდი ტანის ქალიო. მათ, მართლაც, გამოეძებნათ საგანგებოდ „დიდი ტყეოს“ ქალი

მოიყვანეს და მოითხოვეს, რომ დატოლებოდენ ერთომე-
ორეს, თუ რომელი უფრო მაღალი იქნებოდა. როდესაც
დაინახეს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, მოითხოვეს მისი
გახდა. ამან ჩამოაგდო უხერხულობა. შეჯიბრი თითქმის
დაიშალა, მაგრამ ისინი მაინც არ მოგვეშვენ. საჭირო შე-
იქნა დათმობა.

— დიდ საქართველოდან არის. კაი ცხოვრებაში ნა-
მყოფია. იმიტომ გაზრდწლა ეგრე დიდიო.

ამის შემდეგ, ადვილი შეიქნა მათი შეკრება და სურა-
თის გადალება. მაგრამ, რადგან შარიათის ძალით ქალის
სურათის გრალება აკრძალულია, და ამასთანავე მამაკაცები-
საც ეშინოდათ, მათ მარტო არ ისურვეს და მოითხოვეს:
„ჩვენი ძველი შუაში ჩავიჯინოთო“: ამ შემთხვევამ უინცინ-
დენტოდ ჩაიარა, თუმცა მოხუც მამაკაცებს უს არ მოწონ-
დათ. შეძლებულმა პირებმა და ზანებმა თავიანთ ოჯახის
წევრებს სრულებით არ მიცეს ნება ქუჩაში გამოსვლისა და
საერთო სურათის გადალების. ამიტომ ქალების ჯგუფი ძა-
ლიან მცირერიცხოვანი გამოგვივიდა. საზოგადოდ, ასეთმა
დაახლოებამ ქალებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ისი-
ნი თანდათან გათამამდენ და ბევრ რამეს გულახდილად
გვეკითხებოდენ. სხვათა შორის, ასეთი შეკითხვა მოგვცეს:

— როგორც ჩვენი მოლები ამბობენ; მართლა „ნეჯე-
სები“ (უწმინდურები) ხართ?

— ცუდი ადამიანი ყველა „ნეჯესია“, კარგი — არა. ჩვე-
ნი მოლებიც (მღვდლები) ეგრე ამბობენ — მაჲმადიანები ნეჯ-
ესები არიანო, მაგრამ, აჲა, ხედავთ ჩვენ თქვენს პურს ვჭამთ
და არ გვეზიტლება.

ასეთი პასუხი ყველაზე უფრო ქალებს გაუკვირდათ.
მამაკაცებმა კი თავები გააქნიეს დასტურის ნიშნად. — „მა-
თი მოლებიც ეგრე იტყვიანო“.

თავი მეათე

ჯარისკაცები. უვადო სამსახური. მათი ამხანაგური კავშირი.
იძულებით განთავისუფლება.

ყაჯართა დინასტიის დროს, რეზა-შაჰის გამეფებამდე, ყოველი სოფელი აძლევდა მთავრობას, ბეგარის სახით, სამოთხ ჯარისკაცს. ხოლო მათ საოჯახო ხარჯებს სოფელი კისრულობდა. გაწვევა უვადო იყო. და ასეთი წესი დარჩა თვით რეზა-შაჰის დროსაც, ძიუხედავად იმისა, რომ იგი ყველასათვის სავალდებულო გახდა შემდეგში. ძველი გამოცდილი ჯარისკაცები საჭირო შეიქნა ახლების გასაწვრთნელად. ამის გამო, ზოგიერთი ჯარისკაცი რვა-ცხრა წლის ნამსახური იყვნენ, მაგრამ განთავისუფლებას მაინც ვერ ეღირსენ.

ამავე დროს, მათი დროის ჯარისკაცი — სპარსელები, მათნაირ ბედში მყოფი, რაღაცნაირად ახერხებდენ განთავისუფლებას. ეს კიდევ უფრო აბრაზებდა მათ და სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ამბობდენ ქრთამია საჭიროო. ამდენსა და ამდენს თუ გალავიხდით, ჩვენც გაგვანთავისუფლებენ. მაგრამ საამისო სალსარი არც ერთს არ ჰქონდა. ხშირად ფიქრობდენ გაქცევას, გადამალვას, მაგრამ ამით ხომ სამუდამოდ დაკარგვადენ თავიანთი ოჯახების ნახვის უფლებას. თუ ისევ მთავრობის ხელში ჩავარდებოდენ, გა-

როზგვა არ აცდებოდათ. ამავე დროს, სამსახურიც კი-
დევ უფრო გაუგრძელდებოდათ. ამგვარი ყოფით გამწა-
რებულმა, ერთმა მათგანმა საოკარ ხერხს მიმართა; აღარ
გაიპარსა წვერ-ულვაში, არც თმა. აღამიანი რაღაც ბერს,
თუ მხეცს დაემზგავსა. მასზე მთავრობის არავითარმა მუ-
ქარამ, არც სასჯელმა არ გაჭრა. მშვენიერი სახის კაცია,
კარგი ტანის. შაგვრემან სახეზე შავი გიშერივით თმა და
წვერი ჩამოეფინა.

— თუ ძალად გამკრეჭავთ, თავს მოვიკლავ, ან ერთ
ვინმეს მოვკლავ და ყაჩალად გადავარდებიო.

თითონ, მართლაც, „თავზე ხელალებული“ ბიჭია. მისმა
მნექარამ უფროსები დააფიქრა. შესაძლებელი იყო, უბედურე-
ბა დაეტრიალებია. მაგრამ ეს უბედურება ვის დაატყდებოდა
თავზე, არავინ იცოდა. ჯარში მისი ამ სახით დატოვება,
შეუძლებელი იყო. ბოლოს მეტი გზა აღარ იყო, გაანთა-
ვისუფლეს. ვაუშვეს თუ არა, მან მაშინვე გაიპარსა თმა და
წვერი. გაუგეს და ისევ დაჭრა მოუნდომეს, მაგრამ განთა-
ვისუფლების ქალალდი ჯიბეში ედო და ამასთანავე გაქცე-
ვით თავს უშველა.

ჯარისკაცები ერთი მეორეს არ შორდებოდენ. ერთი
მეორის გატანა და ქოშაგი იციან. ერთმა მათგანმა, ცუ-
დად მოპყრობისთვის, თავის უფროს ოფიცერს ხელი ჰკრა
და აუზში ყირაზე ჩააგდო. ამის გამო გაასამართლეს და
სასჯელად ასი როზგის დარტყმა გაღაუწყვიტეს. დროც
დანიშნეს. სასჯელი სისრულეში უნდა მოეყვანათ. ჯარის
უფროსები და თვით ჯარიც მოიყვანეს საყურებლად. უკა-
ნასკნელ წუთში ჯარიდან გამოვიდა მისი ამხანაგი მარტყო-
ფელი ჯარისკაცი მოსაპებ დავითაშვილი და გიგანტი და გიგა-
ნტიდა...

— სასჯელი გაყავით შუაზე. ასიღან ორმოცდაათი მე
დამკარით.

— კაცო შენ რაღა დაგიშავებია? — ექითხება უფროსი.

მე არაფერიც არ დამიშავებია. მაგას რომ ასი „შალალი“ დაკრათ, ვერ აიტანს. შეიძლება მოკვდეს კიდევაც. მაშინ მე თავი ცოცხალი რაღათ მინდა?!.

— ყოჩაღი ყოფილხარ, ეთქვა უფროსს, გაქვირვებით. გაროზგვა სხვა დროსათვის გადადვეს. შემდეგ სრულიად აპატიეს და სოფელში გაარიდეს, რომ პირველ ხანებში, სანამ საქმე მიყუჩდებოდა, არ გამოჩენილიყო.

* * *

1929 წელს, ბახტიარებისა და ლურების აჯანყების დროს, მთავრობის ჯარში ქართველებიც იღებდენ მონაწილეობას. პირველ დღეებში სტიქიურად ატეხილმა ათიათასი კაცის ურდომ გაიმარჯვა და ერთ ციხეს ალყა შემოარტყა, რომელშიაც, სხვათა შორის, ქართველებიც იყვნენ. ოცდაშვიდი დღე იყვნენ მოწყვეტილი გარემოს. არც საჭმელი საქმაოდ, არც წყალი. მთავრობა პურს ჰაეროპლანით აწვდიდა, მაგრამ ჩამოგდებული პური ხშირად ციხის გალავანის გარეთ ეცემოდა. ციხის დამცველები შედრკენ, მოინდომეს მტერს დანებებოდენ, მაგრამ ქართველებს უარი განეცხადებიათ: სირცხვილია, რაღასი მეომრები ვართო. ბახტიარებს გაეგოთ ქართველების იქ ყოფნა და წინადადება მიეცათ:

— დაგვნებდით. თქვენ არას გავნებთ, მეზობლები ვართ. ერთი მეორის სისხლს ნუ დალვრით. სეიფოლა თავის ჯარით ჩვენთან არისო“.

ამ აჯანყებაში ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ბოლოს, აჯანყებულები მთავრობაში დაამარცხა. ქართველებმა დიდი მაღლობა და ჯილდო დაიმსახურეს. მათ აგრეთვე ეკუთვნოდათ ოფიცრის ჩინი, მაგრამ ერთის

გარდა, არც ერთში არ იცოდა წერა-კითხვა. ამანაც ძალიან სუსტად იცოდა. ამიტომ ისინი დარჩენ ისევ უბრალო ჯარისკაცის ხარისხში. ამას ისინი არ ჩივოდენ. „ოღონდ გაგვათავისუფლონ, და არაფერი გვინდა მაგათი. ჩინები რომ მივიღოთ, მაშინ სულ აღარ გაგვიშვებენო.

* *

ამ უკანასკნელ ხანებში, ტანისამოსისა და ქუდის ოეფორმამ დიდი აურზაური გამოიწვია რეაქციონერ მოლებში და მათ მიმდევარ ვაჭრებში. ქართველი ჯარისკაცები, უფროსების დავალებით, გამოდიოდენ ქუჩებში, და თუ რომელიმე ცრუ მოლას, ან ფართხუნა ტანისამოსიან ვაჟარს მოახელებდენ, ტანისამოსს შემოახევდენ, ჩალმებს ართმევდენ და ხშირად მუშტიკრივშიც უხდებოდათ ჩარევა.

მათ ასე თუ ისე შეგნებული ჰქონდათ რეფორმის მნიშვნელობა. უმთავრესი ის არის, რომ არც ერთი მათგანი აღარ ლოცულობდა. ამ მხრივ ჯარისკაცებმა გაუსწრეს უკვე თავიანთ სოფლებს და მომავალში სოფლებში მათი დაბრუნება ასე თუ ისე შეიტანს ახალი სინათლის შუქს, ხელს შეუწყობს მოსახლეობის გამოფხიზლებას.

თავი მეთერთმეტი

ადათები. შორისილი. დახასიათებანი. ნების დამალვა.
მზითები

ქორწილის ადათი ფერეიდნელ ქართველებში თავისებურია. აქ შეიძლება იყოს ბახტიარულ-ქურთული ჩვეულების გავლენა. შესაძლებელია, იგი იყოს აგრეთვე ადგილობრივი ქართული კარჩაკეტილობის ხაყოფი. ყოველშემთხვევაში, მას არავითარი საერთო არა აქვს ჩვენებურ ნამდვილ საქორწილო ჩვეულებასთან.

პირველად, როგორც ჩვენში, იქაც შეულლების საქმე მაჭანკლის საშუალებით იწყება. ქართველებში ქალი და კაცი იმდენად დახლოვებული არიან ერთმანეთთან, რომ ადვილად შეუძლიათ ერთი მეორეს გაეცნონ, ნახონ, დაელაპარაკონ. სიტყვიერად ცოლქმრობის პირობა შეკრან, მაგრამ უმაჭანკლოდ საქმე მაინც ვერ გათავდება.

ფერეიდანში და, საზოგადოდ, ქალის საერთო რიცხვი სპარსეთში, მამაკაცთან შედარებით, ნჟელებია. ამიტომ ქალი მამაკაცზე უფრო თავმომწონეა, როდესაც საკითხი მისი ქალის, გათხოვებას შეეხება, ის დიდ თავპატიუს ეწევა და, მიუხედვად იმისა, რომ ქალი საერთოდ „ათ-ფერია“ მარნც კი მამა მისთვის ყოველივე ხელსაყრელ პირობას ვაჟისაგან მოითხოვს.

ასეთ სოფლებში ბევრი ქალის ყოლი მამის უდაფო
სიმდიდრეს წარმოადგენს. მით უმეტეს, თუ ქალს სილამა-
ზე აქვს და ხელსაქმეც იცის. ყოველი სპარსელის ოჯახი
ერთგვარ შინამრეწველობის ბუდეს წარმოადგენს. ამიტომ
ოჯახში შემსვლელმა ქალმა უსათუოდ რაიმე ხელსაქმე
უნდა იცოდეს.

საქმის გათავების შემდეგ, როდესაც შუაშავალი მოლა-
პარაკებას მოათავებს, ვაუი გზავნის საცოლეს ოჯახში
საჩუქრებსა და ტკბილეულს-შაქარს, ხმელხილეულს და
სხვ. პირველ შეხვედრის დროს, ქალს მორთავენ ვაუის
მიერ მოტანილი ნივთებით, მხოლოდ ვაუს არც კი აჩვენე-
ბენ. მზადდება ვახშამი. იწყება ჩაის სმა და ტკბილეულით
შექცევა.

შესატანი ფული განსაზღრული რაოდენობისაა. ისინი
ანგარიშით ერთი მეორეს ეთანაბრებიან. მაგალითად, თუ
უნდა შეიტანოს ხუთი თუმანი, დანარჩენი შესატანიც ამა-
ვე რიცხვით განისაზღვრება. ხუთი ლიტრა ბრინჯი, ხუ-
თი ფუთი ხორბალი, ხუთი გირვანქა შაქარი, ხუთი ცხვარი.
ვისაც შეუძლია მეტს გაიღებს, მაგრამ რიცხვი კი თანა-
ბარი უნდა იქნეს. შვიდს — შვიდი მიჰყება, რვას — რვა და
ასე ბოლომდე.

ქორწილის დღეებში სუფრა დაფარულია ტკბილე-
ულით. ყოველ მომსვლელს მოაქვს საჩუქარი — პირის სანა-
ხავი. დაბოლოს, ძმობილი წაიყვანს ქალს ვაუის სახლში.
ქალი აქაც პირის სანახავს მიიღებს. მოდის მოლა. შე-
ეკითხება ორივე მხარეს: „სურთ თუ არა შეულლება“. შე-
ძლევ შეასრულებს შეულლების წესს. იწყება ნამდვილი
ქორწილი. ქეითვი გრძელდება ორი-სამი დღე და ზოგჯერ მე-
ტიც, შეძლების კვალობაზე. უკრავს მუსიკა — თარი, ჭიანუ-
რი, ნაღარა და დაირა. იწვევენ საგანგებო მაცეკვავეებს. სა-
ზოგადოდ, სპარსელი ქალი და კაცი ერთად არასოდეს არ

ცეკვავენ. ქალებს თავიანთი განცალკევებული ბინა და სა ქეიფო აქვთ. კაცებთან ცეკვავენ ქალურად გადაცმული ვაჟები. ასევე იქცევიან შეძლებული ნაწილი ქართველებისა. ლარიბები კი, ქალი, და კაცი ერთად არიან, მაგრამ ერთად არც ისინი ცეკვავენ. იციან აგრეთვე ცხენების ჯირითი, ჭიდაობა და სხვა გასართობიც.

არის მეორე ხასიათის შეულლება, რომელიც უფრო პირველყოფილ ხასიათს ატარებს. ეს შეულლებაც, რასა-კვირველია, შუამავლით იწყება და თავდება. ქორწი-ლის პირველ დღეს დედოფალს დაბურვენ ისე, რომ სახე ვერავინ დაინახოს. ეჯიბი წაიყვანს ქალს ვაჟის ბინაზე. ქალი სანამ შინ შევიდოდეს, შედგება კარებთან და მოი-თხოვს—საქმრო მაჩვენეთო. მაგრამ არავინ იცის, სად არის საქმრო. საქმრომ წინდაწინ იცის, რომ მას საცოლე გამოიწვევს. ამიტომ ის გადაიმალება, რადგან საჯაროდ საცოლესთან პირისპირ შეხვედრა რცხვენია. დაიწყება ნე-ფის ძებნა. მაგრამ მას ადვილად ვერ იპოვნიან. გადის დრო. რამდენი ხანიც უნდა გავიდეს, თუ ნეფე არ აჩვე-ნეს, დედოფალი შინ არ შევა.

ქორწილები შემოდგომაზე იციან. ამ დროს ფერეიდანში ძალიან ცივა. ზოგჯერ თოვლიც არის. დედოფალი იყინება. მაგრამ ქმრის დარდი ავიწყებინებს სიმწარეს. თვით ნეფე თუ სხვებმა ვერ იპოვეს, თავისით არ გამოჩნდება. რცხვე-ნია—„პირზე არ მოსდის“. მაგრამ რომ მოვიდეს, მაინც უხერხულია ადათის დარღვევა. დაძრახავენ, უზრდელო-ბად ჩაუთვლიან. შეიძლება ეს არც დედოფალს მოეწონოს.

მაგრამ ნეფე არც ისეთი მორცხვი ვინმეა, რომ დედო-ფალს სამუდამოდ თავი დაანებოს. ის წინდაწინ ეტყვის ეჯიბს:—„თუ ვინცობაა ვერ მიპოვნონ, იცოდე ამა და ამ ადგილზე ვიქნებიო“. ამგვარად ჟეჯიბმა იცის, მაგრამ გაჩუმებულია განგებ, რომ გამოწვეული ეფექტი არ შეანე-

ლოს. ბოლოს, თუ შართლა ვერ იპოვეს, იმ შემთხვევაში
ეჯიბი ტოვებს დედოფალს და მიღის საძებრად. გას სხვებიც
მიყვებიან და ნეფეს ყიუინით, ლრიანცელით მოიყვანენ,
უფრო კი მოათრევენ, როდესაც ნეფეს მოიყვანენ, დააყე-
ნებენ დედოფლის გვერდით. პირველად დედამთილი ტკბი-
ლეულს მიართმევს, დალოცავს და პირისანახავს გადაცემს.

დედოფალი, ადათის მიხედვით, მოითხოვს საჩუქარს
მთელი ოჯახისაგან: ცხვარს, ძროხას, ცხენს, ქსოვილსა
და ნაღდ ფულს, ჭირნახულს და ყველაფერს, რაც სოფ-
ლის ოჯახში მოიპოვება.

თუ მდიდარი და უხვი ოჯახია, დედოფალს არ შეა-
რცხვენს. მის მოთხვნას დააკმაყოფილებს. მაგრამ თუ ღარი-
ბი, ან ძუნწი ოჯახია, ცოტა რამეს მიუგდებენ, ბოდიშს
მოითხოვენ და, თუ ვინცობაა დედოფალი გაჭირვეულდა
მიღებაზე, შეუტევენ კიდევაც.

ხოლო, რასაც დედოფალი მიიღებს, ყველაფერი მისი
უდაო საკუთრებაა. ამასთანავე მას ჩუმი წამქეზებელიც
ყავს, რომ ამას რაც შეიძლება მეტი გამოგლიჯოს,
თორემ შემდეგ გვიან იქნება.—არ აჩქარდე, არ დაუთმო,
მეტი გზა არა აქვთ, მოგცემენო“.

ბოლოს, ასე თუ ისე ვაჭრობა გათავდება. ნეფედედო-
ფალი სახლში შევლენ. გაჩაღდება ქორწილი. აქ უკვე
ქალრ და კაცი ერთიმეორეს აღარ ერიდებიან. ქეიფი
გრძელდება. მაგრამ დედოფალი ისევ პირ-დაბურვი-
ლი ზის. სახეს მხოლოდ იმას აჩვენებს, ვინც პირისანახავს
მიართმევს. მაგრამ თუ ვინცობაა ოჯახის რომელიშე წე-
ვრმა საჩუქარი არ გაიღო, წელიწადიც რომ გავიდეს, ის
დედოფლის სახის წახვას ვერ ელირსება.

ასეთ ცერემონიის შემდეგ, დედოფალი აგროვებს თა-
შის ქონებას, რაც უკვე მის საკუთრებას შეაღვენს.

ეს ჩვეულება, როგორც უტყობა, გარდამავალი დროის
ნაშთია, რომელსაც ამ უამაღ ნიადაგი გამოკლილი აქვს.
ქალ-ვაჟის შეულლება ამჟამად ვამარტივებულია. ერთმა
შამაკაცმა მოურიდებლად თქვა:

— ჩემი ცოლი ფეხშიშველი იყო. ჩემი ჩუსტები ჩავაცვი
და წამოვიყვასეო.

ქალვაჟნი ზოგჯერ პირობს აძლევენ ერთიმეორეს,
მშობლების დაუკითხავადაც.

ქალის გათხოვება იწყება უმთავრესად თორმეტ-ხუთ-
შეტი წლიდან.

თ ა ვ ი მ ე თ თ რ მ ე ც ე

ტირილი და გლოვა. გასვენება. ლოცვის წესები (პანაზილი)

მუსულმანური წესით, მიცვალებულს სახლში დიდხანს არ გააჩერებენ. პირველ დღესვე გარეცხენ, შეახვევენ თეთრ ნარმაში, რომელსაც ქაფანს უწოდებენ. მიცვალებული-სათვის კუბოს არ აკეთებენ. ყველასათვის ერთი წასალები კუბოა. ქაფანში ჩადებულ მიცვალებულს ჩადებენ და წაასვენებენ სამარემდე. კუბოს წინ მიუძლვის ლოცვა-მოთქმით სასულიერო პირი. არ არის წესად ბალდახინი და არც გვირგვინებით მორთვა იციან. ქალები მიცვალე-ბულს არ გააცილებენ. თუ მაინცდამაინც ვინმემ მოისურვა გაყოლა, შორი ახლო უნდა გაყვეს, რომ მამაკაცებში არ გაერიოს. საზოგადოდ, მიცვალებულს ქუჩაში არ მისტი-რიან.

გასვენების შემდეგ, მოიწვევენ ყორანის დაქირავებულ წამკითხველებს, ყორანის კითხვა გრძელდება სამი დღე. თუ პატრონი მდიდარია, ის აკითხებს რამდენი ხანიც სურს. ამ ხნის განმავლობაში, ჭირისუფლების სანუგეშოდ და სამძიმრის სათქმელად, მოდიან ნაცნობ-ნათესავები. ამიტომ მთელი დღე გაშლილია სუთრა—ჩაით, ტკბილეულით და ხმელი ხილით.

სამარეს ჯერ პირდაპირ ამოჭრიან. შემდეგ გვერდზე
გამოუჭრიან მიწას და სავანეში გახვეულ მიცვალებულს
შიგ შედებენ ასე, რომ, სამარის ამოვსების დროს, მიც-
ვალებულს მიწა არ დაეყრება. ქართველების სასაფლა-
ოები (აგრეთვე მუსულმანებისაც) ყველგან შეულობავი,
შეუკავებელია. ამიტომ, ნადირი ადვილად ეტანება.
რომ მიცვალებული გიენამ (აფთარმა) არ მოთხაროს ახლად
მიყრილს მიწაზე წივის ცეცხლს დაანთებენ. წივის
სუნით გაულენთილ მიწას, როგორც ამბობენ, ნადირი აღარ
ეკარება. ასეთი წესი იციან, უმთავრესად სადაც სასაფლაო
მთების სიახლოვეს და სოფლიდან დაშორებით არის. სასა-
ფლაო მეტისმეტად მოუვლელია, გაველურებული. მთელი
სპარსეთის ყანები წყლით ირწყვება, მაგრამ სასაფლა-
ოსათვის სპარსელი ერთ წვეთსაც არ იმეტებს. სასაფლაო
ეკალ-ბალახითაა მოცული და ცხოველთა ფეხით სათელად
გადაჭცეული. უხეიროდ დაყრილი ქვები, აგურები, ლო-
დები და მის გარშემო ველური ბალახი. ასეთ სანახაობას
წარმოადგენს სასაფლაოები. სასაფლაოზე არის ლომებისა
და სპილოების მზგავსი ქვის უშინოდ გათლილი ძეგლები
—რომელნიც გამოხატავენ მიცვალებულთა დიდ გვარი-
შვილობას და, ალბათ, მათ გმირობასაც. ამ ლომებისა
და სპილოების გვერდზე გამოკვეთილი აქვთ ხმლები, სპა-
რსული წარწერებით.

თ ა ვ ი მ ე ც ა მ ე ც ე

საერთო ყოფა-ცხოვრება. გვარების გამოცვლა. იადგილ-ლას განალი. ავადმყოფობა და უძირობა. შურდის დაჭედვა. მოშაირობა.

ამ უკანასკნელ დროს, ახალი კანონების შემოლების გამო, თანდათან ირლევა ქართველების კარჩაკეტილობაც. განსაკუთრებით დიდი არევ-დარევა შეიტანა მათ ყოფა-ცხოვრებაში ახალგაზრდობის ჯარში სავალდებულო გაწვევამ და, ამასთან დაკავშირებით, გვარების შემოლებამ.

მიუხედავად საერთო უკმაყოფილებისა, ჯარში გაწვევა მაინც გატარდა. ამან ბევრი ახალგაზრდა გამოიყვანა სოფლიდან და ქალაქის ცხოვრებას გააცნო. ახალგაზრდობისთვის ეს მიზანშეწონილი გამოდგა: უმეტესობა კმაყოფილი იყო თავისი ბედის. უკეთ ცხოვრობდენ, უკეთ ჩააცეს და დაახურეს. ამან გააღვიძა მათში ადამიანობის შეგნების სურვილი, და ზოგმა სოფელში დაბრუნება არც კი მოინდომა. ზოგმა თავისთავად მოინტომა ჯარში წასვლა. წავიდა კიდეც, რომ სოფლისთვის თავი დაეღწია. დღემდე თუ თითოროლა კაცი გამოდიოდა სოფლიდან და ისიც ძალდატანებით, ახლა ასობით მოყავთ და მიღიან თითონაც.

ამას მოყვა გვარების შემოლება. გვარს სპარსელი კაცი, საზოგადოთ, იშვიათად ატარებდა. ის მხოლოდ თავისი და მამის სახელით თავდებოდა და მეტი საჭიროც არ იყო. კაცს სახელმწიფოსთან თითქმის კავშირი არცეკი ჰქონდა. განსაკუთრებით გლეხს, რომელიც ბატონის ყმა იყო. ბატონის სასარგებლოდ მას ზღვიშებდენ მიწის ლალას, და ამისთვის სახელიც კმაორდა. მაგრამ დღეს გაევროპიელების გზაზე შემდგარ სპარსელს ძველი სპარსული კაბა აღარ გამოადგა და კოსტუმი ჩაიცვა. ამას კი-დევ ახალი გვარიც მიუმატა.

ქართველებში გვარის შემოლებამ არევ-დარევის ხასიათი მიიღო. ზემომარტყოფში ბევრი ჩაეწერა იოსელიანის გვარზე. აქ თავისი ცველი გვარი დავიწყებული ჰქონდათ. მატყული ხან ონიკაშვილმა თავისი გვარი უარყო და ას-ლანის გვარზე ჩაეწერა. ბოინელი პაპიაშვილები ჩაეწერენ თავაქოლის გვარზე. ამაზე ერთმა ჯარის კაცმა მუსტაფა პაპიაშვილმა მამას მისწერა — მე შენი შვილი აღარა ვარ. შენ თავაქოლი ხარ, მე პაპიაშვილი. შენთან რაღასთვის მოვიდევო. ამასთანვე ზოგიერთმა ქურთებშა განაცხადეს თურმე ქართულ გვარზე ჩავეწერებით და თუ როდისმე გაგვიჭირდა, „იქნებ საქართველომ გვიპატრონოსო“. მხოლოდ ქართველების მცირე ნაწილმა მოიგონა თავისი ძველი გვარი და ხელახლა ჩააწერინა. დიდი უმრავლესობა კი სპარსული გვარებით ჩაიწერა.

* * *

თვით უსასტიკეს სარწმუნოების დარგშიც კი ქართველებს არევ-დარევა შეეპარათ. ქართველებში თანდათან ფეხს იკიდებს ბაბის და ბაჟაულლას სექტანტური მოძღვრება, რომელიც საკმაოდ განირჩევა მუსულმანურ მოძღვრებისგან. რამდენიმე კაცშა აშკარად მითხრა — „ეს ახალია,

ლოცვა არუნდაო". როგორც ჩანს ბაბის მიმდევრები. სხვე-იც არიან, მაგრამ ახალი რწმენა ჯერ აშკარად ვერ გამოუთქვამთ. თვით ბაბიზმ-ბეჭაიზმი საშინელი არევ-და-რევაა სარწმუნოებისა და ლიბერალური მიდრეკილების.

სხვათა შორის, ქართველებში აღსანიშნავია ნადირობის წესი. ეს წესი დარჩენილია მათში იმავე სახით, როგორც იყო ჩვენში გასულ საუკუნეში და ზოგგან ახლაც შენახულა.

ნადირს, მთის ცხვარსა და ჯეირანს, ზვერავენ მთებში ჭოგრიტით. შემდეგ განთიადისას რამოდენიმე კაცი შემოადგებიან გარშემო და გაუავალ ადგილებში ჩაესაფრებიან. პირდაპირ ნადირის ასაგდებად გაუშვებენ რამდენიმე ბდევარს. ისინი დააფრთხობენ მათ და ამგვარად დაფეთებული ნადირი წააწყდება ჩასაფრებულ მონადირეს. ატყდება თოფების სროლა. შემდეგ მოაგროვებენ დახოცილებს, და შეუდგებიან იმის გამორკვევას, თუ ვისი მოკლულია. როდესაც გამოირკვევა, ნორცს ვაიყოფს ყველა მონაწილე, ზოლო ტყავი, თავი და ჯიგარი ეძლევა მომკვლელს. ნადირობენ მხოლოდ ზამთრობით. მაგრამ მაინც იშვიათად, რადგან ხშირად, დიდი თოვლის გამო, მთებში მოძრაობა შეუძლებელია.

* * *

უმოავრეს საჭიროებას წერა-კითხვის გარდა, მათვის შეადგენს საექიმო დახმარება. ხუთმეტ სოფელში ერთი ექიმი არა ყავთ. რაიონში ექიმი დადის ისტაპანიდან თვეში ერთხელ, რომელიც თითო სოფელში ერთი ან ორი-სამი დღე ჩერდება.

თუ მივიღოთ მხედველობაში რაიონის სიდიდეს და ავადმყოფობის სიხშირეს, ერთი კაცი, და ისიც ერთი რომელიმე სპეციალობის მცოდნე, ოდნავაც ვერ დაკმაყოფილებს მოთხოვნილებას.



სურ. 18. ბაბის მოძღვრების მიმდევარნი ქართველები

სხვა ავადმყოფობასთან ერთად, მეტად არის გავრცელებული თვალის ტკივილი (ტრახობა) და სიქაჩლე. იშვიათია ოჯახი, რომ თვალებ გაფუჭებული ან ქაჩალი არავინ იყოს. ეს საშინელი სენი მოდებულია არამარტო სახლებში. მისი უმთავრესი, ბუდე ქალაქებია, საღაც ჭუჭყიანს აუზებში იბანენ ხელპირს ყოველ ლოცვის დროს.

ქალაქის სიშორე თავისთავად იწვევს შინაურ ექიმობის გამრავლებას. ამიტომ ყოველი ავადმყოფი, უნდა თუ არა, ჯერ ოპიუმს ჩაყლაპავს, და თუ ამან ვერ უშველა, შინაურ „ექიმბაშებს“ მიმართავს. მაგრამ არა თუ უბრალო არამედ თვით ნამდვილი ექიმებიც კი ავადმყოფს ოპიუმი არჩენენ. მათის აზრით, ოპიუმის ნაჩვევ აღამიანს, მხოლოდ ოპიუმი მოარჩენს. სხვა, ნამდვილი წამალა, ავადმყოფზე თითქო სათანადოდ ველარც კი მოქმედებს.

* * *

ქურდობა ქართველებში და ბახტიარებში შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული. ქურდობას უმთავრესად მისდევენ ქურთები. ქართველების სიტყვით, ქურთი ისე სხვის ოჯახში არ შევა, რომ რაიმე არ მოიპაროს. მათ დასახასიათებლად, ყოლამ ჰუსეინ მიქელიშვილმა მიამზო შემდეგი:

„ჩვენთან ერთი ნაცნობი ქურთი მოვიდა ლამის გასათევად. პატივი ვეცით. ვახშამი ვაჭამეთ, მაგრამ ვიცოდით ქურდი იყო, არ დაგვინდობდა. ამიტომ ჩამოვართვით წინდაწინ ფიცი, რომ იმ ლამეს ჩვენს ოჯახში ქურდობას არ ჩაიდენდა. მაინც აღვითქვა: თქვენი „ყონალი“ ვარ და ფიცსაც არ გავტეხო. დავიძინეთ. მაგრამ ის დილით აღრე წასულიყო. დავათვალიერეთ — უნაგირი ალარსად იყო.

გამოუდექით უკან, დავიჭირეთ, უნაგირი წავართვით,
შევარცხვინეთ და თავისი ფიცი მოვაგონეთ:

— ყორანზე როგორ დაიფიცე, თუ სიტყვას
გასტეხდი? შევეკითხეთ და გვინდოდა ხელი ან ყუ-



სურ. 19 ფარაჯალა ს. ბოინიძან

რი მოგვეჭრა. მან თავი მოიკატუნა, პატიება
გვთხოვა და გვითხრა:

— რა გქნა, მართალია შემოგფიცეთ, მაგრამ, მე
რომ ჩემი ფიცი შევასრულო, ქურდობას გადავეჩვე-
ვი და სიმშილით მოვკვდებიო. როგორც იცით, ჩემი

ხელობა ეს არის. ამითი ვიზუნენ თავს და ოჯახსაც
აძით ვარჩენო.

სხვათა შორის, მიქელიშვილმა, თქვა, რომ ქურთებს
ქურდობისთვის სჭრიდენ ყურებს. ერთი მათგანი ვირის
ნალებით დავჭედეთ და ისე გავუშვითო. ბახტიარებთან
ბრძოლებში გამოჩენილ რაინდობას ახასიათებს შემდეგი
ანეგდოტი:

„ქართველი კაცი შეხვდა გზაში ბახტიარის ხანს.
სალიმი მისცა, ზრდილობიანად მოიკითხა, მაგრამ,
როგორც გაშორდა, გინებითა და ლანძღვით მოიხ-
სენია. გაკვირვებული ბახტიარი მობრუნდა, წინ
გადაუდგა ქართველს და შეეკითხა:

— კაცო, გამაგებიუ, რას ნიშნავდა შენი ისე
ზრდილობიანი მოსალმება, ან რათ ილანძღები
ეგრე უშვერად?

— ეგ იმიტომ, უპასუხა ქართველმა, არ იფიქრო
ქართველი უზრდელი იყოს. და გაგინებ იმიტომ,
რომ იცოდე შენი არ მეშინია.

— ო, თუ ეგრეა, მაშ „ყონალები“ ვიყოთო,
უთხრა ბახტიარმა და ამის შემდეგ დამეგობრდენ¹.

* * *

ოჯახური ზნეობა მტკიცედაა დაკული. მამაკაცი სა-
სტიჭად სჯის თავის ცოლს ღალატის გამო. ასეთი შემ-
თხვევა ზოგჯერ სიკუდილით სრულდება. მაგრამ თვით
დედაკაცი მამაკაცის წინააღმდეგ ვერავითარ ღონეს ვერ მი-
მართავს. ქალის მიმართ, შარიათის ძალით, ქმრის უფლე-

¹ ეს ანეგდოტი ამ გვარადვე აქვს ჩაწერილი ლადო ალ ნია-
შვილს.

აბა განუსაზღვრულია. ამ შემთხვევაში ქალი უძლურია
მიტომ იყო ერთმა ქალმა გულუბრყვილოდ მოგვმართა:
— „უთხარით ჩემ ქმარს, ნუ შეირთავს მეორე-ცოლს“.



სურ. 20. ს. იოსელიანი და მისი ნოქრები იადოლა და ქარიშა
მრავალცოლიანობა იმდენად ფეხგადგშულია აზიე-
ლის ფსიქოლოგიაში, რომ ახალი კანონი მას ჯერ ვერ
შეეხო.

ენის გარდა, როგორც სხვა ყველაფერი, ისე სიმღერა და ცეკვაც წმინდად სპარსული იციან, რაშიაც ქართულის ნასახიც არ შერჩენიათ.

წვრილმან ჩვეულებათა შორის, ყველაზე უფრო გავაკვირვა იადოლას მამალმა.

იადოლა სეიფოლას ნოქარია. გულუბრყვილო. დაუზარებელი და პატიოსანი. მან მოიწადინა ჩვენთვის განსაკუთრებით პატივი ეცა. რომ მეტად ესიამოვნებია, ერთ დილას გამოვვიცხადა:

— მე დღეს თქვენთვის ერთი ძეველი მამალი უნდა დავკლა და ჩემი ხელით გავაკეთო.

მან, მართლაც, ბევრი დევნის შემდეგ, დაიჭირა უშველებელ დეზებიანი წითელი მამალი. სპარსული წესის მიხედვით, ჯერ წყალი დაალევინა და შემდეგ დაკლა. რადგან გასაპუტავი ქათმის მღულარეში ჩაგდება ცოდვათ ითვლება, მან მამალი გაატყავა და შამფურზე წამოაგო, შედეგ შეწვა. სადილობის დროს მოიტანა დიდის ამბით. მამალი გაშავებული იყო და ისე გამხმარიყო, რომ ხორცი და ძვალი შეერთებულიყო.

ნასადილევს იადოლა შეგვეკითხა თუ როგორი იყო მისი ამლის „ქაბაბი“ როდესაც ძალიან. მოუწონეთ, სიხარულით გვითხრა:

— ერთი მამალი კიდევ მყავ, იმასაც დაგიკლავთო. ვენ ვთხოვეთ მეტი არ შეწუხებულიყო, რომ ასეთი კარი მამლის დაკვლა ცოდვაც იქნებოდა. ის მაინც თავისას, არ იშლიდა. და რომ წამოსვლა არ მოგვესწრო, ალბათ მეორე მამალსაც დაგვიკლავდა.

ქართველებს ორი მოლექსე — მოშაირე ჰყავთ. ორივე
სპარსულ ენაზე და სპარსული პოეზიის გავლენით წერს. ერ-
თმა სრულიად არ იცის წერა-კითხვა. როგორც ამბო-
ბენ, მას აქვს შაირობის ნიჭი, მაგრამ მისი ლექსები არ
იწერება და იკარგება. მეორე მელექსე სასულიერო პირია,
მაჰმად ჰუსეინ „ალაჰის“ ფსევდონიმით. მან სპარსუ-
ლი წერა-კითხვა საკმაოდ იცის. გვარიანად იცნობს სპარ-
სულ კლასიკურ პოეზიას. მაგრამ მას არა აქვს ლექსის კულ-
ტურა, ის წერს კლასიკოსების პირდაპირი გავლენით. მისი
ლექსები ჯერ არ დაბეჭდილა. თუმცა, უნდა ითქვას, სპარ-
სულად ამაზე უარესებიც ბევრი იბეჭდება. მან იცის
აგრეთვე ქართული წერა-კითხვაც, მაგრამ არ იცნობს
ქართულ ლიტერატურას და ამიტომაც ვერა წერს ქარ-
თულად. მან გადმომცა თავისი შეთხზული რამდენიმე
ლექსი დაწერილი სპარსულ ენაზე. ყველა ისინი საშუალო
ხარისხისაა. მხოლოდ შიჩარსით /იგივეა, რასაც თანამედ-
როვე ათეული და ასეული მგოსნები წერენ—ე.ი. გამეორება
ძველი მგოსნების რითმისა და ჰანგების, რომელიც თანა-
მედროვე მკითხველს ალარ იზიდავს. მაშასადამე, მათი
ლირებულებაც აქედან განიზომება. ყოველ შემთხვევაში
მაჰმად ჰუსეინ ალაჰი ერთად ერთი მგოსანია ქართვე-
ლების წრიდან გამოსული. ის, მართლაც, განიცდის ქარ-
თველების დაბეჩავებასა და ჩამორჩენას ეროვნული თვალ-
საზრისით. მას დაუწერია ერთი ლექსი, როელიც მომყავს
სანიშულოდ, თეთრი ლექსით:

მამულის შვილნო, ჩვენს მხარეში განათლებაში შემოაშუქა,
უქვირფასესი განძი ქვეყნად — სწავლა არის, ჩემო კეთილხო,
„სწავლა არის ცის ჰორიზონტზე რომ ანათებს ახლა მზესავით.
„მთის მწვერვალიდან მიიარულად რომ დაცქერის ირანის მიწას

„მაგრამ ვწუხვან მე აშას მეტად. და არ ვიცი თუ რატომ არის;
„რომ განათლება ისფაპანის ფერეიდანს არ ეკარება?
„სუყველას გული გატეხია, არც სული აქვთ; აღარც სიცოცხლე,
„არც არის ვინმე ამ უვიც ხალხში შეგნება რომ შეიტანოს,
„სწავლის გარეშე დარჩენილან განურჩევლად, სუყველა ერთად;
„სიბერიავისგან ყველა მათგანს ამ ცხოვრების გზა დაბნევია.
„მოგვხედე ჩვენ და დაგვიფარე უსასოო უგნურებისგან.
„ყველა დაეცა, ჰოი, ღმერთო, შეისმინე „ალლაპის“ ხვეჭნა.“

თ ა ვ ი მ ე თ ო თ ხ მ ე ც ი

სოფლების სახელშრდება, რაოდენობა და დაახლოებითი
აღრიცხვა.

ფერეიდანში მცხოვრებ ქართველების სტატისტიკური
აღწერა რეზა-შაჰის მთავრობის განკარგულებით 1929
წელს მოხდა. ეს ცნობები, ჩემს იქ ყოფნის დროს, არ იყო
გამოქვეყნებული. მე მხოლოდ ერთმა ნაცნობმა, რომელიც
მონაწილეობას იღებდა აღწერაში, მაცნობა სამიოდე სო-
ფლის მცხოვრებთა რაოდენობა — მავ. ზემო დაქვემდებარებულის,
ბოინის და ჯაყჯაყის. ეს ცნობები, ზეპირად შეკ-
რებილ ცნობებთან შედარებით, თითქმის ერთი და იგივე
იყო. ამიტომ ის ზეპირი ცნობები, რომელიც შევკრიბე
ქართველების დაკითხვით, უსათუოდ შეიცავს დაახლო-
ებით სიმართლეს. ეს ცნობები შემდეგია:

1. ქვეშომარტყოფი (სპარსულად — ახორე-ფაინ), უნდა
ძიეკუთვნოს გადაგვარების უკანასკნელ საფეხურზე მდგარ-
თა რიცხვს. ქართულს არავინ ლაპარაკობს, გარდა ორი-
რდე ღრმად მოხუცებული პირისა. ამ სოფელში ათას სუ-
ლამდე მცხოვრებია.

2. ზემომარტყოფი (ახორე-ბალა), ეს ყველაზე დიდი
სოფელია. და ითვლება ქართველების სოფლების ცენტრალ.
ამ სოფელში ქართველების გარდა, არიან ჩამოსახლებული

ჩარჩი სპარსელები 190 და გასპარსელებული ურიები 60 სულამდე. ყველამ ზეღმიწევნით იცის ქართული ლაპარაკი, ქართველებიდან ზოგს მაინც ვერ გაარჩევთ. საზოგადოდ, აქ ენა საუცხოვოდ არის დაცული. განსაკუთრებით ქარებმა და ბავშვებმა მხოლოდ ქართული ენა იციან. — დაბლოებით 3000 მცხოვრებია.

3. ჩუღურეთი (ჩუღრუჟთი). ოცდაათი წლის წინად, ზიღლი სულთანმა მიჰყიდა ბახტიარის ხანს. ამ სოფლის ერთი მეხუთედი ეკუთვნის ქართველებს, დანარჩენი ბახტიარებია. მცხოვრებთა საერთო რიცხვი 650 სული. მარტო ქართველების რცხვი — დაახლოებით უდრის 130 სულს.

4. ვაშლოვანი (სიბაქი) ქართული კარგად იციან — 1800 სული.

5. ჯაყჯაყი. ქართული კარგად იციან. — 750 სული.

6. ნინოწმინდა. (ჭუდგუნაქი). ქართულს ივიწყებენ. — 400 სული.

7. დაშქესანი. ქართული იციან — სპარსულის შერევით — 400 სული.

8. ბოინი. ქართული კარგად იციან. — 1100 სული.

9. თოლელი (თელავი) დობბე ქამარი. ოცი წლის წინად შეუსყიდია თურქს. ქართულს ივიწყებენ — 1200 სული.

10. აფუსი, — რუისპირი. ქართულს ივიწყებენ — 1300 სული.

11. ახჩა. შაჰს მიუყიდნია ბახტიარისთვის, ამჟამად მესამედი ეკუთვნის ქართველებს — 2300 სული.

12. შაფსოფელი (შაურდი). ქართულს ივიწყებენ — 600 სული.

13. დარბენდი — ბახტიარების სოფელია. ქართველი 40 სული.

14. სარდაბი ბახტიარების სოფელია. ქართველები 40 სული.

15. ბადიგანი „ „ „ „ ქართველები 25 სული.

ამ ანგარიშის მიხედვით, მთელი ჯამი მცხოვრებლებისა უდრის 12.545 სულს. აქედან უნდა გამოვაკლოთ ვარაუდით 20% , რომლებმაც ქართული აღარ იციან. ქართულად მოლაპარაკეთა რიცხვი განისაზღვრება — ათიათასი სულით, რომლებსაც კიდევ შეუნარჩუნებია ქართული ენა.

ქართველების ნაშთები არიან დაგრეთვე ბახტიარებისა და ქურთების სოფლებში, მათ დედაენა შეუნახიათ, მაგრამ ისინა ისე დაშორებული არიან ქართველების უბანს, რომ მათთან ორგანული კავშირი აღარა აქვთ. ასე გარიშულ ქართველების შესახებ შიამბო ერთი პატარა ეპიზოდი ქართველმა ჯარისკაცმა მუსტაფა პაპიაშვილმა:

„წავედით ყაჩილების დასაჭერად. ქურთის ჟრთ სოფელში დავბინავდით. ჩვენ, ორი ქართველი, ერთს ოჯახში შევედით ლამის გასათევად. დალლილები ვიყავით. წამოვწექით, მაგრამ გვშიოდა. ძილი არ მოგვეკიდა. ცოტა ხნის შემდეგ, ქალებმა დაიწყეს ლაპარაკი ჩვენს შესახებ:

— „ახლა ამათ საჭმელი არ ჩავახეთქოთ?..

— თვალებიც დავსებიათ და სიმშილითაც ამოწყვეტილან. მაგათი დარღი მაქვს.. უპასუხა მეორემ.

ჩვენ ჯერ გავიტრუნეთ. მაგრამ შემდეგ ვიტიქრეთ აქ კეტიარ დაგვცხონ თავში - თქო. გამოვეხმაურეთ:

„რას იწყევლები, ჯერ ხომ არასა გთხოვთ.“?. ეს რომ გაიგეს დაიწყეს თავში ცემა:

— „ვაი ჩვენს თვალებს, ეს ვინ ყოფილხართ, ჩვენ კი ბახტიარები გვეგონეთო.“ შემდეგ, სანაბ არ წამოვედით, სულ იქ ვიყავით და დიდი პატივი გვცესო.

ასეთი შემთხვევები გვიჩვენებენ, რომ ქართველები გამ-
ნეული არიან მთელს ფერეიდანში, მხოლოდ საკვირველია,
რომ ერთეულებშიც შიგა და შიგ შენახულა ენა. ეს კი
გვიჩვენებს, რომ ფერეიდნელი ქართველების შესახებ ჯერ
ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით. ამ საიკთხის შესწავლა მომავ-
ლის საქმეა.

ფერეიდნელი ქართველების რაოდენობის შესახებ თა-
ვიდანვე სხვადასხვა გვარი ცნობაა გადმოცემული. ეს ცნო-
ბები ერთიმეორეს არ ეთანხმება. არეულია, და როგორც
ეტყობა, დავიწყებული, ზოგიერთი სოფლების სახელებიც.
აქვე მოვიყვან ცნობებს. ვისგან როგორი ცნობა გვაქს
მიღებული:

1871 წ. ათამ ონიკაშვილის გადმოცემით, (რომელიც
პირველად მოვიდა თეჰერანიდან ტფილისში ვინმე ინგლი-
სელის რჩევითა და დახმარებით, და რომელიც უკან აღარ
დაბრუნებულა), შემდეგია:

1. მარტყოფი — 1200 კომლი. 2. აფუსი — 800 კომლი.
3. თელავი (თოლერი) — 900 კომლი. 4. დაშქესანი 500 კმ.
5. ახჩა — 50 კმ. 6. ბოინი — 60 კმ. 7. მელაანი — 50 კმ. 8. მუკუ-
ზანი — 100 კომ. 9. მაჩხაანი — 200 კომლი. 10. ჭემოაკუ-
რა — 30 კომ. 11. ქვემოაკურა — 200 კომლი. სულ 11 სოფელი.
დაახლოვებით 20 000 სული.

გილიანში, ზღვისკენ, თავრიზ -თეჰერანის მხრივ:

1. პატარძეული — 30 კმ. 2. ლილო — 40 კმ. 3. ნორიო — 30
კომლი. სულ სამი სოფელი დაახლოებით 500 სული.

1894 წელში ლ. ალნიაშვილის გადმოცემით, რომე-
ლშაც საგანგებოდ მოიარა ფერეიდანი და ცნობები შე-
კრიბა აღვილობრივ:

1. შანათი — 100 კომლი. 2. თოლელი — 220 კომ 3. ბოინი
200 კმ. 4. დაშქესანი — 100 კმ. 5. აფუსი — 260 კომ. 6. ახჩა —
160 კომ. 7. შაურდი — 150 კმ. 8. ჯაყჯაყი — 100 კმ. 9. სიბაქი —
140 კომ. 10. ჩულრუთი — 40 კმ. 11. ჭ. მარტყოფი — 700 კმ.

12. ქ. მარტყოფი — 150 კმ. 13. დედესური — 60 კმ. 14. ნინო-
წმინდა — 80 კმ.

სულ 14 სოფელი — 2460 კომლი. დაახლოებით 12300
სული.

1. ზ. ჭიჭინაძის ცნობით ათამ ონიკაშვილი გადაცვლილა გარე-
კახეთში.

1922 წელს, სეიფოლა იოსელიანის გადმოცემით,
რომელმაც დაჰყო ტფილისში წელიწადნახევარი:

1. ზემო, მარტყოფი
2. ქვემო მარტყოფი
3. თელავი
4. ბო-
ინი.
5. აფუსი.
6. ჩუღურეთი.
7. სიბაქი.
8. ჯაყჯაყი.
9. დაშ-
ქესანი
10. ნინოწმინდა — 11 ახჩა.
12. შავურდი
13. ადაგოლი.
14. ბადიგანი — სულ 14 სოფელი — 30/32 ათასი სული.

1907 წ. ტფილისში ჩამოსულ ხუციშვილისა და ონიკა-
შვილის გადმოცემით:

1. ჯაყჯაყი — 200 კომლი
2. სიბაქი (ვაშლოვანი) — 250 კმ.
3. ჩუღურეთი — 200 კმ.
4. ქ. მარტყოფი — 1200 კმ.
5. ქ. მარ-
ტყოფი — 200 კმ.
6. დედესური — 150 კმ.
7. ნინოწმინდა —
200 კმ.
8. შეშქანი — 150 კმ.
9. დაშქესანი — 250 კომ.
10. აფუსი (რუსპირი) — 700 კმ.
11. თელავი — 600 კმ.
12. ბოინი — 800 კმ.
13. შაურდი 200 კომ.
13. სოფელი — 25 500 სული.

როგორც აქ მოყვანილი ციფრებიდან ჩანს, ათამ ონი-
კაშვილმა, ხუციშვილმა და სეიფოლა იოსელიანმა არც
ერთმა არ იცის სისწორით ფერეიდნელი სოფლების სა-
ხელები და მცხოვრებთა რაოდენობა. მათ, როგორც სო-
ფლების, ისე მცხოვრებთა რიცხვი ორჯერ გაუზვიადებიათ.
ათამ ონიკაშვილს სოფლის სახელებიც კი აურევია. მას
მოხსენებული აქვს ერთი მარტყოფი და ამავე დროს ასა-
ხელებს „ქვემო და ზემო აკურას.“ ეს „აკურა“ გადამახინ-
ჯებულია და, შესაძლოა, ბეჭდვის დროს დაუშვეს ეს შეც-
დომა. ნამდვილად კი „აკურა“ ახორაა — იგივე მარტყოფი.
ა. ონიკაშვილს არა აქვს აგრეთვე მოხსენებული ისეთი
დიდი და ნამდვილი ქართული სოფლები, როგორიცაა

ჯაყუჯაყი, ნინოწმინდა და სიბაქი. სამაგიეროდ, მას აქვს სრულიად სხვა სახელები -- მელაანი, მუკუზანი და მაჩხაანი, რომლებიც არც აღნიაშვილსა აქვს მოხსენებული, და არც სხვებს უხსენებიათ შემდგომ.

ფერეიდნელი ქართველების ყოფა-ცხოვრების კარგი მცოდნე ამჟამად უსათუოდ სეიფოლა იოსელიანია. ის არის დღეს მათი მეთაური.

არის კიდევ მეორე კარგი მცოდნე ფერეიდანის სოფლებისა, ჯარისკაცი მუსტაფა პაპიაშვილი, ბოინდან, რომელმაც შეადგინა ქართული სოფლების რუქა: მაგრამ ვერც მან დაასახელა ის სოფლები; რომელნიც ონიკაშვილის გადმოცემით ყოფილა წინად.

მხოლოდ ლადო აღნიაშვილის ცნობები უახლოვდება ჩვენს უკანასკნელ ცნობებს. მართალია, მას მცხოვრებთა რიცხვი მეტი რაოდენობით აქვს მოხსენებული. მაგრამ ეს იმიტომ, ალბათ, რომ მას არ გამოუქალია ის გასპარსებული ქართველები და ოვით ნამდვილი სპარსელები, რომლებიც ქართველების სოფლებში ცხოვრობენ, მაგრამ გადაგვარებულთა რიცხვს ეკუთვნიან. ამასთანავე უნდა ჭითოქტორთ, რომ იმ ხნის განმავლობაში ე. ი. 1894-წლიდან აქამდე ქართველების რიცხვი უსათუოდ შემცირდებოდა, რადგან ის უკვე შემდგარია გადაგვარების გზაზე.

ზოგიერთ ფერებიდაული სიტყვის შედარება ქართულთან

ფერებიდნული ენის თავისებურებათა შესახებ საკმაო გამოკლევა აქვს პრ. ა. შანიძეს სეიფოლა იოსელიანის ნაამბობიდან.

მე მაინც მოვიყვან აქ შესაღარებლად რამდენიმე სიტყვებს იმ სახით, როგორც მას გამოთქვამენ ადგილობრივ:

მოზობელი — მეზობელი.

იშულლეს — იჩხუბეს.

ქუები — ქვები.

თქეს — თქვეს.

თქენი — თქვენი.

ქართველებისყე — ქართველებისკენ.

” — ქართველებისგან.

” — ქართველებთან.

რაგდენი — რამდენი.

გერივაც — კიდევაც, ხომ, შემდეგ.

უწყერით — გაუწყერით, შეუტიეთ,

ვეცით — ვცემეთ.

ბატაი, ბატატა — პატარა, ცოტა.

ჩონ — ჩვენ.

დოგვიგეს — დაგვიგეს.

ცრინტება — ცხვირის დაცემინება.

^{1.} გერივაც სპარსულადაა. ამ სიტყვას ხმარობს მხოლოდ ს. იოსელიანი

უშეტა — გაულეტი.
ცხვირსაწური — ცხვირსახოცი.
საბუხარი — ხელთათმანი.
იმისყე — იმისგან, იმისკენ.
ვისყე — ვისგან, ვისკენ.
შენყე — შენგან, შენსკენ, შენით.
ზალი — რძალი.
განაყარი — განაყოფი.
დავ — დაო.
რაისთი — რისთვის, რატომ.
შუშპრობა — ცეკვა — თამაში, აშიყობა.
ყოფი — ბაყაყი.
ქობი — ქვაბი.
სამარველი — სამარე.
გაიმტვრა — გაიქცა.
გაბუება — გაბუტვა.
პირზე არ მომდის — მრცხვენია.
პირზე არ მომიგიდა — შემრცხვა.
ქეშ — ქვეშ.
ყოფილი — ყვავილი.
დიდი სოფელი — ქალაქი.
გარსკულავი — ვარსკვლავი.
თორე — მთვარე.
ღურბელი — ღრუბელი.
წიმა — წვიმა.
ღინო — ღვინო.
არ გამომიგა — არ შემიძლია, ვერ ვიზაშ.
ხოლ — ხვალ.
ყოფები — ყვავები.
თოლი — თვალი.

ცხირი — ცხვირი.

ტინი — ტვინი.

ყროი¹ — გოგი, პატარა ქალა.

სხოს — სხვაა.

ქომოთ — ქვემოთ.

ჩონ გოჭ — ჩვენ გვაქვს.

შაიქნა — შეიქნა.

შაიქნების — შეიქნება.

სახლჩი — სახლში.

რა-თქო — რა-თქვა.

მაიტანა — მოიტანა.

ქონიერი — მდიდარი.

წაზიდე — წახვიდე.

ხარაზე — მხარეზე.

გულეთაყე — გაუკეთათ.

ექით — იქით. თუ რიგებში — (ცხენ) ცხე იქით

ძრიალ — ძალიან ცოდნა — ცოდნამცემი ცოდნა

ჩონთი — ჩვენთვის რცლენტერც როცე იუიძღვი

არ დაგოცალა — არ დაგვაცალა და იუმც ცხით

მუელით — მოველით ცოდნული იურგ იუ იუიციცი

მიცცა — მისცინ ირ ფრენით თამცოდა მისინთ

იტყის — იტყვის იშნ ფრენი მიოცენან ჩოცმ

ლონება — შეწუხება იშნ იშნ ფრენცოდება

ნამახთ — ლამაზად კარგად. იშნ ფრენცოდება აუთე

მოგუცა — მოგვცა მო ხორ ქაბულით ცხაონ ნი აუცცე

დილობას — დილით არცოცდა ირცცოდა ირცცოდა ირცცოდა

შამუგიდა — შემღვიდა. არცოცდა მინცცა ძეჭი იძ

თქმულებას ვითომ ერთ ქაცს რამდენიშვი ქალი ყავდა. ერთხელ ყველა

გარს შემოსვეოდა ძირს დამჯდარ მახას ამ ზოოს ჰილაცას დაეხახა;

— კაცო, ეს სოა ყორე შემოგრვლია ქაჩაო. აშის შემდეგ ეჭორა

გოგოს — „ყორი“.

დავლივე — დავლიე.

ცხორი — ცხვარი

კიცი — კვიცი.

შენ დახვოც — შენ დახოცავ.

წერ-ულოში — წვერ-ულვაში.

ბოგრი ჰყავყე — ბევრი ჰყავთ.

შესხდა — შეჯდა.

გზაჩი — გზაში, გზაზე.

გეეშელა — მიეშველა.

ჩონ გუნდოდა — ჩვენ გვინდოდა.

პირუტყები გყოვ — პირუტყები გვყავს.

ნამავ დაგოტყუფლა — კარგად, მოგვატყუილა.

მოიდა სახლჩი — მოვიდა სახლში.

ჩონამდე არ მოსწდების — ჩვენამდე არ მოსწვდება.

ყელას ჟავყე — ყველას ჰყავთ.

ბეური აყე (აქვე) — ბევრი აქვთ.

ყელას გებნებითყე — ყველას ვეუბნებით.

დაგსილი გართ. უბედურები ვართ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვები მეტ წილად შეკვეცილი და გადასხვაფერებულია სპარსული ენის პირდაპირი გავლენით. რამდენად მეტი მცოდნე იყო ფერეიდნელი სპარსულის, იმდენად მისი ლაპარაკის კილო განსხვავდებოდა იმის ლაპარაკიდან, ვინც მარტო ქართული იცოდა. მაგალითად, ქალების ლაპარაკი თითქმის აღარ ტოვებდა იმ შთაბეჭდილებას, რომ ისინი ფერეიდნელები არიან და არა ჩერებური მთიელები. მაგრამ მათზე დიდი გავლენა აქვს კაცების ლაპარაკს, რომელიც უფრო სწორად მიაჩინდათ. ამიტომ ისინიც ხშირად ბაძვენ მამაკაცებს. ამგვარად ლრმავდება გადაგვარების პროცესი. სეიფოლა თასელიანიკ თითქმის ყოველ ქართულ სიტყვას სპარსულ სიტყვის მიმოხვრაზე ამყარებს.

სპარსელი სომხები

I

სპარსელ სომხებს დიდი ისტორიული წარსული აქვთ. ისინი ამჟამად სპარსეთში შესამჩნევ კულტურულ ძალას წარმოადგენენ. მათ სპარსეთის ყველა სავაჭრო ცენტრებში შეხვდებით. ისინი თავისუფლად ლაპარაკობენ როგორც დედაენაზე, აგრეთვე სპარსულად, რუსულად, თათრულად და თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. მათ ყველგან აქვთ საკუთარი უბანი, საკუთარი საბაზრო კუთხე, სკოლა, კლუბი, ეკლესია და თითქმის ყველაფერი, რაც კი მათ ეროვნულ თავისებურებას შეადგენს. თეჰერანსა და ისტაკანში მსახიობ-მომღერალთა დასები და კარგად მოწყობილი სცენაც აქვთ. მათ წარმოდგენებს, სომხების გარდა, სხვა ეროვნების წარმომადგენლები და თვით სპარსელებიც ესწრებიან.

ამ ათიოდე წლის წინათ, როდესაც სპარსეთში, ძველი რეჟიმის დროს, თეატრალური წარმოდგენები იშვიათი მოვლენა იყო, სომხებმა მოწინავე როლი ითამაშეს. მხოლოდ ისინი მართავდენ წარწოდგენებს და, როგორც სპარსული ენის მცოდნები, თვით სპარსულ წარმოდგენებსაც დგამდენ. სომხის მსახიობი ქალები სპარსელ მსახიობებთანაც ხშირად იღებდენ მონაწილეობას, რაღაც იმ დროს სპარსელ ქალს სცენაზე გამოსვლის ნება არ ჰქონდა, და ხშირად ქალის როლს ვაჟები ასრულებდენ.

სპარსეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურს ცხოვრებაშიაც სომხები დიდ როლს თამაშობდენ. სომხებიდან იყვნენ და ორიან ხელაც ბანკირები, დიდი კომერსანტები, სამხედრო პირები, ხელოსნები, შიწის მუშები. მათში პოლიტიკური პარტიებიც არიან.

რასაკვირველია, უდიდეს ძალას დაშნაკები წარმოადგენენ. მათ შორის ბევრია საბჭოთა კავშირიდან გაქცეული ემიგრანტები. არიან აგრეთვე კომუნისტებიც. 1908/9 წლების რევოლუციებში, მამედ ალი შავის ჩამოგდების დროს დიდი ზღაბარება გაუწიეს სპარსეთის რევოლუციონერებს. სათარ ხანის და ბალირ ხანის რაზმებს ისინი ეხმარებოდენ, როგორც გამოცდილი ტერორისტები, რამაც გააღვილა. შავის დამარცხება და მეჯლისის დაარსება¹.

ამგვარად, სომეხი სპარსეთის ნამდვილი მოქალაქეა. ის იბრძვის ყოველ დარგში ცხოვრების წინ წასაწევად და ალაგალაგ მოწინავის როლსაც ასრულებს.

ისინი ბევრი არიან თავრიზსა და თეჰერანში. 1925 წელს თეჰერანში აღგილობრივ მცხოვრებთა რიცხვი, მცოდნე პირთა გადმოცემით, ექვსიათას სულამდე იყო. მათ აქვთ ძველ ქალაქში სავაჭრო კუთხე, რომელსაც სომხის ბაზარი ეწოდება. აქვთ აგრეთვე სხვადასხვა კულტურული დაწესებულება. სომხები არიან თავრიზშიაც. მაგრამ სომხის მოსახლეობის უმრავლესობა ქ. ისფაპანსა და მის რაიონში—ფერეიდანშია. ისტორიული გადმოცემით, სომხების ამ მხარეში გადმოსახლება მომხდარა შავაბას I მიერ XVI საუკუნის პოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში:

ა. ა ტ ა ი ა ნ ი ს მიერ ისფაპანის საკონსულოში წაკითხულ მოხსენების თანხმად, სომხების ემიგრაცია კავკასიიდან სპარსეთში დაწყებულა მეთექვსმეტე საუკუნეში, ხოლო უმაღლეს წერტილამდე მიუღწევია XVII საუკუნის დასაწყისში. ძლევამოსილ შავაბასის 1602 წ., ოსმალეთთან ომის დროს, გადაუსახლებია სპარსეთში 200 ათასი სომეხი ეს უამრავი ჯარი დაუსახლებია სხვადასხვა რაიონებში, და უმთავრესად კი თავის სატახტო ქალაქ ისფაპანის მახლობლად.

1. ამ რევოლუციაში, სხვათა შორის, კავკასიელი ქართველებიც იღებდენ მონაწილეობას.

ჭადასახლებულთაგან ნაწილი 1603 წელს ქაშანის რაიონში დასახლებულა, ხოლო უმრავლესობა 1605 წელს დასახლებულა ქ. ისტაკანის ნახლობლად, მდინარე ზაიანდერულის მარჯვენა ნაპირზე, სადაც დაუარსებიათ „ახალი ჯულფა.““ მათი საერთო რიცხვი ყოფილა 70 ათას სულამდე.

შაპაბასს მიუკია მათთვის სარწმუნოების თავისუფლება და ოცლიდა მათ „შინაურ საპატიო სტუმრებად“ შაპი ეხმარებოდა მათ ეკლესიების აგებაში. მან თურმე გადაწყვიტა ეჩმიაძინის სობოროს დანგრევა და მისი მასალის გადატანა „ახალი ჯულფაში,“ ახალი სობოროს ასაწენებლად. მან გადაატანია 15 ქვა, რომლებიც ინახებოდა 7 წლის განმავლობაში მუსულმანების სოფელ ბატუნში. მაგრამ სანამ ეს ქვებისაფუძვლად დაედებოდენ ახალ სობოროს, დადგა მოუსავლიანი წლები, დაიწყო სიმშილობა. ფანატიკოსმა მუსულმანებმა ეს სტიქიური ტბედურება ამ 15 ქვას დააბრალეს. მათ მოთხოვეს შაპს მოეშორებიათ ეს ცოდვილიანი ქვები, ქვები გადაიტანეს „ახალი ჯულფის“ ეკლესიაში, ხოლო იქიდან 24 წლის შემდეგ ისევ ფარულად გადატანილ იქნა სომხების მიერუკანვე, ეჩმიაძინში.

„ახალი ჯულფის“ გარდა, სომხები ჭადასახლებულან ჩაპარმაპალის“ ე. ი. ლურების და ბახტიარების რაიონში. ხოლო ნაწილი გადასულა ისტაკანიდან სამხრეთ დასავლეთით — ფერეიდანში. აქ ისინი ცხოვრობენ დღესაც. უმთავრესად მისდევენ მიწის მუშაობას.

ა. ატაიანის მიერვე დასახელებული სტატისტიკური ცნობებით 1920 წელში სომხების შოსახლეობა იყო:

ჩაპარმაპალის, რაიონში. — 14 სოფელი — 3485 სული.

ფერეიდანში — 29 სოფელი — 12770 სული.

ბურვარში — 20 სოფელი — 4242 სული.

ქიამარაში — 11 სოფელი — 2708 სული.

გიაფლაში — 12 სოფელი — 2336 სული.

ქიაზაში — 12 სოფელი — 2336 სული.

გარაგანში — 7 სოფელი — 2000 სული.

„ახალ ჯულფაში“ — 3109 სული.

აგრეთვე თეჭერანში, ჰამაღანში, ყაზვინში, გილიანში, და სხვაგან 7500, სულ კი 41386 სული..

1926 წლიდან კი, მცოდნე პირთა გადმოცემით, მთელს სპარსეთში სომეხთა რიცხვი მიაღწევდა 60 ათას სულამდე

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ სპარსელი სომხების დღევანდელი ცხოვრება, მათი ეროვნული თავისებურების დაცვის უნარი, მოვიყვან წარსული ისტორიის პატარა ნიმუშებს.

თუ სავსებით ვერწმუნებით ისტორიას, შავი თითქოს პირველ ხანებში ლმობიერად ეპყრობოდა სომხებს. მაგრამ სპარსეთის შავები, მიუხედავად თავიანთი ძლიერებისა, არასოდეს არ ყოფილან თავის ერის დამოუკიდებელი მმართველები. მათ წინ ულობებოდათ სასულიერო წოდება, ეროვნული შულუით და სარწმუნოებრივი შხამით მოწამლული. შავმა თურმე, სიმშილობის დროს, სომხებს პური ასესხათ. სომხებმა სესხი თავის დროზე ვერ გადაიხადეს. ამავე დროს, შავმა კიდევ ასესხა მათ რვაასი თუმანი მხოლოდ იმ პირობით, რომ თუ თავის დროზე ვერ გადაიხდიდენ, მიელოთ მუსულმანობა, ან თავიანთი შვილები მიეყიდნათ: გაფი რვა, მანეთად, ქალი + ექვსად. სომხებმა ვერც ეს ვალი გადაიხადეს. ამით ისარგებლეს მოლებმა, შავი გადაიბირეს, გააბოროტეს. სომხებს დევნა და წამება დაუწყეს. ვალის გადახდა აუცილებელი იყო. სომხებმა სარწმუნოების გამოცვლას შვილების გაყიდვა არჩიეს. მაგრამ ამაზე შავი აღარ დათანხმდა, ამის შედეგი კი იყო, რომ ძალად ათას კაცამდე ვაამუსულმანეს.

1620 წელს ასეთივე დევნა და რბევა დაუწყეს ფერე-იდნელ სომხებს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ფულის გადახდით გათავდა.

ასეთივე სისასტიკით ეპურობოდა სომხებს შაჰაბას მეორე. მან, სხვათა შორის, აუკრძალა სომხებს ქ. ისტაჰანში ცხოვრება, როგორც არაწმინდა სარწმუნოების მიმდევრებს, რომლებსაც ვერ ითმენდენ ფანატიკოსი მუსულმანები.

ყველაზე მეტი უბედურება დაატეხა სომხებს შაჰ სულ-თან ჰუსეინმა. 1694 — 1722 ყველა არამუსულმანს, რომ ძალად გაემაჰმადიანებია, მათ შორის, ყველაზე მეტად სომხებს; გამოცა ბრძანება, რომ ჩაეცვათ გადაბრუნებული ტანისამოსი, სარჩულით გარედან და ქუდიც გადაბრუნებული დაეხურათ. ზურგზე უნდა დაეკერებიათ ძველი ნოეს ნაგლეჯი, რომ მათი ვინაობა აღვილი გასარჩევი ყოფილიყო „მართლმორწმუნე“ მუსულმანთაგან. სოშეხს ნება არ ჰქონდა ცხენზე შემჯდარი შესულიყო ქალაქში. ის ქალაქის კარებთან მივიღოდა თუ არა, უნდა ჩამომხტარიყო და წინ გაძლოლოდა. აგრეთვე არამუსულმანს არ შეეძლო ბაზარში გავლა ავდრიანს დღეებში, რადგან მუსულმანების აზრით, სველი ტანისამოსით აღვილად გაუწმინდურებდა სხვებს.

„მართლმორწმუნე“, ვისაც ჩააქვავებდა, ასეთი „დამნაშავე“ კანონის წინაშე პასუხს არ აგებდა. ჭირიანობის დროს, ქუჩაში დახოცილების აკრება და დამარხვა სომხების მოვალეობას შეადგენდა. შაჰმა შემოილო აგრეთვე სომხების „სიმბოლიური“ მონათვლა. გარდაცვალებულის საფლავის ქვას ცალ კუთხეს ჩამოატეხდენ ნიშნად იმისა, რომ ის უკვე გამაჰმადიანებული იყო. ასეთი ყურმოტეხილი საფლავის ქვები დღემდე დარჩენილან.

შაჰ სულთანმა ჰუსეინის თვითნებობას ბოლო მოეღო ავლანელების შემოსევის დროს. ხოლო თვით ავლანელებმა

სასტიკად დასაჯეს სომხები. 1722 წ. ისფაჰანის აღების, დროს სომხებს 70 ათასი თუმანი გაადახდევინეს და ამას-თანავე 50 ახალგაზრდა ქალი მოთხოვეს¹.

1736 წლიდან, ნადირ შაპის გამეფების შემდეგ, სომხებს კიდევ უარესი დღე დაადგათ. ნადირმა დიდძალი ხარჯი დაადო მათ. სომხებმა გადახდა ველარ შეიძლეს და, რომ სიცოცხლე მაინც შეენარჩუნებიათ, გაიქცენ, გაიხიზნენ. ახალი ჯულფა დაცარიელდა. „ჯულფაში აღარავინ დარჩა ისეთი, რომელსაც შეეძლოს თავისივე მიცვალებული დამარხოსო.“ ნადირშაპი მოჰკლეს. ცხოვრების პირობები ოდნავ შეიცვალა. მაგრამ 1756-7 წლების სიმშილობის დროს აუარებელი სომები გაწყდა. ჯულფაში მხოლოდ 1667 სულილა დარჩა. უპატრონოდ მიტოვებული. სახლები დაინგრა, გავერანდა.

შემდეგ მოლების პროვოკაციის გავლენითვე ქერიმ ხან-ზენდიმ მოაწყო სომხების დარბევა. ქერიმ ხანის სიკვდილის შემდეგ, ჯულფა დაურბევია ქართველ ჯარისკაცებს. ა. ატაიანი არ გვიჩვენებს, თუ რომელი ქართული ჯარი იყო ადგილობრივ-გადასახლებულთაგანი თუ კავკასიიდან წა-სული. ორივე შემთხვევაში შესაძლოა ეს ფაქტი მართალი იყოს, რადგან ქართველ ჯარისკაცებს, ალბათ, იქ თავის პროვოკატორიც ეყოლებოდათ.

ფერეიდნელი სომხები ისე, როგორც იქაური ქართველობა, თავიდანავე განიცდიდენ ბახტიარ-ქურთების მომთაბარე, მოხეტიალე ყაჩალების და ნახევრად ყაჩალების თავდასხმებს.

ასეთი თავდასხმები არ შეწყვეტილა ამ უკანასკნელ წლებამდე. მხოლოდ ამ ბოლო ხანებში რეზა შაპის ცენტრა-

¹ სარგის ასაბაძის „ისტორია“, გამოც. 1922 წ.

ლურმა მთავრობამ შეამცირა თავდასხმები. რეზა-შაჰმა ბევრი მათგანი განაიარალა.

თვ.ით ფერეიდნელ ქართველების სიტყვიდან ვიცი, რომ მოხეტიალე, ყაჩალთა ბრძო, შეიარაღებული მოადგებოდა მათ სოფლებს და, თუ ვინიცობაა აქ ვერას გახდებოდა, მოლაპარაკებას გამართავდა: თქვენ არას გერჩით, ოღონდ გაგვიშვით სომხების სოფლებს დავარბევთო. სომხების სოფლები ძალიან დიდ მანძილზეა გაფანტული.

„ახალ ჯულფაში“, საღაც ოდესლაც 70,000 სული დასახლებულა, დღეს მხოლოდ 3500 — სული ცხოვრობს. „ახალი ჯულფა“ წარმოადგენს პატარა დაბას. ის თავის აღანაგობით არაფრით განსხვავდება ქალაქ ისტაჭანისაგან.

უმთავრესი ქუჩის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულია სა-ვაჭრო დუქნები, საღაც იშოვება თითქმის ყოველგვარი საქონელი, რაც ესაჭიროება თანამედროვე კულტურულ აღამიანს. ჯულფა ისტაჭანის მცხოვრებთათვის კულტუ-რულ კუთხეს წარმოადგენს. თეატრი, კინო, მუსიკალური საღამოები, წარმოდგენები აქ ხშირად იმართება.

სახლებს, სპარსეთის ჩვეულების მიხედვით, წინა მალა-ლი კედლები აქვს გავლებული. ქუჩები, საზოგადოდ, მე-ტად ვიწროა, მოკლე, მიხვეულ-მოხვეული. ქალაქს შუაზე ჩაუდის სარწყავი წყლის არხი, რომლითაც რწყავენ თავი-ანთ ვენახებს, ბოსტნებს, ეზოებსა და ბაღებს.

ყოველ მცხოვრებს აქვს საკუთარ ეზოში სასმელი წყლის ჭა. თითქმის ყოველი ჯულფელი სომეხი, თუნდ ხელოსა-ნიც იყოს, ამავე დროს ვაჭრობასაც ეწევა. მარტოკა ხე-ლოსნობა და მოხელეობა ნაკლებად იზიდავს ჯულფელს. ზოგი მათგანი მიწის მუშაობასაც მისდევს — აშენებენ ვენა-ხებს, მუყავთ პური, ხილი, ბოსტნეული. მოწეულ ხილს და ბოსტნეულს თითონვე ყიდის საკუთარ დუქანშია ან გააჭვს ბაზარში. ყველაზე უფრო ჭისდევენ მელვინეობას,

პრიმიტიული წესით. ჯულფის ღვინო, უმთავრესად ტკბილი, განთქმულია მთელს სპარსეთში. აქ აჭკნობენ ყურძენს საგანგებოდ, შემდეგ წურავენ, ყრიან ჩანში და ადულებენ, ამგვარად დაყენებული ღვინო იმდენად ტკბილია, რომ ხშირად შემოდგომიდან გაზაფხულამდე უნდება დადულებას. ჯულფის ღვინო მიაქვთ სხვადასხვა ქალაქებში. იშვიათია ისეთი სომხის ოჯახი, რომელიც წლიური მოსავლიდან ღვინოს არ ყიდდეს. მათი მუშტარი, სხვათა შორის, სპარსელებიც არიან. სპარსელები ამ ბოლო დროს, ღვინის შესამჩნევად ეტანებიან; ახალი კანონმდებლობა ძველებურად აღარ სდევნის ღვინის სმისათვის.

ჭაჭისგან ხდიან არაყს. კარგი ღვინის დამზადების მხრივ, სომხებმა გაუსწრეს ისფაპანის ებრაელებს, რომლებიც, რაოდენობის მიხედვით, სომხებზე მცტ ღვინოს აძზადებენ. ამ ბოლო დროს, ჯულფელმა სომხებმა თავიანთი სავაჭროები გადმოიტანეს ისფაპანის ბაზარზე. ახლა მათ ძველებურად აღარ დევნიან.

ჯულფაში ზის ინდო-სპარსეთის ეპარქიის წარმომადგენელი სასულიერო პირი — პატრიარქი ის, ეტყობა, განათლებული კაცია. მისი სიმპატია საბჭოთა ხელისუფლების მხარეზეა. ის ყოველთვის ესწრებოდა ზეიმს საბჭოთა საკონსულოში. ამ ნიაღავზე მას დიდი შეტაკება, მოუხდა ჯუფელ დაშნაკელებთან. მას, როგორც ამბობდენ, ხელით შეურაცყოფაც კი მიაყენეს.

ჯულფის დიდი სობორო გარეგნულად აზიურ სტილზეა აშენებული, ერთი შეხედვით მეჩეთს წააგავს. სამაგიეროდ, ფრიად შესანიშნავია მისი შინაგანი მხატვრობა, რომელიც შესრულებულია იტალიელი მხატვრის მიერ.

სობოროს გარშემო მრავალი შენობებია. სობოროს ეზოში მოთავსებულია დიდი ბიბლიოთ ეკა მრავალი, წიგნებით და ძველი ხელონაწერებით, რომელიც, კავკასიიდან

გარდასახლების დროს, თან წაულიათ. თვით ბიბლიოთეკის შენობა პირველად აუგიათ 1844 წელს. შეუდგენიათ ხელ-ნაწერების სია, რომელიც შეიცავს 250 ტომს. დროთა განმავლობაში ბიბლიოთეკა იმდენად გაზრდილი, რომ ძე-ლი შენობა ჰატარა გამომდგარა. ამიტომ 1906 წელს ბიბლიოთეკის ახალი შენობა აუშენებიათ. ამჟამად ბიბ-ლიოთეკაში 3600 ცალი წიგნი ინახება.

სობოროს ეზოშივე არის მოთავსებული სტამბაც.

ჯულფის ეკლესიებში დაცულია ძველი მხატვრობა და განძეულობა. სხვათა შორის, წმ. ესტატეს ეკლესიაში ყოფილი ძველი სურათი — გარდამოხსნა ქართული ხუკური წარწერით¹.

ჯულფაში ოთხი სკოლაა: მათ შორის, ქალების ერთი, ერთი საშუალო განათლების, ერთი — საერთო ორივე სკესი-სათვის, ერთი სომენ-კათოლიკების და ერთიც საბავშო ბალი. ამ სკოლებში სწავლების საქმეც გვარიანადაა ღაყენებული. ყავთ მასწავლებელთა კადრები უმაღლესი განათლებით.

ამ უამად ჯულფის სკოლებში მოსწავლეთა უმრავლე-სობას შეადგენენ ქალები, ეს, ალბათ, შედეგია იშის, რომ შეძლებული ჯულფელები თავის შვილებს, უმთავრესად ვა-ჟებს აგზავნიან საზღვარგარეთ.

არსებობს აგრეთვე ობოლთა თავშესაფარი და და-მხმარე სალარო ლარიბთათვის, ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, მამაკაცთა საქველმოქმედო საზოგადოება და სხვა საზოგადოებანი.

ჯულფაში 1904-1908 გამოდიოდა გაზეთი „ჯულფის უწყება“.

1909 წელს აქ, ინდოელ ვაჭარს პოლოსიანს, დაუარ-სებია სამკურნალო სახლი.

1899 წელს ჩამოყალიბებული „სათეატრო ხელოვნე-ბის მოყვარულთა საზოგადოება“.

¹ ამ სურათის დედანი შეუყიდია ვიღაც ამერიკელს 1500 შანეთად.

ჯულფაში არის: მუდმივი, სათანადოდ მოწყობილი საკონცერტო ზალა, სადაც ადგილობრივი ძალები და უცხოეთიდან დაბრუნებული ნასწავლი ახალგაზრდობა დროგამოშვებით დგამენ წარმოდგენებს, კონცერტებს და, საზოგადოთ, მუსიკალურ საღამოებს.

ჯულფა სპარსელი სომხებისთვის პატარა სამშობლოა. „ახალი ჯულფა“, როგორც ქალაქთან ახლო მდებარე. მასთან ეკონომიურად უშუალოდ დაკავშირებული, ცხადია, ქალაქის ცხოვრების ზეგავლენას განიცდიდა. თუმცა, ეს ქალაქი იყო ისტაპანი, თითონ ჩამორჩენილი და შედარებით უკულტურო, მაგრამ ის მაინც ქალაქი იყო.

ამიტომ მან შეუწყო ხელი ჯულფის დაწინაურებას ეკონომიურად და კულტურულად.

ჩემს ფერეიდანში მოგზაურობის დროს, 1927 წელს სომხების სამ სოფელში მომიხდა გავლა-შეჩერება. ეს იყო დოვლეთ აბადი, ნამაგერდი და ამილაგერდი. ეს სოფლები მდებარეობენ ისტაპანიდან 150-160 კილომეტრის მანძილზე. სოფელ მილაგერდიდან პირდაპირი გზა მიდის ქართველების სოფელ „ახორე ფაინამდე“ ე. ი. ქვემო-მარტყოფამდე. საზოგადოდ, ალაკ სომხების სოფლები პირდაპირ შესულია ქართველების სოფლებში. მაგალითად, სოფელი „სანგი ბარინი“, რომელსაც წინ უდგას ქართველების სოფელი „ბორჩი“ ათი თუ მეტი კილომეტრის დაშორებით.

ფერეიდნელ სომხების სოფლებიც, როგორც სპარსელი მუსულმანების სოფლები, მეტწლებრივ უკუთხნის მემამულებს და ისტაპანელასომხისგვერდებს, მაგალითად, სოფლეთ აბადი ეკუთვნის ყაჯართა ჩამომავლობის პარნაც, რომელიც შაპხადეთ იწოდება ცხოვრითი და უკურგანელ სომხების გლეხებსაც გარეგნულად დიდი სიღარიბე ეტყობოდათ. ისინი, რასაცვირველია სოულიად დამოკრდებული არიან თავიანთ „ბატონებზე“ და მიწის

დასამუშავებელს იღებენ საზოგადოდ სპარსული წესით — მოსავლის ნახევარს, მესამედს. სოფლის შეურნეობა (პურის მოყვანა, მევენახეობა და სწვა) — იმავე პრიმიტიულ დონეზე დგას, როგორც სპარსეთის სხვა რაიონებში.

ყოველ სოფელში არის თითო ოროლა შეძლებული. მათი სახლები განირჩევა სიღიდითა და სილამაზით. ეს მდიდრები ქალაქის ხალხია, უსათუოდ ვაჭრები. რომლებსაც სოფლებში მამულები შეუძენიათ და გლეხებს ამუშავებენ. თითონ კი, რასაკვირველია, მოდიან ზაფხულობით, როგორც მამულის პატრონი და მოაგარაკე.

ადათი, ზნე, ქრისტიანული წესები, სომხებს, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, შედარებით დაცული აქვთ ფერეიდანში, და თვით ახალ ჯულფაშიც, ჯერ ისევ არიან მოხუცი დედაკაცები, რომლებიც ძველ სომხურ მორთულობას ატარებენ. მამაკაცებს კი სოფლებში სპარსულ-ბახტიარულად აკვიათ. ხოლო ქალაქის სომეხი უკვე წმინდად ევროპულად იცვამს. აგორეთვე ქალაქის ქალები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, თავისუფლად გამოდიოდენ და გამოდიან ევროპულ ტანისამოსში. და ეს იმ დროს, როდესაც სპარსელი ქალი სრულიად შეკრული, შებოჭვილი იყო სარწმუნოების ჯაჭვით, შავი ჩადრით შემოსუდრული.

ფერეიდნის და, საზოგადოდ, მოელს რაიონში არსებულ სოფლებს ხემძღვანელობას და დახმარებას უწევენ ჯულფის პატრიარქი და მოწინავე ინტელიგენცია. ნახევარზე მეტ სოფლებს აქვთ თავისი საკუთარი სკოლა. ხოლო, ვისაც შეძლება აქვს, თავის შეკრლს ჯულფის სკოლაში ზრდის, ასწავლის. ქართველებთან ვერ არიან დაახლოვებული. ამის უმთავრესი მიზეზი სარწმუნოების სხვადასხვაობაა, ფანტიზმი, შეუგუებლობა, ცრუ მორწმუნეობა, გაუნათლებლობა.

სპარსელი ებრაელები

I

ებრაელები სპარსეთში უხსოვარ დროიდან არიან.

ათას წლებს გრიგალივით გადაუქროლია მათს თავზე. ათასი უბედურება მიუყენებია, ათასი დამცირება, მაგრამ აზიელი ებრაელი მაინც აზიელად დარჩენილა — სწავლისთვის ზანტი, თავდაუდებელი.

სპარსელი ებრაელები უმთავრესად სამხრეთ სპარსეთში, ისფაპანსა და მის რაიონებში ცხოვრობენ. მათ ისფაპანის აღმოსავლეთ ნაწილის განაპირას დიდი უბანი უჭირავთ, რომელსაც ებრაელების უბანი, ან სახელად „ჯუბარე“ ეწოდება. აქ დაახლოვებით რვაათასი სული ცხოვრობს. ჯუბარე ამჟამად უკვე შეერთებულია ქალაქთან. წინათ, ალბათ, დაშორებული იყო ქალაქს ისევე, როგორც სომხების ახალი ჯულფა.

ვიწრო ქუჩები, უსწორ-ძასწორო, ორმოებად ქცეული, დაუგველი, პაწია ჩიხები, სადაც სახედარი ძლივს მობრუნდება. სახლები ერთი მეორეზე წალმა-უკულმაა მიშენებული, ჭუჭყიანი ეზოები, ბნელი სარდაფები, ხვრელებივით პატარა ოთახები — ასეთია ამ უბანის გარეგნული სახე. თითოეულ ასეთ პატარა ოთახში ხუთიდან ათ სულამდე ცხოვრობს. იშვიათია ცოტა რიგიანი შენობა.

მდიდარი ებრაელის ოჯახის შინაგანი მოწყობილობა სპარსული ყაიდისაა, — ხალიჩებით მორთული, ტახტი

მუთაქებით, უსკამო. თითონაც სახლის პატრონი ფეხმოკეცილი ზის სუფრაზე, ან ლოცულობს. ოამისოდ მას სახლში ვერ ნახავთ. ის თავის სავაჭროშია — ან მთელი „სავაჭრო“ ზურგზე ჰქიდია და ქუჩა-ქუჩა დაიარება.

სიტყვიერი გადმოცემით, ისინი მოსულან სპარსეთში იმ დროს, როდესაც ებრაელების სამეფო დასცეს ეგვიპტეს ფარაონებმა. მოუხედავად ამისა, ებრაელს გარეგნული სახე, ხასიათი თითქმის უცვლელადშ ეუნახავს. ის დღესაც ძალიან უფრთხილდება თავის კიკინებს და გრძელს, ხშირად დაუვარცხნელ, წვერებს. ებრაელებმა მშვენიჭრად იციან სპარსული ენა, მაგრამ, ამავე დროს, მათ თავისი უარგონიც შეუქმნიათ.

წარსულში ებრაელები სარწმუნოების ნიადაგზე ისევე შევიწროებული ყოფილან მოლებისა და შაჰებისაგან, როგორც სხვა არამუსულმანური მოსახლეობა. მათაც გადაბრუნებული ტანისამოსი და ქუდი უნდა დაეხურათ, უნდა გაეწმინდათ ქუჩები ჭირით დახოცილი მკვდრებისაგან, გადაეთრიათ და დაემარხათ. ისინიც იხდიდენ ყოველგვარ ხარჯს მტრების შემოსევის დროს. ებრაელი რუდამ დევნილი, გათიშული იყო მუსულმანთა წრიდან. მაგრამ არა ნაკლებ ეჯავრებოდა რვით ებრაელს მუსულმანი. ამ მხრივ სპარსელი ებრაელი ბევრად ფანატიკოსია, ვიდრე მუსულმანი.

ისფაპანელი ებრაელი მიწის მუშაობას არ ეტანება. ას ჰექტარ მიწას ქინძისთავებით და ფოლაქებით გატენილი ყუთი ურჩევნია. ამ ყუთს ის ზურგით კარტაკარ დაატარებს. ჯუბარედან ყოველდღიურად რამდენიმე ასი კაცი მიემგზავრება ქალაქისა და სოფლების ქუჩებში სახეტიალოდ, რომ დღის მიწურულში თავიანთ ოჯახებს ლუკმა პური მიაწოდონ.

მეწვრიშალე ებრაელი ყოველ ქუჩას დაივლის. ყოველ
კარზე დაცაკუნებს, ყვირის, ლაპარაკობს გაუთავებლად,
თავისი საქონლის ლირსებაზე. ცვლის სოფლის ნაწარმზე
ნედლ მასალაზე, ანტიკურ ნივთებზე და, ბოლოს, დაცლი-
ლი ყუთით ბრუნდება შინ.

გააჭის ბაზარზე ტყავი, ბეწვეული, ბუმბული, ქსოვილები,
ხორბალი. მან იცის რა ესაჭიროება ბაზარს, იცის მისი
ფასები. ზოგჯერ ისიც კი იცის, რომელ ოჯახს რა საქო-
ნელი ესაჭიროება.

მიუხედავად ამისა, ებრაელი, ადგილობრივ ვაჭრებთან
შეღარებით, მაინც ძალიან ლარიბია, ბაზარზე ფეხს ვერ
იკიდებს. ამის მიზეზი, რასაკვირველია, მუსულმანი ვაჭრე-
ბის ფანატიზმია, ებრაელებისაღმი სიძულვილი. ყოველ-
გვარი პრივილეგია მუსულმანი ვაჭრის ხელშია და ისინიც
სარგებლობენ ყველა ამით. სარწმუნოებას და ფანატიზმს
იშველიერენ. და ებრაელებს თავის რიგებიდან დევნიან.

II

მიუხედავად იმისა, რომ ჯუბარეს ებრაელთა შორის,
შიგა და შიგ, მოიპოება რამდენიმე შეძლებული ვაჭრებიც,
სპარსული წერა-კითხვის მცოდნები, მათ მაინც ამ უკანას-
კნელ ხანამდე არ ჰქონიათ თავიანთ ხარჯზე დაარსებული
არცერთი სკოლა, არც სამკითხველო.

ასეული წლების მანძილზე, რაც ებრაელები ისტაპანში
დაასახლებულან, არ შეუექნიათ არავითარი კულტურული
ლირებულება. მათ მხოლოდ ლუკმაპურისა და სარწმუ-
ნოების დაცვისათვის დაუხარჯავთ მთელი ენერგია.

შაბათ დღეს ცრუმორწმუნე ებრაელი ოჯახში სანთელს
არ აანთებს. მის სახლს რომ ცეცხლი წაეკიდოს, ჩასაჭ-
რობად ხელს არ გაანძრევს, პარასკევს ანთებული სანთელი
კვირა დილამდე არ ჩაქრება.

საინტერესოა ერთი გარემოებაც. 1928 წელს ჯარში ახლად გაწვეულმა ებრაელმა ჯარისკაცებმა არას გზით არ ისურვეს ყაზარმის საერთო ქვაბში მომზადებული კერძის ჭამა. ამას გარდა, მათ არ ჭამეს, არ სვეს, არ გავიღენ სამეცადინოთ. გაჯავრებულმა სამხედრო აღმინისტრაციამ სასტიკად დასაჯა ისინი: ჯოხით ცემა, მაგრამ მათზე არავითარმა მუქარამ არ გასჭრა. ჯარისკაცებმა მაინც არაფერი ჭამეს. ყველა ავად გახდა.

ბოლოს, მთავრობამ დაუთმო და დროებით გაანთავისუვლა. ისინი დაავადებული წაიყვანეს სახლში. მორჩენ თუ არა, წამოიკიდეს ისევ თავიანთი საწყრილმანო ყუთები ზურგზე. შემდეგ თუ დაჭირდებოდათ, თეჰერანსა და ჰამადანმი თვეში ხუთჯერ და ათჯერაც ჩავიდოდენ. ჯუბარელები მიდიან აგრეოვე ინდოეთსა, ბეგვიპტესა, ევროპასა და ამერიკაში. მიდიან თავის აღთქმულ ქვეყანაში — პალესტინაშიც.

ჯუბარეში ამჟამად მხოლოდ ერთი რიგიანი სასწავლებელია. ის დაუარსებია პარიზელ ებრაელთა საზოგიდოება „ალიანსს“. მასწავლებელიც პარიზელია. სასწავლებლის ხარჯების 80% კისრულობს „ალიანსი“. 20% ი იხდიან თითონ ჯუბარეს მცხოვრებლები. მოწაფეთა მშობლები არაფერს იხდიან. მაგრამ ახალგაზრდობის უმეტესობა სწავლის მუქთად შეძენას, ისევ ვაჭრობას არჩევს. სკოლის გახსნის პირველ ხანებში დიდი მეცადინეობა დასჭირდა თურმე მასწავლებელს, რომ ბავში დილაობით სკოლაში პირდაბანილი მოსულიყო. ამჟამად მასწავლებელი კმაყოფილია, რომ სკოლაში, „ერთი პირდაუბანელი მოწაფეც აღარ მოდისო“. პირიქით, სწავლას ეტანებიან, მასწავლებლებიც გამოდიან მათი რიგებიდან. სწავლობენ — ფრანგულს, სპარსულს და ძველ ებრაულ ენებს. თეატრი, კლუბი ჯუბარეში არა აქვთ. მაგრამ მათი ახალგაზრდობა, წლის

განშავლობაში, მაინც აწყობს თითო-ოროლი წარმოდგენას საკუთარის ძალებით.

მოხელეობა და ხელოსნობა ებრაელს ძალიან ნაკლებად იზიდავს. მოხელეობა მაინც სურლებით არ ემარჯვებათ, გარდა ოქრომჭედლობისა. ოქრომჭედლებიც ცოტაა. ორი-სამი ზუ მოიძებნება მთელ ქალაქში.

ებრაელები შედარებით უფრო ხალისიანად ეტანებიან მეღვინეობას და არაყის გამოხდას. რამდენიმე ათას ვედრა ლვინოს და არაყს ასაღებენ ისინი თავის გარშემო მცხოვრებ მუსულმანებში. ლვინოს ებრაელი ყიდის ხელზე, თავის ოჯახიდან. მათ იციან ყველა მუსულმანის ბინა, რომლებიც ლვინოს სვამენ და უზიდავენ ბინაზე. თითონ მუსულმანს ქუჩაში ლვინის წალების ეშინია, რომ ვინმე თავის მოძმე ფანატიკოსს არ წააწყდეს, და მისგან წყევლა-შეჩვენება არ დაიმსახუროს.

ებრაელებს უყვართ ლვინის სმა. თუმცა ლოთებს მათ შორის იშვიათად შეხვდებათ: ბევრი მათგანი ლვინით და პურით გადის მინდვრად, წყლის ნაპირად, ტყეებში. ან მი-დის მუსულმინების სასაფლაო „ტახტე ფოლადში“ დროს გასატარებლად. ლვინო ჭირდებათ აჯრეთვე სარიტუალო წასების შესრულებისას. შაბათობით უსათუოდ ლვინო უნდა დალიოს, ან პირი მაინც გაისველოს. მხოლოდ ლვინო აუცილებლად ებრაელის მომზადებული უნდა იყოს.

უდიდეს საზეიმო და სალოცავ წმინდა ადგილს წარმოადგენს მათთვის სასაფლაო „ესთერე-ხათუნ“, რომელიც ისტაპანიდან ორმოცი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. სპარსელი ძლევამოსილი შაპები, ალბათ, ნებას არ აძლევდენ, რომ ებრაელები ქალაქის ახლო დამარხულიყვნენ. დღესაც მიცვალებულის წალება ასეთ სიშორეზე უხდებათ.

ამჟამად სპარსელი ებრაელი ოფიციალურად სარწმუნოებრივ დევნას აღარ განიცდის. მაგრამ ის სიძულვილი

რომელიც მათსა და მუსულმანებს შორის დათესილა შრავალ სუკუნის მანძილზე, ჯერ ისევ მტკიცედაა და მისი საბოლოო აღმოფხვრა მოითხოვს სპარსეთის ცხოვრების პოლტიკურ-ეკონომიურ გარდაქმნას, სარწმუნოების სრულ ღიყვიდაციას.

ისფაპანის გარდა, ებრალები თეჰერანშიაც ბლომად არიან. მათ აქაც ცალკე საცხოვრებელი და სავაჭრო უბანი აქვთ, სადაც მათი ოცხვი სამი ათასს აღემატება. ებრა-ელების საერთო რიცხვი მთელ სპარსეთში, დაახლოებით უცდა ათი-ორმოცი ათასი უნდა იყოს.

III

რამდენად დაბალ კულტურულ დონეზეა ებრაელი მამაკაცი, საზოგადოთ, სპარსეთში, იმდენად უფრო დაბლა დგას ებრაელი დედაკაცი მამაკაცთან შედარებით. საზოგადო ასპარეზზე ის არ ჩანს. ხოლო შინაურულად ორ ფენადაა დაყოფილი. ზედა ფენა — ცოტად თუ ბევრად შეძლებული ნაწილი, რომელიც არაფერს აკეთებს, გარდა შინ ჯდომისა და საოჯახო მეთვალყურეობისა. იგი დაშორებულია თანა, მედროვე კულტურული დედაკაცის როლსა და საქმიანობას. ის მთელ დღე და ლამეს ქმართან და შვილებთან ფუსტუსში, ლოცვაში ატარებს. ის უმზადებს მათ ჩაის, სადილ-ვახშამს და ისტუმრებს ბაზრისკენ სავაჭროდ, სასპეკულა-ციოდ.

მეორე ფენა — ეს ულარიბესი და, შეიძლება ითქვას, ულარიბესზე ულარიბესი ნაწილია, რომელსაც მისი დღიური შემოსავალი მხოლოდ იმდენს აძლევს, რამდენიც მას იმ დღის ლუკმად ეყოფა. თუ ზედმეტი შრომის უნარმოკლებული სარჩენი ყავს, ის მშიერი უნდა დარჩეს. ასეთ ლატაკ ოჯახში ქალის მღვიმეარეობაც მეტად მძიმეა, მისი შრომაც ისევე დაცემულია, როგორც ქმარის, იგი ქმარშვილ-

თან ერთად სიმშილობს. აი ამ დბალი ფენიდან ასოჭით გადის ბაზარზე სამუშაოდ ებრაელი ქალი შვიდი - რვა წლიდან დაწყებული მოხუცის ასაკამდე.

ისფაპანის დაბალ დონეზე მდგარ წვრილ ვაჭართა და ხელოსანთა ბაზრისთვის, რომელიც ამზადებს ძაფებს სხვადახვა ქსოვილებისთვის, (ხალიჩები, ნოხები და სხვა) ებრაელი მუშა ქალი იაფსა და მეტად საჭირო სამუშაო ძალას წარმოადგენს, მუშა ქალების დღიური ქირა ორი შაურდან აბაზამდეა. ხოლო, როდესაც გამოიცდება, „ოსტატი“ გახდება, მისი ქირა აღის ექვს შაურამდე ნამდვილი ოსტატი კი ათშაურზე მეტს მაინც ვერ აიღებს. ქსოვა არის მათი ცხოვრების უმთავრესი წყარო.

ებრაელი ქალი პირს არ იბურავს ჩადრით, მხოლოდ სხეულს იფარავს, ის თამამად და თავისუფლად მიღის ყველასთან, ეძებს სამუშაოს. მისი სამუშაო დრო, — როგორც საზოგადოდ არსებობს სპარსეთში, დასაბამიდან დღემდე, — განისაზღვრება მზის ამოსვლითა და ჩასვლით.

მაგრამ ებრაელი ქალი იძულებულია შეურიგდეს ამ გარემოებას. მისი უმთავრესი დარღია მშიერი არ დარჩეს.

სილარიბის, ლუკმა პურის უქონლობის გამო, მთელი ოჯახი იძულებულია გავრდეს გარეთ, ლუკმა იშოვოს, მაგრამ რას შვრება სამუშაოზე მიმავალი დედა, რომელსაც პატია ბალლი ყავს? მას არ შეუძლია არ წავიდეს, მაგრამ ვის დაუტოვოს ატირებული ბავშვი? ამ შემთხვევაში დედა მიმართავს ძალიან ადვილს, მაგრამ ბავშვის ჯანთელობისათვის დამღუპველ საშუალებას. ეს საშუალება ბავშვის ოპიუმით ხელოვნურად დაძინება.¹ საჭუშაოზე მიმავალი დედა ჩააყლაპებს ბავშვს პატია ნამცეცს, იმის მახედვით, თუ რამდენს ხანს უნდა დაიძინოს ბავშვმა. ოპიუმ მიღებულ

1. ასეთი საშუალება გავრცელებულია სპარსეთში საზოგადოდ.

ბავშვს ძინავს!, სანამ დედა სამუშაოდან არ დაბრუნდება. ასეთი ბავშვები თუ არ დაიხოცენ, შემდეგში უილაჯონი არიან, გამოშტერებული, ყეყეჩები.

სიღარიბის საშინელ სურათს წარმოადგენს კიდევ შემდეგი მაგალითი: ერთ პარიზელ ებრაელს, რომელიც ჯერ მასწავლებლად იყო ჯუბარეში, შემდეგ საფრანგეთის მთავრობის კონსულად, ისფაპანში ხალიჩების საქსოვი ქარხანა აქვს.

ამ ვაჭარ-მექარხნეს ხალიჩის მქსოველებათ პატია. ბავშები ჰყავს — 6 წლიდან 10 წლამდე. ძვირფასი ხალიჩის მოსაქსოვად სწორედ პატია თითებია საჭირო, რომლებიც გაბმულ ძაფებში ადვილად გაძვრება და ნასკვებსაც ადივლად გააკეთებს. ბავშვები „შეგირდები“ არიან. მათ წელიწადი უნდა იმუშაონ შეგირდად. ქირა ეძლევა — დღეში 5-6 კაპ. შემდეგ 15-30 კაპეიკს და მეტსაც მიიღებს, თუ ნიჭიერი „ოსტატი“ გამოდგა. სხუათა შორის, ამ ქარხნის „შეგირდმა“ ერთმა ებრაელმა 6-წლის გოგონამ მთელი დღის დამჯდარი შრომით თავმობეზრებულმა, თვალში დანა ჩაიკრა: „დავბრმავდები და ხალიჩის მქსოველად ალარ გამოვდგებიო“. პავშვი ცემით და მუქარით მიყავდათ მოსარჩენად ინგლისელების უფასო საავადმყოფოში, მაგრამ, როდესაც თვალს მორჩენა დაეტყო, მან კიდევ რამდენჯერმე იტაკა ჩხირი, რომ ტკივილი გაძნელებოდა. ბავშვის მშობლები წუხდენ: „კაი ალაგზე იყო, პურსა ჭამდაო!“.

ებრაელი დედაკაცი თავის რჯულსა და ეროვნებას უფრო სასტიკად იცავს, ვიდრე მამაკაცი. მამაკაცებში არის შემთხვევები გამაპმადიანების; ხოლო დიდაკაცი მაგრად დგას თავის რჯულზე. იშვიათ მოვლენას წარმოდგენს აგრეთვე, რომ ებრაელი დედაკაცი მუსულმანს ცოლად გაყვეს. ასეთა რამ ძალადობით თუ მოხდება მხოლოდ მაგალითად, 1928 წელს ერთმა მუსულმანმა გაიტაცა რვა

წლის ქალი და შეულლებაც მუსულმანურ წესზე მოაწდინა. ამ შემთხვევამ ძალიან აღაშფოთა ქალის მშობლები მაგრამ კანონის დარღვევა აღარ შეიძლებოდა.

საკვირველია ის მოვლენაც, რომ ებრაელი ქალი, მიუხედავად ყოველგვარი შრომისა და გაჭირვებისა, მე ძაობას სრულებით არ ეტანება, მაშინ, წროცა მუსულმან ქალთა შორის მედაობა ხშირი მოვლენაა და ყოველ ქალა-ქში სამედაო სახლები ისევე ნებადართულია, როგორც ჩვეულებრივი სავაჭრო დუქნები.

შინაური შეულლების წესი ებრაელებს სასტიკად აქვთ დაცული. ქალის გათხოვება ნაადრევად იციან. დანიშნულები რამდენმე წელიწადს უცდიან ერთიმეორეს, სანამ რაბინი შეულლების ნებას დართავს ასაკის დროც ადრე იწყება. ათი-თორმეტი წლის ქალის გათხოვება ჩვეულერივი მოვლენაა. დედ-მამა წინასწარ, თითქმის აკვნიდანვე შეეკვრიან ერთი მეორეს პირობით, რომ მათი შვილები სიკვდილამდე აღარ გაშორდებიან.

ქორწილი ებრაელმა ერთობ მხიარული იცის. ლვინით, პურით, ხმელი ხილით, ათასნაირი ტკბილეულით, მუსიკით, თითონ მღერის, ცეკვავს. საერთოდ, გარეგნულად, ებრაელთა საქორწილო ზეიმს მუსულმანური ელფერი აზის.

୨୧୬୯୭୩୦

მოკლე წინასიტყვაობა

5--10

တာဒို ဒိုက်ချော်

ისტორიული ცნობების სიმცირე, გადამავალი ჩაშთები.
პირველი შეხვედრა ფერიდნელ ქართველებთან თეჰერანში.
სეიფოლა ისახლიანი. ქართული ლიტერატურის მიღება
ტფილისადან ქართველებში გასავრცელებლათ 11—13

თავი მეორე

სსურამელი ასული მუსულმანი რომაშვილი 26—47

თავი მესამე

ზემო მარტყოფი. ჩემი დარაჯები — ბახტიარები. სურა-
თების გადალება. სეითოლა იოსელიანის ოჯახში. უკან დაბ-
რუნება. პრინცი ყაჯარი. პროვოკაცია. სომხების სოფელი
მილაგერდი 48—63

ତାପି ମେଳ୍ଲିଟିକ୍

ფერეიდანი. ისტორიული წარსული, ზეპირგადმოცემები. გადასახლების ისტორია. შეტაკება ქურიმხანთან და გამაჰმადიანება. ავღანელების შემოსვა. ბახტიარებთან და ქურთებთან დამკიდებულება. ეკანომიური, მდგომარეობა . . 64 — 93

თავი მექვენ

ბაჲპარამის მისტერიები, ცრუმორწმუნოება. ფულების
შოგროვება ნაღდად და ნისიად. სავალდებულო ხელწე-
რილები 94 - 109

ତାତ୍ତ୍ଵିକ ମହାଶ୍ଵରିଙ୍ଗ

ქართველი ხანები, მათი სოციალური მდგომარეობა, შუღლი. უსწავლელობა, გადაგვარება და მოლაპარეობა. . . 110—121

თავი მერვე

გლეხები. მათი ბატონური მდგომარეობა. სიღარიბე. შინა-
ური მართველობის წესი. ექვსი ბატონი, შინაური პრეწვე-
ლობის სისუსტე 122—129

თავი მეცხრე

ფერეიდნელ ქართველი ქალი. მეოჯახეობა. ზნეჩვეულება.
ხასიათი. შრომის მოყვარეობა. უსწავლელობა და ცრუმორ-
წმუნეობა 130—140

თავი მეათე

ჯარისჭაცები. უვადო სამსახური. მათი ამხანაგური კავში-
რი. იძულებითი განთავისუფლება 141—144

თავი მეთერთმეტე

აზათები. ქორწილი. დახასიათებანი. ნეფის დამალვა,
მზითევი 145—149

თავი მეთორმეტე

ტირილი. დაგლოვა. გასუენება. ლოცვის წესები — (პანა-
შვიდი) 150—154

თავი მეცამეტი

საერთო ყოფაცხოვრება. ვვარების გამოცვლა. იადოლლას
მამალი. ავადმყოფობა და უქეიფობა. ქურდის დაჭედვა.
მოშაირობა 152—162

თავი მეცოთხმეტე


სოფლების სახელწოდება. რაღდენობა და დაახლოებითი
აღრ ცხვა 163—168

ზოგიერთი ფერეიდნული სიტყვის შედარება
ქართულთან 169—172

დ ა მ ა ტ ე ბ ა


სპარსელი სომხები 173—183


სპარსელი ებრაელები 184—192



இங்கிலாந்தீனர் பாக்டீரியாலை போதுமான
 8 ச. மீ. கொல்லால்
 ஏ. ஸ்ரீ வி. பீ. என். சென்ட்

சுற்றுப்புத் திட்டம் குடும்பங்களின் போதுமான
 தொகை நிர்வாகத்திற்கு பீர்மை கிடைக்கவேண்டும்





8560 4
5825 1
5 856.

947 922

g 345

8560 4
5825 1
5 856.

8560 4
5825 1
5 856.